


ლიტერატურული ალმანახი

# ქორის უჯგ

037060-დეკამერი



1

№1

ISSN 2346-822X



9 772346 822004 >

**თ**ქენს წინაშეა დიდი რუსი პოეტის მიხეილ ლერმ-  
თნტოვის ნახატი „სოფელ ყარალაჯის შემოგარენი“,  
რომელზეც კარგად მოჩანს „ხორნიბუჯი“ იგივე „თამ-  
არის ციხე“.

აქვე მოკლედ გეტყვით, თუ როგორ იხილო პოეტმა ხორ-  
ნიბუჯი. მოგეხსენებათ, 1837 წლის ა. პუშკინის მკვლელო-  
ბის მერე პ. ლერმთნტოვმა დაწერა ლექსი „პოეტის  
სიკვდილი“, რამაც აღიარება მთუტანა ფართო სახოგადოე-  
ბაში, მაგრამ მეფის მთავრობამ ეს ლექსი რევოლუციისად-  
მი მოწოდებად ჩათვალია და აკრძალა, ხოლო თავად პოე-  
ტი 1837 წლის თებერვალში კავკასიაშიაში, კერძოდ კი  
სოფელ ყარალაჯის განლაგებულ ნიუნი ნოვგოროდის დრა-  
გუნთა პოლკში იქნა გადაყვანილი პრინცესის მიერ და მოკლე  
დისლოკაციის ადგილი დედოფლისწყაროშიც ჰქონდა).

იმას რომ პოეტი მხატვრობასთანაც არ იყო მწყრალად,  
მოწმობს მისი წერილი შორეულ ნათესავთან და თანამო-  
აზრებისთან – სფიატოსლავ რაევსკისთან, რომელიც პ. ლერმ-  
თნტოვის ლექსის „პოეტის სიკვდილის“ სახოგადოებაში გვრ-  
ცელების ბრალდებით იქნა შერისხული და გაძევებული  
თლონეცის გუბერნიაში. მოკლე ამონარიდი 1837 წლის მი-  
წურულს გაგზავნილი წერილიდან: „...ბოლოს მე ისევ დამ-  
აბრუნეს გვარდიაში, ოღონდ გროვნოს პოლკში... სიამ-  
ოვნებით დავრჩებოდი აქ, ვინარდონ საეჭვოა, რომ პოსელე-  
ნია („პოსელენია“ ეწოდება იმ ადგილს ნოვგოროდის მა-  
ლობლად, სადაც გროვნოს პოლკი იყო დაბანკებული)  
უკეთესი იყოს, ვიდრე საქართველო. ... მე საჩქაროდ გადა-  
ვიღე ყველა იმ შესანიშნავი ადგილის სურათი, რომელსაც  
კი ვესტურო და სურათების გვარიანი კოლექცია მომაქვს  
თან.“ და ერთ-ერთზე ამ სურათთაგან სწორედ ჩვენი „ხორ-  
ნიბუჯია“ გამოსახული. შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ  
ლერმთნტოვი თრიგინაბლიდან იხატავდა თავის სურათს. სხ-  
ვათაშორის ეს სურათიც ამოწმებს იმ მოსაზრებას, რომ  
ძველად დედოფლისწყაროში დიდი საქართვნო გზა  
გადიოდა.

მიხეილ ლერმთნტოვის სურათი „სოფელ  
ყარალაჯის შემოგარენი“ იხილეთ ყდის  
ბოლო გვერდზე.

# ლიტერატურული ალბანები

# „ხორნის უზი“

ფასი 3 ლარი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემა

2015 წელი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

მილოცვები	2-4	პროზა	
შესავლისათვის	4	ლელა კოდალაშვილი	36
ლიტერატურული აღნაურის გამარჯვებულები		მარიანა ნანობაშვილი	38
ზაზა პერელი (სუყაშვილი)	5	მარიამ გიგაური	41
ხატია კვიკვინია	7		
ნათია ბოტკოველი	8		
გიორგი მეთუშაელი (ქითიძე)	10		
ოთარ კოდუა	11		
„ალბანების სტანი“		საბავშვო გვარდები	
ხორნაბუჯისა და პერეთის ეპისკოპოსი		ირმა მალაციძე	43
დიმიტრი (კაპანაძე)	12	ნუნუ ძამუკაშვილი	45
პოეზია		თარგმანი	
მაყვალა გონაშვილი	14	ბელა ახმადულინა	46
ზიზო ბურდული	16	ევგენი ევტუშენკო	46
ფარნაოზ რაინაული	17	ალექსანდრე კოჩიეტავი	46
ქეთევან ნათელაძე	18	ვლადიმერ ვისოცკი	47
თამაზ წიკლაური	19		
პოეზია		ისბილე	
მაყვალა საუნდი	20	აკაკი ნერეთელი კახეთში	48
გივი ჩილვინაძე	21		
იუნონა გურული	24	მოგონებები ელენე მაჩაბელზე	51
ბესო ხვედელიძე	26		
პოეზია		ფოლადორი	
ეკა ჯავახიშვილი	28	„ცოცხალი საუნდე“ – ბერდედა მარიამ	
გოჩა სხილაძე	29	ოჩიაური-გოგოჭურისა	53
ლევან ალავერდაშვილი	31		
ცისანა თვალიაშვილი	33		
ზაურ გონაშვილი	33		
თინათინ მრელაშვილი	34		
ჯუმბერ უთრუთაშვილი	35		
პოეზია		კრისტიანელი პოეზიის V ფესტივალი	
მაია მიქაია	58	მაია მიქაია	58
ედუარდ უგულავა	58	ედუარდ უგულავა	58
ქეთევან შენგელია	60	ქეთევან შენგელია	60
ბატრი სულაძე	60	ბატრი სულაძე	60
თამარ შაიშმელაშვილი	61	თამარ შაიშმელაშვილი	61
ელდარ ჭიჭიაშვილი	61	ელდარ ჭიჭიაშვილი	61
ვასილ ბოსტაშვილი	62	ვასილ ბოსტაშვილი	62
პროზა		ჯემალ მეხრიშვილი	62

**ლ** ლმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოვახსენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად ჯავახიშვილს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ქალბატონ ნონა ჯიბლაშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი:  
გიორგი ნატორშვილი

ალმანახის ქუდის ავტორი:  
სალე ქართველიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
გიორგი ნატორშვილი  
დაიბეჭდა მა პოლიგრაფი

მობ: 598 54-07-64;

Email: gionatro0@gmail.com

ISSN 2346-822X

## ბორნბულის სიმაღლე

**0** ახალგანკურნებულის „ბორნბულის“ დაბადება. ფლეს, როგორ დიდი ტრადიციებისა და გამოწვევების არაერთმა უყონბალმა ფინანსური პრობლემების გამო შენეცვიტა არსებობა, ახალი უყონბალის დაარსება და მხარდაჭერა მართლაც გმირობის ტოლფასია. მინდა „ბორნბულის“ რეაქტორის გიორგი ნაციონალის მიულოები უყონბალის გამოხატა და ვუსურვო საუკუთესო აცილების მხარდაჭერა, ახალი სახელმწიფო აღმოჩენა და მკითხველის სიყვარული.

სიცუკი ბორნბული ჩემში განსაკუთრებულ ემოციას იწვევს. ახლავ მასხველად მამამი ბორნბულის სანახავაზე რომ ნამიყვანა. წისკენ აზიდული ულამაზე წის წინერევების ხილვისას გავიფიქრე, ალრათ ოდესულად აქ ბორნბული შეჩერდა ურმა რასთაველი, ალრათ აქ ამ საოჯარი და ზვიადი წინე-დარბაზების ხილვისას გაწოჭლოდა მის გონიერაში ქაფუოის წინის პირველი სურათები მეტე.

ბორნბულის ძლიერება, სიმაღლე და წელთა სიმრავლე მინდა ვუსურვო ახალ უყონბალს.

მაყვალი გონაშვილი  
საქართველოს მცენარობის კავშირის თავმჯდომარე



### კურთხეული იყოს...

**0** ეფოფლისნებარო, ოფიცაზ, ერთ-ერთი, უნიფირეს შემოქმედთა საუფლოა. მათი ნაკალმარი, ნილვის განმავლობაში, სამშენებელი, პერიოდულად, გამოქვერნდა, გაზეთ „შირქის“, უყონბალ „ლიტერატურულ ქიზის“, კარებულს „სალონები“ და სხვა.

დადგა ახალი ეტაპი დედოფლისნებაროებთა ლიტერატურულ წხოვრებაში, – სიროტლე დაინტენ მხარეები სიცუკის ახალმა აღმანახა „ბორნბულის“.

მნერალობა ასორუსა „ლიტერატურული კახეთის“ სახელით გულმურვალებ მივესალმებით ამ, სამნერლო მოვლენას, – კურთხეული იყოს მისი პირველი ნარიტი ქართული მხარეების სიცუკის კოპირეტი, ფეხებინიერი და თანმიმდევრული ყოფილობის, – თავისი ნიჭირი კატლი დაეცვოს – ერთა და ქვეუნის სულიერ აღორძინებაში.

ჩვენო, სულმზიანო და გულმზიანო მეგონებო, ერთხელ კიდევ, სიხარულით ვლორვათ „ბორნბულის“ ნათელ გამოსხივებას, – და, ჩაუქრობლად ენთოს და იელვაროს...

მარად თქვენი ერთგული, – ფართოზ რაინაული, მნერალობა ასორუსა „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე, ვაჟა-ფშაველას, გიორგი ლეონიძის, დერენგი გრანტონისა და უყონბალ „ოლეს“ პრემიერის ლიტერატური.

### „ბორნბული“ ქართულ მნერლობაში თავის სატემელოს იტყვის

**0** აშინ, როდესაც დედაქალაქში იხურება წინმილი ლიტერატურული უყონბალები, დედოფლისნებაროში, ამ მადლიან კუთხეში, არსებობას იწყებს ახალი ლიტერატურული აღმანა „ბორნბული“. ეს იმდენად სასიხარულო და მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ სმამალუა გინდა შეაქო და გამამხნევო აღმანახას დამაკარისებულის და ხელშემწყობრივ.

აღმანახა „ბორნბული“ ჩვენი ქვეუნისათვის ურთულეს უამს იჩადება, მაგრამ აღმანახას მესვერთა და თანამდევომთა მონაცომება, მამულიშვილობრივი და ნიჭირება იმის საფუძველია, რომ „ბორნბული“ ფეხს ნარმატებით აიღვამს, ასაკათან ერთად გამოიწილება და შევრ კარგ აცილებაში შემოიკრებს და ქართულ მნერლობაში თავის სატემელოს იტყვის.

მინდა, პატარა წვლილი მერ შევიტან ლიტერატურულ აღმანას „ბორნბულის“ პირველი ნომრის მომზადებაში და გიგზავნით ქრისტიანული პოეზიის V ფეხივალზე „მინდა ნინოს ჰვარი“ (ფეხივალი ნოემბერში გამართებული ნარმოდებენილ რამდენიმე გამოუქვეყნებელ ლექსის (ლექსი იხილეთ 58-62გვ.).

მივულვეთ აღმანას „ბორნბულის“ გულშემატკიცონად და ერთგულ მკითხველად.

აკაკი დაუშვილი  
ლიტერატურულ უყონბალ „ოლეს“  
მთავარი რედაქტორი,  
ქრისტიანული პოეზიის ფეხივალის  
პროექტის აცილება

## ხორწინებულების ქვისა და სიტყვის

**მ**ელს საქართველოს კულტურის სამინის-ტროს პროექტის „წოწალი წიგნების“ ფარგლებში მოვცვილი დეფოფლისწყაროში. ამ რომელთან საუკეთესო ადამიანი, ჩემი ოქანის ერთგული ექიმი ქალბატონი წანა იაკობაშვილი მაკავშირებდა, თუ არ ჩავთვლი იმას, რომ ჩემი გვარის და ოქანის შევრი ახლო თუ შორი წათესავი წლების წინ, ქედაში ჩასახლეს. სტუმრობას „წოწალი წიგნები“ და მექ გამსაყოორ-ბული ემორით ვიგონებთ. გამორჩეულად ზევრი მყითხველი დარჩაზში, კეთილგანნებოდა, ტრადიციული მასპინძლობის მაფლი, ხორწინებულის წინის მონახულება, აფილონბრივი პოეტის განვითარება და ლექსების მოსმენა, ყველაფერი ერთად იყო ამ შეთარჯოლებების მიზეზი. დედაქალაქიდან ჩასული ავტორები წამოვეჭით იმ განჯილო, რომ ძალიან წოდა დრო გვერნდა გამოყოფილი ამ კუთხისავის, ანადაკრისი თავისი მეტაფიზიკური განზომილებით. ეს დრო, რომელსაც უნდა დაეცია ჩვენი, როგორც მნერლების, ავტორების თანაზიარობის ფიფი, ხანგრძლივი ურთიერთობა და სიხარული. დაუვინარი იქნება ჩემთვის ემიგრით აპარატურული ლევან ალევრდაშვილი, ომაბანი თამაზ წილაური, აინჭი და კეთილადმისიტუაციები გიორგი წაფროშვილი, თუ სხვანი და სხვანი, ხალხი, ვისთვისაც ძვირფასია სიტყვას, ნიჭიერ, სტუმარი, მსმენელი და თანამოზიარეუ. ამ ადამიანებს აქვთ ლირსება და განედა იყვნენ მემეკავიფრენი და პატიონის იმისა, რაც ისტორიულად მათ ერგოთ, მემკვიდრეობით გადაეწყო, მაგრამ განა მზამზარეულის მოხმარევა სურთ? ესენი შემოქმედებითი შენების ხალხია. უნდა მიიღონ, შეიტყონ, თავიანთ გულ-გონებში გამოატარონ, ყოველფლიურობის მარილით ხრნნა შეუჩერონ ამ წხოვრებას და მარადისონისაკენ გახედონ საკალის. მათ იქნან, რომ ნამდვილი პოეტები არიან და როგორც ნამდვილ პოეტებს შეუცერებათ, დღესასწაულად უნდა აქრიონ რეფინის ერთფეროვნება და ყოველი წუთი დაიდ ისტორიის, თავისუფლების ისტორიის გაგრძელებულ სისრულეებს შემაჭონ წოწალ წუთად, წოწალ ემორიად, წოწალ განედად, წოწალ რნმენად. ასეთები იყვნენ ქიზიყულები და ასეთებად გავიჩანით ჩვენ ისინი. მაშინ გავიგეთ სასიხარულო მშვიდი, დეფოფლისწყაროს მუნიკიპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით ლიტერატურული ალმანახის გამოქვემის შესახებ. უკეთესი რა დაერქმეოდა ამ ალმანახს? დიახ, ხორწინებული იქადებოდა. მნერლობა ახორისება „ფირს-მანის“ წევრებისა და პირადად ჩატონი გიორგი ნაფროშვილის ინიურატივითა და თაოსნობით. მისასალმებელი, გასახარი და საშური საქმეა ეს. რადგან დღევანდელი სიტყარია წიგნების აჩვენებს,

რომ დედაქალაქის გარეთ, ახლო თუ შორეულ რეგიონებში წიგნის მაღაზიას იშვიათად გადაახცე-დებით, პირლიონთეულები ძირითადად დახურულია და რაუ არის დარჩენილი, იქ თანამედროვე მნერალს და წიგნს ვერსად მიაკვლევ. შით უფრო სასიხ-სასულოა, რომ აი, დეფოფლისწყაროში ახალი ლიტ-ერატურული ალმანახი ასადება. იმედი ჩნდება, რომ რამდენიმე მნერალს ამ ალმანახის ფურ-წლებიდან მანჯ ხომ გაიზომს პეტაგოგი იქნება თუ მშორელი, მოსამსახურე თუ პენსიონერი, მოს-ნაცვლე თუ სტუდენტი. უკეთო იქნა, რომ უამრავ ინფორმაციას გაიგებ არ ნუთში ინტერნეტიდან, ტელევიზიონიდან, მაგრამ ლიტერატურის კოხვის, სიტყვის განვითარების მაფლი შეუსვლელია. ამხელა აგრძელის ფონზე, იქნებ ამ ალმანახმა შეძლოს თუნდას ერთი კარის დაძოშმინება? ერთ ახლაგა-ზოდაში ლიტერატურით დაინტერესება გამოიხვიოს. ერთ ადამიანს მანჯ მოანდომოს ძველი, მიუინუ-ბული ჰოდების კრებულის მოძებნა საოცახო წიგნის კარატაში. გამოაცემინოს და წააკითხოს ახლაგა-ზოდობის ფრონიფელი ლექსები, სიყვარული გაახ-სენოს? ლიტერატურას მართლაც აქვს დიდი ძალა, და გარდა საგანმანათლებლო ხასიათისა, მას ად-ამიანზე დამატებილებელი ზემოქმედების უნარის აქვს, ლირსების გამოლოდინების უნარის პირველები, მავშვობის გახსენების, მოქალაქის კათარზისის და ასე, ულევად...

დეფოფლისწყაროები კოლეგებო, ძმებო, მე-გორბებო, აფერუშმ თქვენ შემართებას! მოგიმარ-თოთ უფრომა ხელი და შეგნოთ ადამიანი, რომელი მთავარი სამიზნეა ლიტერატურისთვის და ხე-ლოვნებისთვის, ზოგადად. ალმანახის რეპროკიურის გარენობა იძლევა იმედს საიმისოდ, რომ ჩვენ კარ-გი საქმის მსახურად დაგვადგინა ლმერობა, რომ კუველაფერი რაც სიტყვიერების სახელით გაკალე-ბა კურთხეული იქნება. როგორ პრეტენზია ჩნდება ადამიანებში, ემსახურო კულტურას, ამაზე კავგი არაფერია, თან თუ ეს კულტურა შეზავებულია სამშობლოს საერთგულებელი საქმეებით და მიზნებით. ყველა, კინგ ერთი კარის საქმეს აკატე, ერთი სულის გადასარჩენად იზრდვის, ერთი ად-ამიანის გასანათლებლად, ის მოელი კარგობრიო-ბისთვის ირკვება. მინდა ამ ისტორიულად თავისუ-ფალ და ურაჭონო მხრეს შევრი სულით ძლიერი და თავისუფალი, მაღალი ლიტერატურების მსახ-ურებაში გადაგებული მოქალაქეები ჰყავდეს და მათი ლიტერატურები სხორცე სიტყვიერებიდან იღებანებ სათავეს. ალმანახ „ხორწინებულის“ დაარსება ამ პათოსით მავსებს. სიამოვნებით ვითანამშობ-ლებო თქვენთან ყველა ავტორი და მოელი „წოწალი წიგნების“ შემაფენილობა.

**მარიამ წიგნაური,**  
**პროექტ „წოწალი წიგნების“ კურატორი**

## ლიტერატურული აღმანახით „ხორწიაბუჯი“ იმედის სხივივით აკიაფიერა ჩვენს ლიტერატურულ წის კარაცონზე.

**ლ** ლევანელ ელექტრონულ ეპიქში, როდესაც ადამიანური ურთიერთობების ფონე ფაქტორი-ცა და და ლოკიორებულია, ხოლო კულტურის თითქმის ყველა სფერო კარიბისულ მდგომარეობაშია, როდესაც ადამიანებს ალარ შესწევთ ძალა იზრუნონ ერთმანეთზე ან თუნდაც იყიცხონ წიგნი, ერთმანეთს გაუზიარონ შთარებისილერები და პატივის სუმით მოეცყრინ ერთმანეთის აზრს, ყალიბებად დიდი და მრავლისმეტყველი მოვლენაა ლიტერატურული აღმანახების, უურნალების, კრებულების გამოწერა, კულტურული ცონისძიებების მონცყრდა.

გაცონ გიორგი ნაფროშვილის თაოსნობით კიდევ ერთი ახალი გამოწერა - ლიტერატურული აღმანახით „ხორწიაბუჯი“ დაისჭამერება და ქვეყნას, საზოგადოებას ამწინში, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ კიდევ ვრომელობრთ, რომ არ გაფავშენებულვართ, რომ არ გარდასულა დონ წიგნისა, აზროვნებისა, ინტელექტუალური, კულტურული ურთიერთობებია, ეს დიდი საქმეა და ამ საქმეს თანაფილა და მოვლა-პატიონობრთ სჭირდება.

ლევანთმა აუკრთხოს ამ გამოწერის თაოსანი და შემწენი, ხსნილჲყოს ისინი თაორითან-თაორაში, ყოვლისაგან განსაზღვრისა ან და მარატის და უყუნითი უყუნისამდე, ამინ.

**ქარელის წმინდა ნიკოლოზის და წმინდა გიორგის სახელმობის ფარების მღვდელმშებური, უურნალ „საქართველოს მოამბის“ რედაქტორ-გამომწერლი**



### შესავლისათვის

**ლ** იგესალმები, ძვირფასო მკითხველო! თქვენს წინაშეა ახლად დაბადებული ლიტერატურული აღმანახით „ხორწიაბუჯი“. მოგხესენებათ, ახალშობილს რამდენი ზრუნვა და ფოფინი სჭირდება; ამიტომ, თქვენი მხრიდანაც ველით თანადგომას ამ საქმეში. ნებისმიერი ქმნა და შობა, სულიერიც და ხორციელიც, რთული პროცესია, რასაც მრავალი შინაგანი წიაღსვლები ახლავს თან; თუმცა, რაც ერთმნიშვნელოვნად ცხადია, ეს ისაა, რომ ცარი-ელ ადგილზე არაფერი აღმოცენდება.

ჩვენს რაიონს სამეცნიერო თუ ხელოვნების სფეროში მოღვაწე მრავალი სახელოვანი ადამიანი უშვია და აღუზრდია. ყველა მათგანს ვერც ჩამოვთვლით; ვფიქრობ რამოდენიმეს ხესნებაც საკარისია: მაგალითად ანგონ ნატროშვილი - შესანიშნავი პედაგოგი, მცხეობისა და სვეტიცხოვლის ისტორიის ავტორი; ანდრია ბენაშვილი - უდიდესი მეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და როგორც მახსოვს, პირველი ქართული არითმეტიკის სახელმძღვანელოს ავტორი; ასევე, დიმიტრი ბენაშვილი - გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; გიორგი ნატროშვილი - ქართველი მწერალი და ლიტერატურის მცოდნე, ათწლეულების განმავლობაში „ლიტერატურული გაზეთის“, უურნალ „დროშისა“ და უურნალ „მნათობის“ რედაქტორი; ნიკო ყიასაშვილი - ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანგლისტიკის დარგს და თუნდაც, მაყვალა გონაშვილი - შესანიშნავი პოეტი და საქართველოს მწერალთა კავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე, ვინც

ურთულეს წლებში და დღესაც ღირსეულად უძღვება ამ საპატიო საქმეს.

თუმცა, ცარიელ ადგილს როცა ვახსენებდით, უფრო იმას ვეულისხმობდით, რომ აქ გარევეული ლიტერატურული პროცესებიც მიმდინარებდა. თუნდაც ის რომ 1996 წლიდან არსებობს დედოფლისწყაროს რაიონის მწერალთა გაერთიანება „ფიროსმანი“, რომლის ეგიდით ოთხმოცდაათიან წლებში გამოიცემოდა მცირე ფორმატის ლიტერატურული უურნალი „ლიტერატურული ქიზიყი“ (ზაქრო სეხნიაშვილის თავმჯდომარების პერიოდში); რომლისაც ხუთი წომერი გამოვიდა. 1999 წელს გამოიცა კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურული გაზეთი „ხორწიაბუჯი“. ხოლო 2005 და 2011 წლებში გამოიცა სამი კრებული „სალბუნი“ (მათი გამოცემა მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ ყოფილი თავმჯდომარის, ბატონი ჯუმბერ უთრუთაშვილის, მონდომებისა და ძალისხმევის შედეგია), რომელთაგან თითოეულში ოცდათამდე დედოფლისწყაროელი ავტორი იყო წარმოდგენილი. მათგან ორი პოეტური კრებულია, ხოლო ერთში წარმოდგენილია როგორც პოეტური ასევე პროზაული ნაწარმოებები, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ 2012 წლიდან ყოველწლიურად გამოიცემა ორი დედოფლისწყაროელი ავტორის წიგნი, რისთვისაც, კიდევ ერთხელ, დიდ მადლობას მოვახსენებთ ამ ინიციატივის ავტორსა და განმანარციელებელს - ბატონ ზაზა გამგებელს, ასევე მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ დღევანდელ თავმჯდომარესა და გამოცემული წიგნების რედაქტორს - ქალბატონ ნატო ყატაშვილს.

ვფიქრობ, ამჯერად, ეს მცირე შესავალი საკმარისია, დანარჩენს თავად აღმანახით მოგვიყვება.

**გიორგი ნატოშვილი  
ლიტერატურულ აღმანას „ხორწიაბუჯის“  
რედაქტორ-გამომწერლი**

### გამარჯობა, ძვირფასო მკითხველო!

**მ** ლეს, როდესაც ახალი თაობები, სამწყხვისოდ წიგნის, მიღმა ეძერენ საზოგოს ერთო-რად მნიშვნელოვანია ახალი ლიტერატურული ალმანახის გამოქვემდა, რადგან ვინე ისევ საზოგოობს ლიტერატურით, ან ახლა ენაფერა მას, მიეკუს შესაბამისი ასპარეზი ნარმოაჩინოს თავისი ნიჭი და შესაძლებლობები. ამავე მიზანს, ნიჭიერ ახალგაზრდა შემოქმედთა გამოვლენას, ემსახურებოდა დეფოლისტურის მუნიკიპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა ფარვის სუნტრისა და დეფოლისტურის მნერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ მიერ გამოწადებული ლიტერატურული კონკურსი. კონკურსის შესახებ განხეხადება გამოქვეყნდა აფილოშრივ გაზეთ „შირაქში“, ასევე გავრცელდა სოფიალური ქსელით და ყველა მსურველს, ვინე შესაბამის პირობებს აქმაყოფილებდა, შეეძლო მასში მონაბილეობის მიღება. 1მასის დამთავრდა ნანარმოებების მიღება. კონკურსში მონაბილეობა მიიღო ოქარონის ავტორის. ნარმოფენილი პროზაული თუ პოეტური ნანარმოებები შეფასებული იქნა უიურის მიერ და გამოვლინდა ხუთი საუკეთესო ავტორი. ესენია: ზაზა ჰერელი (სუსაშვილი), ხაჭია კვიკვინია, ნათია ზოჭულული, გიორგი ქითიძე და ოთარ კოდაუ. მათგან საუკეთესოდ უიურიმ ერთხმად ალიარ ზაზა ჰერელი (სუსაშვილი). სწორედ მათი ნარმოფენით ვინცებთ ალმანახ „ხორნ-აქუჭის“ პირველ ნომერს; ფეხებინიერი ყოფილობის ახალგაზრდათა შემოქმედება და მრავალი სხვა ახალი სახელის გამოჩენის სანინფარი.



### ზაზა ჰერელი (სუსაშვილი)

დავიბადე კახის რაიონის სოფ. ალიბეგლოში. 2009 წელს დავამთავრე ამავე სოფლის შოთა რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლა. 2009-2013 წლებში ვს-ნავლობდი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის და მართვის ფაკულტეტზე. 2007 წლიდან დღემდე ჩემი ლექსები იბჭდება პერიოდულ გამოცემებში და საერთო კრებულებში: „მესამე თვალი“, „ლექსების გამოფენა 2012“, „ხარს ვგვევარ ნაიალალარს...“, „ალავერდობა“, „თავფურცელი“, „ეგო-ლო“, „ინსპირაცია“...

2011 წელს გავხდი საქართველოს მნერალთა კავშირის მიერ გამოცხადებული ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული და გადმომეცა ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია ნომინაციაში „საუკეთესო პატრიოტული ლირიკა“. 2012 წლის თებერვალში გავხდი გურამ რჩეულიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსის (პროზაში) გამარჯვებული, ხოლო ნომბრის თვეში გადმომეცა ლიტერატურული კონკურსი „მერანის“ საპატიო ჯილდო.

2013-2014 წლებში ვმსახურობდი აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებში, სადაც მომენტა ნამყვანი არტილერისტის ათმეთაურის წოდება. ამჟამად ვარ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი. ვმუშაობ ქალაქ მარნეულის №2 საჯარო სკოლაში საინფორმაციო მენეჯერის თანამდებობაზე.

### ლეგენდა

„რაო, მეფე ერეკლეო? ...არა, ეგ ტყუილია. მე ქლიავი თავზე გადმოვაყარე სპარსელ თათარს, ჩევნს მოსისხლე მტერსა, და არა მეფე ერეკლეს, რომელიც ქართველებს ღმერთივით გვიყვარს; და თქვენ სულ ტყუილად მემუქრებით. არც ძირს ჩამოვალ და არც ბოდის მოვიხდი!“

### იაკობ გოგებაშვილი

მახსოვს, ყვებოდა პაპაჩემი — მთვარის მლესავი, როგორი ქუდი დაეხურა უნდა ჩემიანს... ახლა კი ვხვდები, მატიანეს სანიშნესავით ვიწრო ორლობე ჩაკეცილი რად ჩარჩენია.

გულში... ვფიქრობ და ვიცი, ჩემში ჯავრი არა ზის, რადგან ვარდები მჯერა, მუდამ არც მას ეფინა, ამის გამოა, იღბალმა რომ იმ ერთ შარაზე, სპარსული ქუდი რკოსავით რომ გააგდებინა... ლერთო! მეორედ ალბათ მაშინ დაპატარავდა, — კახი. სირცევილით რომ აერვა მკაცრი პირ — სახე. გაქცეულ გოგოს გაეკიდნენ სახლის კარამდე, ბოლოს პირჯვარიც ქართულადვე გადაისახა; ნარსულს ვმუქავ და ამ კადრებსაც ასე ვატარებ, ვებლაუჭები ღრმა ფესვებს და მჯერა, დღითიდღე, რომ ორლობები ვინმე სპარსი, ანდაც თათარი, სანამ მეორედ გაბედავს და ჩამოივლიდეს, მანამ მრავალგზის გამოივლის ბედის სიავე, ან უფრო ხშირად დაირწევა მუხის აკვანი... და პაპაჩემიც მთელს ბავშვობას გაუნიავებს

ამბავს, რომელმაც დააღონა მეფეთაგანი,  
ამბავს, რომელმაც გულის ფსკერზე ბედი მოკონა.  
ვხვდები, წარსულში აიბლანდა ჩემი სამყარო.  
კაცი არა ჩანს — გაიაროს! თორემ გოგონა,  
აქ ისევ იცდის, ქლიავი რომ გადმოაყაროს...

### ერთი სამარიდან...

ჯერაც არ ჩამდგარა ქარი გუშინდელი,  
დგანან გლეხები და ფიქრებს აფუებენ.  
ალარც ძველებურად მიწას ვუშინდები,  
სადაც ბაბუები  
წვანან.  
სხედან ბექობზე და წარსულს ადიდებენ,  
ირგვლივ ბალახია ფეხებვებს მოსათელი,  
რადგან მივატოვეთ — ჩვენი სათიბები,  
ჩვენი მოსამკელი  
ყანა...  
ბედის ჭიდილია...და გაყუჩებამდე,  
მზერა ამოყვება შარას მინდვრებიანს.  
უკვე ჩამდგარია ქარი კოჭებამდე,  
ანუ იმტვრევიან  
ძვლები.

ვხვდები, ნაჩრდილევმაც თავი ამარიდა,  
თითქოს გრიგალია სულში ჩანვენილი...  
მე კი — წინაპრების ერთი სამარიდან,  
თვალებჩაცვენილი  
ვძრები.  
ხევზე განოლილან ვიწრო ტრამალები,  
ბილიკს ედევნება ბედი კუზიანი,  
დუმან თვალები და, რახან გამალებით,  
გზა ფეხს ფუძიანად  
იდგამს,  
რახან ქარია და გზებიც წაშლილია,  
ძვლების სალამურებს სტვენენ ბაბუები.  
ყველა მისამართით წასვლა ადვილია,  
მაგრამ... დაბრუნება, —  
ვინ თქვა?

### დაწრეულებისა

აქ უფრო მშობლიური ფოთლების შრიალია,  
მაგ სუნთქვის სათავიდან გრიგალი ამოვარდა.  
და მინდა, გზა-ბილიკებს ცხოვრება შევალიო,  
რადგანაც ამ სათიბში უბრალო კალო ვარ და  
მთები კი ხარის მხრებზე დადგმული კევრებია,  
ქოხები მარცვლებივით კალთაზე გაბნეულან...  
მზეები პეპლებივით სოფელს გარს ევლებიან,  
მთვარე კი - დილას იმკის მინდორში ღამეულად.  
წარსული ჩავილაგე ხურჯინში საგზალივით,  
მიყვარხა! მინდა მხოლოდ ოცნება გავიყოლო  
მთებისკენ, სადაც მარტო ბედ-ვინრო გზა-გზა ვივლი,  
მთებისკენ... სადაც უნდა ვირჩინო თავი... ხოლო -  
იმედი ნაკლებად მაქვს, მერნმუნე, გადარჩენის...  
სოფელში, თარეშით რომ სულ ყველა გადაღლილა,  
სოფელში, ლეკები რომ დადიან დამბაჩებით,  
ვბრუნდები, მაგრამ ვიცი, ტყვიას რომ დამახლიან...

ხევზე დაგორდა ნისლის გუნდები,  
მთვარე ღრუბლებმა სადღაც გაქაჩეს.  
ვუსმენ დუმილს და უფრო ვრწმუნდები,  
რაღაცნაირად ვუსმენ პაპაჩემს.

შიში გაქცეულ ყეფას გაურბის,  
დუმილი შრება სადღაც ჭებივით...  
კარებს ჭრიალით ალებს ხმაური  
და შინ შემოდის პაპაჩემივით, —  
თუთუნს ავსებს და თბება ბუხართან,  
მერე კი ასე — ფიქრები ჩარჩენილს,  
გამიყვანს გარეთ, როგორც უყვარდა,  
წინ გამიძლვება კვლავ პაპაჩემი.  
გავივლით ბილიკს ნისლით მოფენილ  
და მთელს ეპოქას დამბაჩებიანს...  
ვხედავ და უფრო მჯერა, სოფელიც  
შრომით დაღლილი პაპაჩემია.  
ქარით ივსება სოფლის აუზი,  
მალე ქედს იქით მთვარე ჩამივა.  
მივდივარ... ვწვები სასაფლაოზე,  
რადგან მეც ერთი პაპაჩემი ვარ.

### ნაცვლა

ჯარში, სადაც მინევდა სამსახური,  
ანუ უცხო ქვეყანაში,  
გრძელი დერეფნის ბოლოს  
გასული საუკუნის მოვლენების  
ფოტო-გალერეა იყო მოწყობილი.  
იქვე, ერთ-ერთ ფოტოს,  
ძალიან უბრალო, შავ-თეთრ ფოტოს,  
შიშით შეპყრობილი ქალაქის ფოტოს,  
ძალიან მარტივად,  
შეეფარებინა მებადური ბავშვები  
და ნანგრევებზე დამსხდარი მტრედები;  
ძალიან მარტივად...  
ძალიან მარტივინარჩერა ჰქონდა გაკეთებული:  
„დაცარიელებული სოხუმი“.

დღეს აღარც მიკირს უშენობის შემოფეთება,  
ქალაქო, როცა ირგვლივ შიში არის სრულებით,  
როცა დღე-ლამე ჩვენს მინაზე გვიწევს ხეტება  
და მაინც გვძვია - სამშობლოდან გარიყულები...  
ვტოვებთ ყველაფერს. თითქოს ერთობ ასე ვინებეთ,  
მივდივართ, უკან მოგვყებიან ჩვენი მხლებლები,  
ხანაც ქვეითად, ხან უბრალოდ მიგვაცილებენ  
სადგურებიდან გაქცეული მატარებლები.  
ისევ მივიწევთ ვიწრო გზებით, ვიწრო სიზმრებით,  
მოგონებები ჩვენს ქალაქზე ხშირად იელვებს;  
მაინც მივდივართ... და გზადაგზა მივეზიდებით  
ჩვენივე ხონით დამძიმებულ სიცარიელეს.  
გვრჩება იმედი და ტკივილი ნაათკეცევი,  
რადგან სახლები დავუტოვეთ ძვირფას ბეღურებს...  
იქნებ ქალაქში სიზმრებშიც და ცხადშიც ვეცემით,  
მაგრამ სოხუმში ჯერ არ სძინავთ მიცვალებულებს!  
- და არაფერიც შეიცვლება, ჩემო ბალაბეი,  
რადგან ზურგს უკან (დაკარგული) ჩვენი მთებია.  
დედის თვალები ნალმებივით ცრემლებს მაღავენ,  
ბიჭებს? - ნამდები წამდაუნუზ გვიფეთქდებიან  
მკერდში... და სულიც ყოველ ღამით ღელვას უმატებს,

როცა სიზმრიდან ხელს მიქნევენ ცელქი ბავშვები; გავიღვიძებ და გვერდს ავუვლი ფოტოსურათებს და ნანგრევებზე დამსხდარ მტრედებს ვეთამაშები. რადგან იმედებს ჩავუსახლდით ისევ მდგმურებად, რადგანაც გვახსოვს სიზმრებამდე ჩვენ ვინ ვიყავით... ახლა განგებამ რომ გვაქციოს მებადურებად, ალბათ თევზივით (შავი ზღვიდან) ამოვიყვანდით ...

სოხუმს ვშორდებით.

(უხმოდ) ვეთხოვებით ძვირფას ბიჭუნებს, თუმცა გარშემო სისხლის ბუღი უონავს ბოლივით, ჩვენ კი უბრალოდ, ავდექით და ასე ვირწმუნეთ, რომ დავიბადეთ ტკივილებით თანდაყოლილი. ვშორდებით... თითქოს დაჭრილია მთვარე კისერში, ღამეა, ირგვლივ ყველა შველას ითხოვს, ბალაბე,

მაინც მივდივართ, თუმცა ვიცი, ახლა ისე შინ ვერ დავბრუნდებით, თუკი ბედს არ გაგვიკვალავენ. შეხედე, ქარი ღამის ყუნწში შემოეტია, წვიმს და ყელამდე ამოვსილან შიშით სანგრები. ყოფნა-არყოფნა, მე თუ მკითხავ, ეს სულ ერთია, ბოლოს ხომ მაინც საფლავები შეგვიმაგრებენ ზურგს... და ჩუმად ვართ, ლაპარაკობს ქარი ამინდზე და მჯერა, უფრო, ამინდებზე ხშირად ვიცვლებით, რადგან დგანან და მიყოლებით სულის სამიზნეს ანადგურებენ ცხვირაწვდილი ჰაუბიცები... მაინც მივდივართ... სხეულები ისე ჩამოხმა, ვითვლი ტყვიებს და ვაკვირდები ზეცას - მოღუშულს. და როგორც იქნა, გამოვედით ენგურს გამოლმა, საქართველო კი დაჭრილივით დაგვრჩა სოხუმში.



## სიყვარულის...

დღეები ჩემგან ისე გარბიან, როგორც სივრცეში გალაქტიკები და სიყვარულის ზღაპრულ მაგიას გახევებული უკან მივყვები. დრო აღარვისალარ იცოდებს, ყველა ბილიკი ისევ ჩამუქდა, დღეიდან ქვეყნად რასაც ვიცოცხლებ, უნდა ჩავთვალო ღმერთის ნაჩუქრად. აი, გადავცდი უკვე ნახევარს, მოექანება ჩემკენ დაღმართი, შეიძლებოდა უკან დახევაც, ოღონდ, მანამდე სანამ გნახავდი. ახლა, როდესაც ნარსულს ვიხსენებ, ყოველი ფერის მიჭირს დათმობა, შენი თვალები მწვავენ ისევე და შენი სუნთქვით მინდა დათრობა. ვერ ავიფარე მაინც ნიღაბი, თუმცა მიცემდა ბევრი დაცინვით, მე შენ მიყვარხარ, როგორც მიყვარდი, იმავე გზებით და თავგანწირვით. მინდა მოგვიო მხრებზე მკლავები და გაზაფხულის მოსვლა გახარო,

## ხატია ავიაციისა

დაიბადა ფოთში 1993 წლის 10 ნოემბერს. მან დაამთავრა ფოთის №7 საჯარო სკოლა. სწავლობს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის IV კურსზე.

რომ ერთხელ კიდევ, ცამ ვარსკვლავები თავზე პეშვებით გადმოგვაყაროს. სანამ არყოფნის ნისლი შებურავს, ამ მინდორ-ველებს თეთრი სუდარით, მსურს შენთან ვიყო და ძველებურად გვქონდეს საერთო ნავსაყუდარი.

კვლავ იჩხრიალონ ნაკადულებმა და ჩანჩქერები ხტოდნენ ლოდებზე, ტანგაძარცვული ჩვენთვის ბუნება ისევ აყვავდეს, ისევ ოდესმე.

სხვებმა იარონ ერთად ამ გზებზე, ბორძის-ბორძიკით, როგორც ბავშვებმა და იფრიალონ მაღალ ანძებზე, სხვა სიყვარულის ბაირალებმა.

სხვა შუქი ედგათ მთებს და ხეობებს და ერთმანეთით სხვებმა იხარონ, მე კი თუ მოვალ ქვეყნად მეორედ, მხოლოდ მისთვის, რომ შენ შეგიყვარო.

## გარდაქახვა

იმარჯვებ ჭიდლილში  
ბედთან, თუ მარცხდები,  
სულში იშლებიან  
კაეშნის ყლორტები,  
როდესაც გარკვეულ  
პერიოდს გასცდები  
და სხვა ჟამს  
ნელ-ნელა მიუახლოვდები.  
რატომღაც გგონა  
უწყალოდ გაგქურდა  
ჟამმა და მიგაკრა

დარდების საწოლზე,  
ასგზის გააზრებულს  
ცხოვრებას საკუთარს  
კვლავ ასწონ-დასწონი  
სიმართლის სასწორზე.  
ისევ დაიწყებდი  
ბევრ რამეს თავიდან,  
რომელიც იდესმე  
მიგაჩნდა აპსურდად,  
თუმცა, რაც გონია  
უკვალოდ წავიდა,  
ჯერ ისევ შენშია,  
არსად არ წასულა.  
მაშ თავს გალიაში  
რად გრძნობა ჩამნებული  
და აბორგებული  
კედლებს რად ეხლები?!  
ანდა რატომ გტანჯავს  
სული და სხეული  
მნარედ დაჩხვლეტილი  
ცოდვების ეკლებით.  
გიყვარდა, უყვარდა,  
მაგრამ გაცვეთილი  
გრძნობა ძველებურად  
გულს აღარ გიხარება.  
არ გამოადგება

შენი გაკვეთილი  
სხვას, ის მომავალში  
თავად შეიყვარებს.  
ბევრჯერ შთაგონების  
ხანძარიც გეკიდა;  
მეგზურიც ყოფილხარ  
ძნელ გზებზე ქარავნის;  
ხომ დარჩა რალაცა  
ძველი გრძნობებიდან  
ბოლომდე მთლიანი  
და გაუბზარავი.  
კმარა ეს თვითგვემა  
და ფიქრიც გეყოფა,  
რომ თავი მართლაც და  
არ იგრძნო ეულად,  
ანდა რას შესჩივლებ,  
ან რომელ მეგობარს  
საკუთარ სულში რომ  
ჯერ ვერ გარკვეულა.  
ამდენი ტკივილის  
ძნელია ატანა,  
თითქოს მისტიური  
კვანძი ინასკვება  
და როგორ გაუპო  
ბევრს გული სატანამ,  
ერთ დღეს ჩემი გულიც

დარდისგან გასკდება.  
თვალინი ჩაივლიან  
წყებებად წასულნი,  
ისინი, ვის გამოც  
ბედს ასე ემდურვი;  
წმინდა სახეები  
ჩარჩოში ჩასმული  
მოგაცემულდებიან  
ჩუმი საყვედურით.  
ვეღარ ანუგეშებ  
ამდენ განბილებულ  
ბავშვობის სიხარულს,  
გარდასულ ოცნებას  
და თვალს გააყოლებ  
სევდით გაბრნებუნებულ  
ვარსკვლავს უეცრად რომ  
ზეციდან მოსწყდება.  
კვლავ იყვავილებენ  
დამჭკნარი კორდები,  
ნუ შეგეშინდება  
განცდების გამხელის,  
რომ ქვეცნობიერად  
იმ წამს ელოდები,  
როდესაც შვილებში  
გარდაისახები.

## ნათია ბობაოვალი



დაიბადა 1995 წლის 17 აპრილს ქალაქ თელავში, 2013 წელს დაამთავრა თელავის მე—5 საჯარო სკოლა. მოსწავლეობის პერიოდში მონანილებდა მოსწავლეთა რესპუბლიკურ კონფერენციებსა და სხვა კონკურსებში. 2008 წელს უურნალ „ოლეს“ კონკურსში „ჩვენ მოვდივართ“ დაჯილდოვდა საუკეთესო მინიატურის წარდგენისათვის.

ამჟამად სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების მე—2 კურსზე. მუშაობს ახალგაზრდულ უურნალ „360 გრადუსში“ და თანამშრომლობს უურნალ „ისტორიანთან“.

## სახიყვარულო ესკიზები

### პროლოგი

ერთ წევიმიან საღამოს ჩემს სარქმელთან აიტუზა, მთლად გალუმპულს დახეული კაბა, განეწილი თმები და შეშლილი მზერა ჰქონდა... შემეცოდა... ფანჯრიდან პირდაპირ ჩემს ოთახში შემოვიყვანე... თმა დავვარცხნე, ლამაზი კაბა ჩავაცვი.. სულ ორი კვირით იცხოვრა ჩემთან.

ოჯახის წევრები მას ვერ ხედავდნენ, მისი ხმა არ ესმოდათ (თუმცა მისი ხმა არც მე გამიგია არასდროს), ამ ორმა კვირამ ძალიან შეცვალა, განაზდა, დაიხვენა, გალამაზდა..

ერთხელ დამსვა და მთლად დაუკითხავად გულზე შემახო ხელები, თვალები დამახუჭინა... ასე ვისხედით კარგა ხანს, არა უფრო სწორად ვიჯექი, იმიტომ რომ,

როცა თვალები გავახილე ის იქ აღარ იყო!

-სად ხარ! —ხმამაღლა ვიკითხე.

-აქ ვარ... —მომესმა ხმა ჩემი გულიდან...

შემეშინდა, მაგრამ მაინც ვკითხე:

-ვინ ხარ?

-ცოტა ხნის წინ არარობა ვიყავი, ახლა სიყვარული მქონა.

ეს მივიღე პასუხად... ასე დაიდო ბინა ჩემს გულში... სამუდამოდ...

\* \* \*

-რა გინდა, არ მომშორდები?

-არა...

-რატომ? სად გაგიგია, სარეველა და გვირილა ერთად იდგნენ?

-არსად

-ჰოდა, მერე რა გინდა? შენი ადგილი არ იცი?

## ლიტერატურული კონკურსი პადმისივლები

- ჩემი ადგილი შენს გვერდითაა..
- მე ასე არ ვფიქრობ!
- მართლა?
- დარწმუნებული ბრძანდებოდე! რა, ასე რატომ დამსაჯა ბუნებამ... მეცოდება საკუთარი თავი, ეს ვინ ამომიყენა გვერდზე...
- გაჩუმდი!
- რაა?!
- გაჩუმდი, თორემ შემოგეხვევი..
- ვერ გაბედავ! ან რატომ უნდა შემომეხვიო?
- იმიტომ, რომ მიყვარხარ!!!

\*\*\*

- აკაცია, აკაცია, რა მშვენიერი ხარ აკაცია! — აკაცია იღიმება და თავს ხრის...
- რატომ დაიმორცხვე, ულამაზესო? შემომხედე!
- უკვე გვიანია, მეძინება! — მიზეზებს ეძებს აკაცია.

მთვარე თავის დანებებას არ ჩქარობს.  
- ერთხელ გამიღიმე და წავალ... — პირობას დებს მთვარე.

- არა, სირცხვილია! — ბრაზდება აკაცია.
- ყველას ძინავს, რისი გრცხვენია? — ეკითხება მთვარე. აკაცია იბნევა... მთვარეს რაც შეეძლო დაბლა დაიხარი, ისე, რომ უკვე აკაციის ჯადოსნურ სურნელს გრძნობდა და სუნთქვაშეკრულმა ძლივს ამოღერლა:
- თანაც ამ გრძნობას არავინ დაგვიგმობს...
- რა გრძნობას? — აღმური მოედო აკაციას.
- სიყვარულს! — თქვა მთვარემ და მთლიანად ჩაიძირა აკაციის ნაზ სურნელში...

\*\*\*

- ისევ შენ?
- სხვას ვის ელოდი?
- კარგი, ნუ მემალები!..
- ჯერ სულ ეხლა გავიშალე, მადროვე ცოტა...
- შეხედე შენს მეგობარ ყვავილებს, ჯერ მთლიანად არ გაშლილა და უკვე იწვევენ ფუტკრებს...
- ტყუილად მეზუზუნები... გგონია, მაგ დარიგებებით რამეს შეცვლი? წადი, სხვა ყვავილი მოძებნე!..
- მე შენს მეტი არავინ მინდა!
- რატომ?
- იმიტომ, რომ მიყვარხარ!!!

\*\*\*

- რის თქმას აპირებდი?
- არაფრის... — ჭია-მაია უფრო გაწითლდა.
- მაშ, რა გინდოდა? გუშინ რატომ დამიძახე?
- ისე... უბრალოდ... — ჭია-მაია უფრო დაპატარავდა.
- ისე, უბრალოდ არ ეძახიან არავის! — ჩაიძუტბუტა პატარა მწვანე რტომ.
- მე დაგიძახე... — დარცხვენილმა თქვა ჭია-მაიამ და თავი ჩაქინდრა.

- ისე უბრალოდ დამიძახე და არაფრის თქმას არ აპირებდი? — ჩაეკითხა რტო.
- ისე, უბრალოდ უნდა მეთქვა, რომ... აი, მე ისე უბრალოდ რომ მიყვარხარ, ეგ უნდა მეთქვა...

\*\*\*

- შემირიგდი, მაპატიე! ძალიან გთხოვ...
- არა!

- გეფიცები, ეს აღარ განმეორდება!
- წადი! ვაზი უკან ბრუნდება და ხეივანზე ცოცდება.

- ცოდოა, ალუბალო, შეურიგდი! ისეთი არაფერი უწყენინებია შენთვის. — შეეხვენა კელუც ალუბალს მეზობელი ვაშლის ხე, თან ხეივნიდან გადმოკიდებულ ვაზს გახედა.

- არა, ერთი წუთითაც არ უფიქრია ჩემზე, რას მებუტებოდა?! „აპრილის მოსვლას გილოცავ, ჩემო ლამაზო“ — გამოაჯავრა ალუბალმა ვაზს. ვაშლის ხემ გულიანად გადაიკისკისა:

- მთვრალი იყო ეპატიება!

- არ ეპატიება! ყველა ჩვენ გვიყურებდა! მთელი დილა ატმები ჩემზე ჭორაობდნენ...

- რა განერვიულებს, ეგენი ყველაზე ჭორაობენ, ალუბალო, გახედე, ტირის...

- მართლა? ალუბალმა ჩუმად გააპარა თვალი ვაზისკენ... ვაზი ცრემლად იღვრებოდა...

- იცი, ერთ რამეში დავრწმუნდი... — თქვა ვაშლის ხემ.

- რაში?

ვაშლის ხე ალუბლისკენ გადაიხარა და რაღაც ჩასრუჩულა, მის ტოტზე ჩამოსეუბებულმა ღობემდვრალამაც ინტერესით დაცქვიტა ყურები... გაიგონა ვაშლის ხის ნათქვამი და აწრიაპინდა:

- ძალიან უყვარხარ, უყვარხარ, უყვარხარ...

\*\*\*

- ერთხელაც მივალ და ვეტყვი, არა, ხვალ მივალ, არა ამ საღამოსვე ვეტყვი და ავჭხსნი, მაგრამ როგორ ვუთხრა?! პირდაპირ ვუთხრა? არა, ცოტა შესავალი ხომ ჭირდება? „მერცხალო, მე შენ მიყვარხარ...“ აჲ, გულში კი ვამბობ, მაგრამ ხმამალლა ვეტყვი? გავბედავ? უნდა შევძლო, ხმამალლა ვიტყვი და წარმოვიდგენ, თითქოს მას ვეუბნები, აი თვალებს დავხუჭავ და უფრო ადვილად წარმოვიდგენ: „ჩემო საყვარელო მერცხალო, ალბათ, შენც იცი რომ დღეს სიყვარულის დღეა, აპრილის ულაზესი დღე, მეც გადავწვევიტე სწორად დღეს მეთქვა შენთვის ყველაფერი, მეთქვა ის, რაც დიდი ხანია გულში მაქვს, მიყვარხარ და ამ გრძნობას რამდენი წელია ველოლიავები, მიყვარხარ და გთხოვ, მიიღე ჩემი სიყვარული, არ იფიქრო ამას გავალდებულებდე, უბრალოდ დღეს... თუ კი დღევანდელ დღეს სასწაულები ხდება, თუ სიყვარული მართლა ჯადოსნურია...

- ჯადოსნურია...

ბელურას გულმა დიდი ტკივილით და ბედნიერებით დაარტყა, ამოისუნთქა ისე ღრმად, თითქოს საბოლოო იყო ეს ამოსუნთქვა, თვალები აღარ გაუხელია, ისედაც კარგად იცოდა, რომ თავისი საყვარელი მერცხალი ეკვროდა თბილ მკერდზე. უბრალოდ ჩაეხუტა, ჩაეხუტა მთელი გულით და ჩასრუჩულა ჯადოსნური სიტყვა, სიტყვა, რომელიც ყველას აბედნიერებს და სასწაულს ახდენს: „მიყვარხარ!“

\*\*\*

- ახლა მაინც დამნებდი! — გარშემო უვლის ნიავი დიდი ჭადრის ერთადერთ ხმელ ფოთოლს...

- არასოდეს! — მტკიცედ პასუხობს მთლად გაყვითლებულა, მხრებცახახა ფოთოლი...

- ჩამოგაგდებ ამ ხიდან და მერე ხომ იცი, რაც მოგივა? — ირონიული ღიმილით ემუქრება ნიავი.

- არ მადარდებს.

- გაგანადგურებ...  
- ბოლოსდაბოლოს, როდის უნდა შეწყვიტო ეს ამაზრზენი ქცევები, რაც თავი მახსოვეს სულ ასეთი ხარ, დამანებერა თავი, მაცადე მშვიდად სიკვდილი! ჩემი სიმწვანიდან მოყოლებული სიყვითლემდე...

ნიავმა ფოთოლს წინადადების დასრულება არ აცადა, ძალა მოიკრიბა, ხიდან მოწყვიტა, მის სხეულს აეკრა და ჰაერში აიტაცა.

- რას აკეთებ? — დაინივლა ფოთოლმა.

- იმის, რის გაკეთებასაც შენი სიმწვანიდან მოყოლებული სიყვითლემდე ვოცნებობ... — ჩასჩურჩულა ნიავმა და ფოთლის მოცახცახე მხრები გულში ჩაიკრა...

\* \* \*

- დღეს ჩვენი ქორწინების ოცი წლისთავია! — თქვა ქალმა და ანთებული თვალებით შეხედა ქმარს.

- ოხ, როგორ გამომრჩა, გილოცავ, საყვარელო... ბოლო სიტყვა რატომლაც ხელოვნურად დაამატა კაც-მა.

- არ აღვნიშნოთ? — იმედიანი ხმით იყითხა ცოლმა.

- თუ მოვიცალე, ავლიშნოთ. — ნაძალადევად და-თანხმდა ქმარი.

მოიცალა... სალამოს შვიდი საათისთვის პატარა კაფეში დასხდნენ; კაცმა ყავა შეუკვეთა, ქალმა- ჩაი.

ბევრი ისაუბრეს ამინდზე, ქალაქში შექმნილ საცობებზე, ოჯახის შემოსავლებსა და გასავლებზე. შემდეგ მთელი ოცი წუთი დუმილი ჩამოვარდა, რომელიც არცერთს არ დაურღვევია; დიდი დრო ყოფილა ოცი წუთი, ყავა და ჩაი საგრძნობლად გაციებულიყვნენ.



## ჰაკერი

„მე ჩემი პაპის პაპის პაპების პაპის პაპები მგონია მთები“, ჩემითუშებისსისხლითმორწყულმდინარებისკალმახეჭსვეტრფი. მე ვეტრფი ხარ-ჯიხვს, მთიდან მოცეკირალს საჯიხვებში დათოფილ ნადირს, უკანიან თოფით ნასროლ ტყვიასაც ვეტრფი მიზნისკენ სწორად გასროლილს. უკიდეგანო მთების ნისლივით თავს დამტრიალებს წინაპართ ჩრდილი, მეამაყება ქართველი მერქას, ამ ლამაზ მთების შვილების შვილი. ეს თუშეთია ჩემი საძვალე, ამ ბურებაში სიკვდილსაც ვნატრობ, წუთისოფელო, საით მატარებ?... არ გსურს ამ მთებში სიკვდილი მარგო?!

## ქვერი

უკვე წლებია, რაც ეზოს ღობის ძირშია მიგორებული, აღარაფერს აღარ აქვს აზრი, აღარაფერს, აღარ სიცოცხლეს... ანდა როდის ჰქონდა? რაც თავი ახსოვს ასეა მიწოლილი, ხავსმოკიდებული, ჩაუძმებული, ძირგამავაყებული, მუდამ მთვლემარე, უმეზობლოდა ყველასგან დავიკიდებული... დღემდე...

დღეს მოვიდა ვიღაც კაცი, ქვევრმა სახე ვერ დაუნახა, მარტო წინდებში ჩატანილი, შეტალახებული-შეთხუბნული, ხაკისფერი შარვალი შეამჩნია, აიყვანა ხელში ამ „ვიღაცამ“ და შემდეგ მთელი სამი საათის განმავლობაში ხეხა და რეცხა...

გასუფთავებული მზის გულზე დადო გასაშრობად, ვაშლის ჩირივით. იმ საღამოს უკვე კარგად გამომშრალი, თითქმის გამოფიტული, კიდევ უფრო დაპატარავებული, კვლავ ხელში აიღეს, დადგეს და მუცელში რაღაც სურნელოვანი სითხე ჩაუსხეს, ორმოში ჩადეს და ყელამდე მინა მიაყრეს. თავიდან ვერაცერი იგრძნო, მაგრამ თანდათან ეს სითხე მისი სხეულის მოწითალო-მონარინჯისფრო კედლებს გაუჯდა... აუჰ! რა სასიამოვნო იყო! გაბრუვდა... დათვრა ქვევრი, დათვრა და აქამდე მუჯგმა სიმღერა შემოსძახა:

„ლალე, ლალე, დივლი-დალალალეე“

ეს რა დამალევინეთ?! თქვენ კი გენაცვალეეთ!!!“

„სასმელი კარგი იყო! სიმღერაც! აი, ერთი ქალიც რომ, მყავდეს გვერდით, მეფესავით ვიქნებოდიო!“ — ინატრა ქვევრმა და ამ ფიქრებში ჩაეძინა...

## გიორგი მათარაული (ქითიძე)

დავიბადე ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანში 1989 წლის 17 თებერვალს. 90-იან წლებში გადავედით თბილისში, სადაც დავამთავრე, გურამ რჩეულიშვილის სახელობის, მე-6 გერმანული, საავტორო სკოლა.

2007 წელს ჩავაბარე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ინფორმატიკის ფაკულტეტზე. 2009 წლიდან ვმუშაობდი სხვადასხვა კომპიუტერულ კომპანიებში ტექნიკური განხრით. დღესდღეისობით ვენევი მომთაბარე ცხოვრებას. აღბათ სისხლმა მაინც თავისი მოითხოვა. ორი წელია თითქოსდა მუზებმა შემომიტიეს და ვწერ ლექსებს, აღბათ პოეზია გენების შვილობილი უნდა იყოს ვიდრე უბრალო გატაცება.

## კუსელოს კოშკეზი

(ექვსი დევი)

კუსელოს კოშკებს ვუცეკერდი,

მოსჩანდნენ, როგორც დევები,

თითქმის ნადიმი ემართათ,

გვერდს გამოუბამთ ცხენები.

უფროსი კოშკი იმას ბჭობს,

რა არის საკეთებელი,

სოფლისა ბედის-იღბალის

ფარხმალი საჭედებელი.

მეორე კოშკი იძახის —

დრო ვერ დამაკლებს მგონია,

თუ შვილი პაპის ისრების

შორს უფრო გადამსროლია.

ახლა მესამე გადმოდგა,

გვერდს უმშვენებდა ალამი,  
სიტყვას აწევდა მართებულს  
ამ სოფლის ჭირის-ვარამის.  
მეოთხე იმას ჩიოდა,  
სად გაჰქრაჩვენი ხატები,  
რად მიიბილნა, მივერცხლდა  
ის გული სულის მნათები?!  
მეხუთე დუმდა ბერხენი,  
ხმას არ ილებდა, ნისლობდა,  
ცალ თვალზე ცრემლი სდიოდა,  
ალბათ წარსულზე ფიქრობდა.  
ახსოვდა ძველი საქმენი,  
სიდარბაისლე, გმირობა.  
მეექვსე იდგა ეული,  
პირქუში, გადარეული;  
მხოლოდ ისა თქვა – ხომ იცით,  
მტრები ჩვენს მინას რომ ხრავენ,  
ახლა ავისხათ აბჯარი,  
ბებრისა რქებიც შორს ხნავენ.  
მეშვიდე – თავი მეგონა  
ჩართული პაექრობაში.  
მეც ერთი სიტყვა ვაწიე  
საერთო საქმეს ბჭობაში.  
ვიცი, გზა არის ბედკრული,  
ზღუდე დიდია ქვაველის,  
მინდა თქვენთან ვდგე, ვიბრძოლო,  
სიტყვა ვარ „მეთუშაელის.“

### ლექსი სუცილის ძსხილი

რა არის ლექსი – თუ არა სულის ძახილი,  
რა არის მუზა – თუ არა მშვენება ქალის,  
რა არის სევდა – თუ არა გადატეხილი მახვილი,  
რა არის სიტყვა – თუარა ნამუსი კაცის.

ლექსი – სულისა ძახილი,  
მუზა – მშვენებაქალისა,  
სევდავ რად გასტეხ მახვილი?!  
სიტყვა – ნამუსი კაცისა.  
თქვენ რაღაც ჩემზედ კაფიობთ,  
ლექსი, დაგვიდგა სათქმელი,  
სადაც ჩვენ მარტოდ გვივლია  
იქ თქვენ გახდებით სათრევი.  
და როცა გაზაფხულდება,  
გზას ავუყვებით დეკიანს,  
ღრუბლებს მაღლიდან დავხედავთ  
ნაამაყევს და ეშხიანს,  
მივალთ სამოთხის კარამდე,  
ჰაერს იქ ვიგრძნობთ ფესვიანს.  
თუშეთი – ჩემი საყდარი,  
სად არის მისი სადარი?!  
ბარად სიცხეში წყურვილი –  
იქ სიგრილე და ავდარი.  
მერე ბუნებაც სხვა ფერი  
ფიჭვნარი იალალები,  
ხარ-ჯიხვ, ნიამორ მრავალი,  
ტალი ან იარალები.  
კლდიდან ჩანჩქერიც გადმოსჩქეფს,  
ამას უმღერდა ფრთოსანი,  
არნივი, სვავი, ყორანი,  
კლდიდან ნაჩეხი რქოსანი.  
ნისლში შეცყურდა სოფელი,  
ამას შეჰყურებს მგოსანი,  
ამის შემხედვარს ეჩვენა  
სულმნათი გვირგვინოსანი;  
ძმობილ-დობილნიც ჰკითხულობთ,  
მთიელ იქნების, ფხოველი?  
არც ერთი ვარ და მეორე,  
თუში ვარ ხახაბოელი!



\* \* \*

ჩამოქრა ზარებმა სამია ღამისა,  
აჯანყდნენ ფიქრები თელავენ წამნამებს,  
თვალები წატვრამ და ფიქრებმა დანისლა,  
დღეს ისევ უმენოდ სიცოცხლე მანამებს,  
ანმყოში ვერ გხედავ, რა გითხრა მომავლის,  
და ვიცი შენ ჩემზე სრულიად არ ფიქრობ,  
დავრნმუნდი დღეს შენზე ფიქრები რომ არ ღირს,  
და მაინც მომავალს ისევ შენ დაგითმობ,

### ოთარ ეოდუ

დაიბადა 1996 წლის 1 აპრილს. დაამთავარა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლა.

ეგ შენი ღიმილი ტკივილად მატყვია,  
და შენი თვალები წარსულად ვინახე,  
დღეს ვცდილობ, ვიშუშებ გრძნობების წატყვიარს,  
საფლავი გავთხარე და გრძნობა მივმარხე,  
ის ყველა გრძნობები რაც კი მაქვს წამხელი,  
ის ყველა შეხვედრა წამი თუ საათი,  
ალარ მწამს მე უკვე ოცნების ახდენის,  
მომავლის იმედი რატომლა წამართვი,  
დღეს ვცოცხლობ თუმცალა მომავლით მკვდარი ვარ,  
ყოველდღე ვაკითხავ დამარხულ გრძნობებსაც,  
მომავლის იმედით სულ ერთი წამი ვარ,  
მეც მქონდა გრძნობები, მიყვარდა ოდესლაც.

ამ რუბრიკაში უფრო ახლოს გაგაცნობთ იმ ადამიანებს, ვინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. აქ მხოლოდ კულტურის სფეროთი არ შემოვიფარგლებით. ამჯერად, ალმანახის პირველი ნომრის სტუმარია ხორნაბუჯისა და ჟერეთის ეპისკოპოსი დიმიტრი (კაპანაძე)

— გვაკურთხეთ მეუფეო! იქნებ გაიხსენოთ ბავშვობა, ის მშობლიური გარემო, სადაც აღიზარდეთ, სადაც აღიქვით პირველად სამყარო, საიდანაც მოვდივართ ყველანი.

— 1975 წლის 19 ივნისს დავიბადე ხარაგაულის რაიონის სოფ. ხორითში, მრავალშვილიან ოჯახში (მყავს ორი და და ორი ქმა). იმერეთის პატარა სოფელში მოხდა ჩემი ზიარება სამყაროსთან. მქონდა ისეთი ბავშვობა, როგორიც ზოგადად შეიძლება ქონდეს სოფელში ადამიანს.

— თქვენი მშობლებისა და ოჯახის წევრების შესახებ იქნებ უფრო ვრცლად გვესაუბრა.

— დედა — ნელი კალანდაძე გახლდათ კულტურის მუშაკი. მამა — ვანგერი კაპანაძე მუშაობდა სსმ-ში (სამშენებლო-საინჟინრო მატარებელი). ქმა — რევაზ კაპანაძე არის სასულიერო პირი და მოღვაწეობს ადიგენის რაიონში. და — რუსუდან კაპანაძე (მონაზონი სერაფიმა) ასევე სასულიერი პირია. რაც შეეხება უცროს და-ქმას არჩილ და სოფო კაპანაძეებს ისინი საერონი არიან. სოფო მუშაობს ქ. ზესტაფონის საპატრიარქო ბალების გაერ-



ნი მარინა ლურსმანაშვილი, რომელთანაც ხშირად ვკამათობდი ადამიანისა და სამყაროს შექმნის თეორიაზე, დღეს ეს პედაგოგი საკმაოდ აქტიურ ეკლესიურ ცხ-



მეუფე დიმიტრი მე— 9 კლასის მოსწავლე ოვრებას ეწევა და ხშირად ამაყობს თავისი მოსწავლით.

— სკოლის შემდეგ სად გააგრძელეთ განათლების მიღება?

— სკოლის შემდეგ სწავლა გავაგრძელე ქ. ახალციხის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, პარალელურად ვსწავლობდი ახალციხის სასულიერო სემინარაში.



მეუფე დიმიტრი ოჯახის წევრებთან ერთად

თიანების დირექტორად, ხოლო არჩილი მშობლებს ეხმარება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.

— თუ გახსოვთ ღმერთან თქვენი პირველი შეხვედრა?

— სამწუხაროდ კონკრეტულ მომენტს ვერ ვიხსენებ, თუმცა ღმერთის შესახებ მესაუბრებოდა ან განსვენებული დეიდა, რომლის დამსახურებაცაა ჩემი სასულიერო პირობა.

— რომელ სკოლაში სწავლობდით ( გამორჩეულად თუ გახსოვთ რომელიმე პედაგოგი)?

— ვსაწვლობდი სოფ. ხორითის დაწყებით სკოლაში, სოფ. სარგვეშის არასარულ საშუალო სკოლაში და დავამთავრე სოფ. ლაშის საშუალო სკოლა, რომელიც წმ. სიმონ მჭედლიძის აშენებულია. გამორჩეულად მახსოვს და მიყვარს ბიოლოგიის მასწავლებელი ქალბატონი



სტუდენტობა

— თქვენი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში (ბერობას ვევრულისხმობ) ვინ და რამ ითამაშა გადამწყვეტი როლი?

— ჩემს გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია საფა-



საფარის მონასტერი, მეუფე  
დიმიტრი ბერიძის დროს

რის მონასტერში გატარებულმა დღეებმა, მონასტრის წევრების მიერ გამოვლენილმა დიდმა სიყვარულმა და იმ დიდმა სინმინდემ, რომელსაც ამ ადამიანებში ვხედავდი.

— ეკლესიაში თქვენი მოლვანეობის შესახებ თანამიმდევრული ცნობები საინტერესო იქნებოდა საზოგადოებისათვის.

— 1994 წლის 21 ოქტომბერს საფარის მონასტრის წინამდლვარმა თეოდორემ (ან მიტროპოლიტი თეოდორე) შემმოსა სამორჩილო კაბით. ერთი წლის შემდეგ ალმკვეცა ბერად დიმიტრი თესალონიკელის სახელზე. 1996 წლის 10 მარტს ახალციხის მიტროპოლიტმა სერგიმ ხელი დამასხა დიაკონად. 1997 წლის 12 იანვარს ბოდბელმა ეპისკოპოსმა თეოდორემ წმიდა მოციქულთა სწორის წინოს საფლავზე მაკურთხა მღვდლად. 1996—98 წლებში ვმოლვანეობდი ბოდბის ეპარქიაში. თითქმის წელიწადნახევრის განმავლობაში ვიყავი სილნალის წმიდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძრის



მეუფე დიმიტრი სილნალში მსახურების დროს

წინამდლვარი. ამის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ვმსახურობდი ადიგენის რაიონში წმიდა თამარ მეფის სახელობის სამლოცველო სახლის წინამდლვრად. 1999—2002 წლებში ვიყავი აბასთუმნის დედათა მონასტრის წინამდლვარი. 2002 წლის 10 ნოემბერს მიტროპოლიტმა თეოდორემ დამაჯილდოვა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და დამნიშნა ჭულევის წმიდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამდლვრად. 2008 წლის 30 ივნისს მანვე მიბოძა არქიმანდრიტობა და დამაჯილდოვა გამშევნებული ჯვრით. 2013 წლის 11 ოქტომბრის სინოდის გადაწყვეტილებით გამომირჩიეს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსად. 2015 წლის 12 იანვარს უწმინდესის ლოცვა — კურთხევით დამადგინეს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსად.



მეუფე დიმიტრი და ჭულევის მონასტრის ძმობა

— გთხოვთ დალოცვას ჩვენი საქმიანობისა და საინტერესო იქნებოდა თქვენი მოსაზრებების მოსმენა ლიტერატურულ და კულტურულ-საგანმანათლებლო აღმანას „ხორნაბუჯის“ მიმართულებების შესახებ.

— ღმერთმა დალოცვას ლიტერატურულ და კულტურულ-საგნამანათლებლო აღმანასი „ხორნაბუჯი“, შემოქმედებითი ჯგუფი და ყველა მკითხევლი. რა თქმაუნდა, მისასალმებელია ყველა წამოწყება, რაც საზოგადოების ინფორმირებას ემსახურება, მაგრამ აქვე არ



მეუფე დიმიტრი ჰერეთში

შემიძლია გულისტკვილით არავლნიშნო, რომ დღეს, სამწუხაროდ, ხალხი იშვიათად კითხულობს უურნალ—გაზეთებს.





## ეყვალუ გონაშვილი

### სიყვარულის მასწავლებელი!

მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ ბედი ქართლისა, ლოცვით და ცრემლით აგივსიათ სიბრძნის სალარო, რადგან თქვენ მყავხართ, მზის ნათელი ადგას ჩემს მამულს, სამოციქულო ეკლესიის მამამთავარო.

როდესაც ერი ირწეოდა, ვითარც ლერწამი, თქვენ გვაფრთხილებდით, ნუ აპყვებით შეშლილ ქარებსო, ერის ტკივილის ბეჭედი ხარ, სიბრძნის მცველი, ბრძნო კეთილო, უწმინდესო, უნეტარესო.

მეც ბევრჯერ მსაჯეს, თვალში ბენვიც არ შემარჩინეს, ბევრჯერ ეს გული, ნაწამები, სევდით ამევსო, მადლობელი ვარ ნუგეშისთვის, მწყემსო კეთილო, ღირსო მამაო, უწმინდესო, უნეტარესო.

უამს სიძულვილის თქვენ სიკეთის გვასწავლით ანბანს, გიყვარდეთ მტერი, ნუგეში ეც მგლოვიარესო, შენს გზას მივყვებით, სიყვარულის მასწავლებელო, ერის მოძღვარო, უწმინდესო, უნეტარესო.

### ლეისმშორლის მონოლოგი

რატომ დამხატეთ მწვანე წალკოტში ბაგით მლიმარით? თვალებით მშვიდით?

თქვენ ხომ არ იცით, როგორ გავრბოდი, ნაკვალევს ცრემლით როგორა ვშლიდი, თქვენ ხომ არ იცით, როგორ ვენამე, როგორ ვთრთოდი და როგორ ვტიროდი და ჩემს სარკმლიდან შემოსულ ლანდებს ჰქონდათ პროფილი დიდი ჰეროდის.

ვნება – ზმანება, შვილი – სიშორე, სისხლის ცრემლებით გამოტირება.

რწმენა – სიმაღლე, გოლგოთა – ჯვარცმა... მამაუფალმა ასე იწება.

ჰო, აღასრულა, რაც გარდუნებულის,

რაც დაუწერა განგებამ ბედად, თქვენთვის ის ღმერთის ძეა მაღალი, მაგრამ მე მაინც დედა ვარ, დედა.

და მეც ვიტვირთე თქვენი ცოდვები, მეც რწმენის ჯვარზე ათასჯერ მაცვეს. ზეცის ბილიკზე დამზრალ შროშანებს ცრემლებით რწყავდა შემკრთალი მაცნე. სხივი, რომელიც გინათებთ გზანვრილს, ჯვარზე გაკრული ღმერთის წულია, ხეებს რომ ასე აკვენესებს ღამით, ქარი კი არა, დედის გულია. თუ განსაცდელი ელის ქვეყანას, დღეები სევდით თუ დაიბინდა, გფარავდეთ ჩემი ტანჯული შვილი, მამაუფალი და სულინმინდა.

## მინი პოემა

### დედა, რომელსაც სახელოდ „ტკივილი“ ჰქვია

ქალბატონო მაყვალა, ამ ბარათს გიგზავნით თქვენ, როგორც ქალს, დედას, პოეტს, თქვენ უკეთ გაიგებთ ჩემს ტკივილს. უკეთ თახი წელი, ჩემი ვაჟი არ მინახავს, ბედის საძებელად (ბედის თუ უძებდობს), მეც უცხოეთს მივამურე, რაც მე იქ ტანჯვა, დამცირება და ტკივილი გადავიტანე, იმის აღწერას ასობით ფურცელი არ ეყოფა. ამ ბარათს ციხიდან გიგზავნით. გვარს კი ვერ მოგნერთ, არ მინდა, ჩემმა შვილმა სიმართლე გაიგოს, ვაჟიშვილისთვის ხომ ყველაზე დიდი სასჯელი გზაბრძული დედის სახელია. უბრალოდ თქვით, რომ „ტკივილი“ მქვია.

\* \* \*

ცრემლებით ვნამავ ბარათს, ვზივარ, ტკივილებს ვრითმავ, ვეძებ ერთადერთ სიტყვას,

რაც არასოდეს მითქამს. როგორ ვუწამლო სიტყვით ამაოების ბაზარს?

როგორ ვუშველო ყოფას, ასეთ ცივსა და საზარს.

ვის რაღად უნდა ლექსი სიბრძნედაკარგულ დროში?

სიწმინდის ფასი გახდა

სულ რაღაც ერთი გროში.

თუმცა, არა მაქვს მოცლა, რითი ვჯობივარ მოცლილს?

და იყიდება სული...

და იყიდება ხორცი...

ხორცი რად უნდა წმინდანს?

სული რად უნდა სულელს?

აჭრიალებენ სკამებს,

აჩხრიალებენ ფულებს...

შემომცვეთია ფეხზე

მეც ქალამანი რკინის.

სიბრძნედაკარგულ დროში

ვზივარ და ერითმავ ტკივილს...

\* \* \*

არ იფიქრო...

არაფერზე არ იფიქრო!

არ იფიქრო  
და დროც მალე გავა.  
არ იფიქრო, რომ სამშობლო  
გენატრება,  
არ იფიქრო, რომ სამშობლო შენ  
გგავს.  
ისიც შენსავით გზააბნეულია და  
მოხეტიალე,  
ისიც შენსავით სხვის იმედადაა და  
მიტოვებული,  
ნაღალატევი,  
დამცირებული,  
ცრუ სიტყვებით დაპურებული,  
მასაც შენ ისე ენატრები,  
ვით შენ შენი შვილი...  
დედაა და შვილი ხარ და  
დედა ხარ და დედის ტკივილს  
შენზე უკეთ ვინ გაიგებს?  
დედა ხარ და შვილი ხარ და  
დედაა და ენატრები.  
დედა ვარ და თითებს მიწვავს  
დაო, შენი ბარათები...

### შარათი შვილს

შვიდფერა ყვავილს გიგზავნი, შვილო,  
შვიდფერაა და ჯადოსნურია...  
ნატვრის მინდორზე გავახარე,  
ცრემლებით ვრწყავდი  
და ვაპურებდი გულის სისხლით,  
მწუხრის ლოცვებით...  
შვიდფერა ყვავილს გიგზავნი, შვილო!  
ინატრე და ყველაფერი აგისრულდება.  
ინატრე ველოსპედი და კომპიუტერი,  
ინატრე სათამაშო მანქანა და თხილამურები,  
ინატრე „კუა-კულა“ და „ადიდასის“ ბუცები,  
ინატრე, შვილო, და ყველაფერი აგისრულდება,  
ინატრე, შვილო, ყველაფერი ინატრე, შვილო...  
ოლონდ გვევდრები, ერთი ფურცელი შეინახე  
და სთხოვე, დაგიბრუნდეს დაკარგული დედა...  
დედა კი მოგიკვდეს,  
ნატვრა ხომ არ შემოგაელდა, შვილო...  
ის უკანასკნელი ფურცელიც შენი  
ნატვრისა იყოს.

### შარათი მეგომრებს

ჭაობისფერი სახე მაქვს,  
რა უსიცოცხლოდ მწვანე,  
მწვანე ქარები მშოლტავენ,  
მწვანე მზეები მწვავენ.  
წელიწადები წანწალა  
მოვლენ, უჩინოდ წავლენ.  
ისედაც ვჩეკარობ, უმიზნოდ  
დავკარგავ განა წამებს?  
მწვანეა ბოლო კონცხი და  
მომელის განაწამებს.  
მწვანეა რიცე ლამისა,  
არ მეკარება რული,  
მთვარიდან მიცქერს პროფილი,  
ჩემსავით შენირული.

გავცვდი ცხოვრების ხელში,  
როგორც ქალალდის ფული.  
ჰო, არ ვწუნუნებ ბედზე,  
არც, რაზე მწყდება გული.  
რამდენჯერ გადავზნექილვარ  
მწვანე ხელების ჩრდილში,  
ფეხს ნისევილის ქვა მიმძიმებს,  
ტანზე მაცვია შიში,  
მომბეზრდა ბედთან თამაში,  
მოულოდნელი ქიში.

### შარათი ერთ დროს ერთადერთს

აღარც ეჭვები მგესლავენ,  
აღარც ენები ავი...  
შენ როგორ უნდა გიყვარდე,  
მე აღარ მიყვარს თავი.  
უკვე ბოლომდე შევთქვლიფე  
ცხოვრების სალაფავი.  
შენ როგორ უნდა გახსოვდე,  
მე აღარ მახსოვს თავი...  
აგერ წყალი და საწყალი,  
აგერ უნიჩბო ნავი.  
შენ როგორ უნდა მიპოვო,  
თვითონ დავკარგე თავი.

### შარათი დედას

ჩვენ როცა ვდუმვართ,  
ჩვენ როცა ვფიქრობთ,  
ლაპარაკობენ ჩვენი სულები.  
სიზიფეს ლოდიც მემსუბუქება,  
რადგან ამქვეყნად შენ მეგულები.  
შენ ერთადერთი მომდევ ფეხდაფეს  
სიმარტოვის და ტანჯვის კარამდის,  
ჩემს გამო როგორ ჩანავლებულხარ,  
ჩემს გამო როგორ დაპატარავდი.  
თუმც შეავედრე ლმერთს ჩემი თავი,  
ბედი-აებედი მაინც თან მდევდა,  
გთხოვ, მაპატიო, გთხოვ, მაპატიო,  
რომ ბედნიერი არა ვარ, დედა!

### შარათი სამშობლოს

გადახსნილი მაქს ყველა ჭრილობა,  
სისხლით კი არა, სევდით ვიცლები...  
და, როგორც სიკვდილმისჯილი კაცი,  
დღეს ფუჭ იმედებს ველაციცები.  
და იმსხვრევიან ძველი კერპები  
მოქანცულები ყალბი დიდებით,  
ჩემო სამშობლო, დედავ ტანჯულო,  
შენ მაინც მყავდე გულდამშვიდებით

\* \* \*

ცრემლებით ვნამავ ბარათს,  
ვზივარ, ტკივილებს ვრითმავ,  
ვეძებ ნუგეშის სიტყვას,  
რაც არასოდეს მითქვამს.  
უფალო უფლებათა,  
ერთადერთ თხოვნას ვბეჭდავ:  
დედას ანახე შვილი,  
შვილს დაუბრუნე დედა.



## მე მოვალ

მე მოვალ შენთან, როცა იქნება  
ათენგენობის ორომტრიალი,  
არ გავწვალდები, ნუ გეფიქრება,  
მოვალ „ლურჯაის“ ნალთა წერიალით.  
გზებს გამოვყები დარდის ამარა,  
(ღმერთო, ჯვრს მაცვა შენმა მდურვამაც...)  
გეტყვი, რომ ლამის დამასამარა,  
შენმა ტრფობამ და შენზე ურვამა.  
შემოვადგები არხოტს ლამეში,  
გადმოვჭრი მინდორს ლამისმთევლების,  
გიპოვი საძმე ლექსით გალეშილს,  
მოვალ და თავზე შემოგევლები.

## ზოზო ბურდული

### დარღისა

ვარ ასე, რა ვიცი, რა გითხრათ როგორ ვარ,  
მეტყვიან, მეც ვეტყვი მთისას და ბარისას,  
და ვფიქრობ, ისევ ის პატარა გოგო ვარ,  
სხივებს რომ იჭერდა მზისა და მთვარისას.  
და ვფიქრობ, სადღაცა გაჩერდა ასაკი,  
მიმქროლავ წლებისგან დაღლილი როდი ვარ,  
ასეა, არაფერს არ ვამბობ გასაკვირს,  
ძველებურ ვხალისობ, მივდივარ, მოვდივარ.  
არ ვიცი, ეს გული რატომ ვერ იჯერებს  
გადამქრალ იმედებს, მოლოდინს, ბალლობას,  
არადა ზედ კართან მომდგარა სიბერე,  
და თმებში თოვლის ფიფქს ალარ სურს გალლობა.  
ვარ ასე...  
რა ვიცი...  
რა გითხრათ როგორ ვარ,

მეტყვიან, მეც ვეტყვი მთისა და ბარისას,  
მგონია, ისევ ის პატარა გოგო ვარ,  
სხივებს რომ იჭერდა მზისა და მთვარისას.

### დამტურება

დავხუჭე თვალი... ალარ მახსოვს უკვე აღარცრა,  
შენს მომლოდინე ჭიმლას შევრჩი ბედით პოეტის,  
ჩემი უშენო მომავალი ისე გაბაცდა,  
აღარც მაღელვებს წუთისოფლის მიეთ-მოეთი.  
დავბრმავდ-დავყრუვდი, ხომ გსურდა და ასე ინებე,  
დამივიწყე და მეც მზადა ვარ, ალარ მახსოვდე,  
რომ ალარ გნახო, უსიზმროდაც დამეძინება,  
მარტის ქარს ვატან დღეს შენეულ ძვირფას სახსოვრებს.  
წადი, გამშორდი და შენს ქისტეთს მიესათუთე,  
ნეტავ ვიცოდე, შენს ჭიმლაზე მეტად რით ფასობს,  
ღმერთმა ინებოს, რომ მანდ შეხვდე ჩემფერ ხათუთებს,  
საძულველო და... გულისგულში მაინც ძვირფასო.

დავხუჭე თვალი...

ალარ მახსოვს უკვე აღარცრა...

## წიმინდენ ერთად

რაღაცას ითხოვს, რაღაც უნდა, რაღაც აწვალებს,  
მომყვება გვერდით, მოსაუბრობს, აღარ მცილდება,  
მზეს მოარგესო გუშინ თვალზე მუქი სათვალე,  
რა უჭირს-მეთქი, ვეუბნები დასამშვიდებლად.  
არ ვიცი, თითქოს ცივი დარდი უჩუმრად შევსვით,  
ძირს მიწა ტირის, მაღლაც მარტო მტირალა ცა არს,  
ვსაუბრობთ, თუმცა ერთურთისა ნაკლებად გვესმის,  
ერთმანეთს ვართობთ, უფრო ასე ჰქვია ჩვენს ბაასას.  
მივდივართ ასე... გზა სველია, გრძელი და ძნელი,  
შორს სადღაც თითქოს მზის ღიმილი ჩნდება იმედად,  
მხრებზე მეხვევა მისი მძიმე, ვება ხელი,  
დამშვიდობება მინდა მასთან, ვერ გამიბედავს.  
და ვუტრიალებთ უთავბოლოდ მზის მუქ სათვალეს,  
დასამშვიდებლად ვეუბნები, რა უჭირს-მეთქი...  
მივდივართ ასე... მივდივართ და ორთავ გვაწვალებს  
უთქმელიდარდი, რომ გვსურდა და ვერცერთმა ვერვთქვით.

## მე მახსოვს

„მე ალბათ ჭიმლელი ლელა ვიყავი,  
მიყვარდა გველეთელი ალუდა...“  
/თამარ ერისთავი/

ვიყავი ჯუთელი ხათუთა,  
მიყვარდა ჭიმლელი თორელი,  
მახსოვს, გულში მყავდა სათუთად,  
დღეს კი შორია და შორელი.  
მახსოვს, ენძელების, ღვიების,  
მინდიასავით რომ ესმოდა,  
მახსოვს, რომ მაჩუქა იები,  
დეკით გადაპენტილ ბექობთან.  
მახსოვს, ჯიხვთ რომ სთხოვა ზავი და  
ქისტეთს რომ წავიდა თორელი,  
მერე დიდი დრო რომ გავიდა,  
მერე... ამაოდ რომ მოველი.  
მანდილს რომ მოვხსენი მზები,  
და დავრჩი სიფითრის მთოველად,  
ჭიუხნი, ქარაფნი, კლდეები,  
რომ მეჩვენებოდა თორელად.  
ცხადში თუ სიზმრად რომ ვნატრობდი,  
(მოწმენ ხართ, ჩემ ჭერხოს ყორენო...)  
სადა ხარ, ოღონდაც დაბრუნდი,  
ჭიმლაში დაგხვდები, თორელო!



## ფურნაოზ რაინაული

### ჰიმნი კახეთის

„როდის იქნება,  
მშვენიერო, ჩვენო კახეთო,  
მწვანით მოსილის  
გომბორის მთით  
კვლავ გადმოგხედო“.....  
**კახტანგ ორბელიანი**

გმირო, ხმალჩაუგებელო,  
ჯაჭვგაუხდელო კახეთო,  
ღმერთმა გვიბოძა სამოთხე,  
მაგრამ რა ჯვარცმა ვნახეთო...  
დასაბამიდან მოვდივართ,  
გოლგოთის გზები ვლახეთო,  
აქ, ფესვი – სისხლით ნარნყავი  
ამურმა ზარდა სხვა ხედო.  
უკეთეს წალკოტს სად ნახავთ,  
სხვა ჭალას, სხვა ველს, სხვა ხევთო,  
ზღაპრულო, ნატვრის ხალიჩავ,  
რა ცავ, რა მინავ, რა ხედო!..  
იტყვი: მზის ტახტი აქ არის,  
ცივის მთიდან რომ დახედო,  
ვაზით ნაქარგი გულ-მკერდი,  
ყინწვისის ხატი – სახედო.  
ვინც დაგინახავს, გულიდან –  
ნისლი, წკვარამი ახვეტოს,  
მოყვრისთვის – ღვინის ფიალავ,  
მტრისთვის – შხამო და წმახეთო.  
ალალი თვალი – ახარო,  
ბოროტი – შურით გახეთქო,  
სტუმარს, ვით კეთილ ანგელოზს,  
სულ სიყვარულში ვახვევთო.  
მაშინვე სუფრას გავუშლით,  
აროდეს ვხვდებით მკვახედო,  
რამდენმა, ჩვენი სიკეთე –  
ჩვენვე დაგვიგო მახედო...  
შენთვის ავანთე სანთელი,  
გეფერო, გრძნობით ნახედო,  
სიმღერავ, უკვდავებისა,  
უფლის ბალნარო, კახეთო!..

### შე, მართლა, ლანგო თემურო!..\*

ლამეს სურს –  
შენებრ,  
მზე მუროს,  
ლამე ხარ, –  
სხივთახოცითა,  
შე, მართლა,  
ლანგო თემურო,  
ლანგო! –  
სულით და  
ხორცითა...  
ბრუნავდი  
სისხლის ჯარათი,  
სიკვდილზეც უფრო  
მზარავი,  
ამ მზის ქვეშ –  
შენზე ჯალათი,  
არ მეგულება  
არავინ...  
სიცოცხლე  
ვისაც სწყუროდა,  
სიკვდილის რისხვა  
მათ ასვი –  
იქმენ –  
ქალათა ხუროდა\*, –  
სამოცდათი ათასით...

ეგ თავებია:  
ღვთიურთა,  
ალალთა, –  
ღმერთის შობილთა,  
ნითლად ანთებდი  
იურტას,  
ზეობდი  
სისხლით თრობითა...  
ეგ თავებია:  
მეგუთნის,  
მწყემსის,  
თუ –  
მეფის, –

\*–თემურ ლენგმა, დაპყრობილთაგან 70 000 კაცს მოაჭრა თავი და, თავისი უძლევებელობის ნიშანსვეტად, მოჭრილი თავებისაგან პირამიდა დადგა. ინდოეთში, ცოლ-შვილის თვალწინ, 100 000 ტყვე დახოცა. სომხეთში 4 000 კაცი ცოცხლად დამარხა.  
\*#–(ბერძნ. მით.) ადამიანთა დამბადებელი; მისი დაფიცება ყველაზე წმიდათანმინდად და უფრო სარწმუნოდ ითვლებოდა.

ნათარსის...  
შენ –  
ჯოჯოხეთი  
გეპუთვნის, –  
სამოცდაათჯერ  
ათასი...

### ვინ ჭირის?..

მაძღარშა  
ტირილს უმატა, –  
ლამის დაფაროს  
ცის სტვირი,  
ვისაც –  
არა აქვს,  
ჩუმად არს,  
ვისაც აქვს,  
აბა,  
ის ტირის...  
ეს ლექსიც  
ნათლის სვეტია, –  
მდიდარ-ლარიბის  
მესტვირის,  
თურმე,  
რაც უფრო  
მეტი აქვს,  
უფრო და,  
უფრო –  
მეტს ტირის...

### გემუფარები...

გამოვიარე  
გზაი გოლგოთის, –  
გაწამებული,  
გვემულ დარებით,  
გთხოვ –  
გადმომხედო,  
ძეავ!\*\*–  
როგორ ვთრთი,  
გეხვეწები და...  
გემუდარები...

### სიყვარული შემოჭრილა გულში

დღეს ამური ფრთებს ძალუმად თუ შლის?  
მშვილდ-ისარი უკავია ხელთა,  
გრიგალ-ქარი გადივხვეწენე, –ქუში,  
მივძარ-მოვძარ – ურარტულ და ხეთა...  
ის აღარ ვარ, რაც ვიყავი გუშინ,  
და... სიცოცხლე ჰყვავის ზღაპრულ ხედა,  
ერთი, ვინმე, – თექიანი თუში, –  
მე, შენს იქით, ვეღარაფერს ვხედავ...  
სიზურმუხტე – მზეს ფიანდაზს უშლის,  
თეთრი ნისლი მოიმღერის მხნედა,  
სიყვარული შემოჭრილა გულში,  
ჯვარს დავიწერთ – აღავერდს თუ მცხეთას?!..



## ქათავან ნათალია

\* \* \*

ლამეს სისხლისფერ ვარსკვლავებით ზეცა ევსება, აქ რომც შეგეძლოს, გაფრინდები მაინც ვერსაით, ჩემი სამშობლო სევდა არის მარადისობის, რკინის ხუნდებზე მიჯაჭული პრომეტესავით. ჩემი სამშობლო - ჩამოშლილი სახლის კედლები, უცდის მერცხლებს და ერთ უცაბედ გამოდარებას, ჩემი სამშობლო ტკივილია შვილმკვდარ დედების, გულის სიღრმეში დამარცხული ცრემლის ღვარებად... მთელი სხეული ტკივილებმა რომ დაგვიძარეს, სული შემორჩათ დაშლილ კედლებს მთებზეც ამაყი, ჩემი სამშობლო - გადაღლილი ღმერთის სიზმარი, ხდება ნელ-ნელა უფალივით ვერდასანახი. სუნთქვა გვიჭირს და კიდევ უფრო ჰაერს ხუთავენ, გადაქცეულა აღარყოფნის შიში თვალებად, დაუნანებლად წირვას ისე გამოუტანენ და ტყვიერის წინ გულზე დროშებს ააფარებენ აქ ჩვენს სამშობლოს აღარ ეთქმის ჩვენი სამშობლო, აქ შემზარავი განაჩენით უნდა ვიწვოდეთ, ჩვენი სამშობლო თერთმეტი წლის ბავშვის ხელია, მოწყალებისთვის ისევ ჩვენ რომ გამოგვიწოდეს... ისე ვართ, გვეწვის თვალები და გვეთქმის მდგმურები, ველოდიო, მაგრამ რას ველოდიოთ უფრო უარესს, ჭეშმარიტებას ცინიკური პედანტურობით, გადააფარეს დავიწყების თეთრი სუდარა. ვდგავარ და გულში ირევიან დარდის ნისლები, აქ რომც შეგეძლოს, გაფრინდები მაინც ვერსაით, ჩემი სამშობლო სევდა არის მარადისობის, რკინის ხუნდებზე მიჯაჭული პრომეტესავით. და უფრო მეტიც, მეტიც უფრო, სულს რომ შეეგრძნო ჩემი სამშობლოს შორი გზები მყოფნი უბრებად, იგია, ვისი გადარჩენაც ყველას შეეძლო, და მაინც ყველამ ჯვარზე ასვლის მისცა უფლება აღდგომისათვის...

\* \* \*

ფრთების გარეშეც შესაძლოა იფრინო ცაში, მაშინაც თუკი რეალობა ასე ურჩია, რატომ გვეძებენ ცივ ქუჩებში ნეტავი მაშინ, როცა ჩვენ უკვე აღარ ვცხოვრობთ არცერთ ქუჩაზე.

ის რაც ვერავინ მიპასუხა, დრომ გამიმხილა, გამიმართლებდა, რომ ლექსებში დარდებს ვატევდე, ხან ხდება, სული გადაიტანს ტკივილს იმხელას, რომ მერე უკვე გინდ გათენდეს, გინდ არ გათენდეს... არის სულერთი და ზამთარი წელში იხრება, არ გეგულება სულის, თუნდაც ხელისმომკიდე, ხან ხდება, სული გადაიტანს ტკივილს იმხელას, რომ მერე უკვე გინდ მოდი და გინდ არ მოხვიდე! ფრთების გარეშეც შესაძლოა იფრინო ცაში, უსმენს საღამო ჩემი სულის მსუბუქ არიას, რად გვიხდებიან ოცნებები ნეტავი მაშინ, როცა ისინი ოცნებები აღარ არიან...

## როცა მარჯვებლე...

მე ყველა შენი უჩემო დღე ისე მიკვირდა, მიმიტურად და ყოველდღე გული გელოდა, დამაჯერებლად ისაუბრე გთხოვ, რომ გიყვარდი, დღეს სასიცოცხლოდ მჭირდება რომ ამის მჯეროდეს... ამდენ ხნის შემდეგ ვერაფერი ვერ გაირკვევა, ყვება მოსაწყენ სიახლეებს მთელ დღეს რადიო, მე ვლოცულობდი შენს გამო და ნუ გაიკვირვებ, რომ ამ ლოცვების უარყოფა ვერ გაპატიო... არ გაიკვირვო გათოშილი ჩემი მუხლები, არც დედამინის ჩვენს გარშემო უქმი ტრიალი, რომ დგახარ ახლა ჩემს ხელებთან მთლად უუფლებო, ვით მწუხარების შემთხვევითი თანაზიარი... იყო დრო, როცა უთქმელობის ცრემლი მახრიბდა, სულზეც, ხელებზეც მამჩნევია ყველა იარა, ვერ ჩაითვლება სიყვარულად ის, რაც გაჭორდა, რაც ქარმა ასე უგემოვნოდ გააპიარა. მთელი ცხოვრება უხარისხო, ბუნტი კადრია, მე შეგნებულად შორს მივდივარ ახლა შენიდან, ასე გიუები გაურბიან ფსიქიატრიულს, ასე სულები გამორბიან საფლავებიდან. სევდა, ვით შანსი გადარჩენის ჩემში სულ ენთო, ხვალ აღარც მე და არც ეს სევდა აღარ ვიქნებით, მე შენ მიყვარდი ისე მძაფრად, ისე ულმერთოდ, რომ ვირუსივით სისხლში მქონდა შენზე ფიქრები. ფარავთ ბურუსი ამ უსუსურ, უცხო ქალაქებს, მე ყველაფერმა ყველაფერზე მეტად დამღალა, გთხოვ სიყვარულზე სარწმუნო ხმით ილაპარაკე, დღეს სასიცოცხლოდ მჭირდება რომ მწამდეს ამგვარად... მომეცი შანსი გევედრები ცოტაც ვიცოცხლო...

## დედა

დე, გარეთ ცივა, ქარმა ისევ ფრთები შეისხა, აქ ამინდებმა ამინდიც და სულიც არიეს, ახლა გავუშებ, რომ იფრინონ, დე ბავშვობისას ასანთის ყუთში შეგროვებულ ჭიამარიებს. დე, აქ რა მინდა, დარდი მიმსხვრევს ფანჯრებს ქარივით, დე, ვლოცულობ და ლოცვებიც კი ვეღარ მშველიან, მე რომ მჯეროდა ბავშვობაში, იმ ზღაპარივით, მგონი უფალიც სიტყვებს შორის შემომელია... ვიდრე ქვიშაზე ნაწერივით ქარი ნამშლიდეს, ვგრძნობ წვიმაც უფრო საშიშია, უფრო ცივია, მივწერებივარ, როგორც სურათს - ნატვრას მაშინდელს, რომელიც ახლა ფერწაშლილი ნეგატივია. დღეებს ამკრთალებს კალენდარზე ეს დრო ერთიან,

ვამბობ და რაღაც შეიძლება მაინც ვერ ვთქვა დე,  
ქუჩის ბოლოში ეჭვგარეშე ვიცი ღმერთია,  
მაგრამ ეს ქუჩა ვერასოდეს მივა ღმერთამდე.  
დე, აქ რა მინდა, აქ მეც ლანდებს დავემსგავსები,  
აქ ლალატია, სიკეთისათვის აქ არ იბრძვიან,  
მე კი მიყვარდეს შემიძლია მთელი არსებით,  
და ამის მეტი არაფერი არ შემიძლია.

გარეთ ქარია და შენ ჩემ თავს უფალს ავედრებ,  
მაგრამ აქ ურჩხა ამინდებმა სულიც არიეს,  
ფრთები დაემტვრათ, დე, საფრენი ფრთები დაემტვრათ,  
ასანთის ყუთში შეგროვებულ ჭიამარიებს

## გამოლვიძება

მაშინ ვიძინეთ, გალვიძება როცა გვმართებდა,  
შენ საქართველო აძგვარ ყოფით ივლი სადამდე,  
რა ღამე დადგა ამისთანა, რომ ვერ გათენდა,  
როგორ გაგრირეთ, ასე როგორ დაგაავადეთ.  
რა ბურანში ხარ, რომ ვერა და ვეღარ ერკვევი,  
შენი წარსულიც დავინწყების ცეცხლზე იწვება,  
სად დაგეკარგნენ საქართველო ის მგლის ლეკვები,  
რომ იზრდებოდნენ ალგეთს მტრების დასამინებლად.  
როგორ მოგედო მწუხარება გულზე იჭვებად,  
როგორ დაგსერეთ მონამლული ხმლებით, ხიჭვებით,  
ვერც აფხაზეთი დაგიბრუნეს შენმა ბიჭებმა,  
ვერც აფხაზეთმა დაგიბრუნა შენი ბიჭები!..  
დაგრჩა დიდების გადმონაშთად გრემიც, გარეჯიც,  
დარჩი უტეხი გალავანის დამლილ თალივით,  
გიფრიალებდა ავისმთქმელად დროშის ნაგლეჯი,  
სამგლოვაიროდ გამოფენილ ბაირალივით.  
შენი მზე ლამემ განსაცდელის ბენელით მოჩრდილა,  
რატომ არ გტკივა სხივჩამქრალი გზები მომავლის,  
ასე რა ეშმამ მოგდრიკა და დაგიმორჩილა,  
ნაავდარალი, ნაქარალი, ნადიდგორალი.  
რატომ არაფერს გვსაყვედურობ, რატომ იმეტებ  
საკუთარ თავს ამ მონიბისთვის, გხრავენ ქარები,  
რა ილუზიებს აპყოლისარ, რა ფუჭ იმედებს,  
ფუფალასავით მოკაზმული მოსართავებით.  
როგორ მოგნამლეს მრავალ ფანდით, მრავალ საცდურით,  
სად გაქრა შენი სიამაყე - ერთდროს მეფური,

რატომ არ გვიხმობ საქართველო, რამ გაგაჩუმა,  
რამ დაგადუმა მკაცრ განაჩენს შეგუებული!  
რით ვერ ისწავლე განსაცდელის რწმენით გამოცვლა,  
ეს რა ჭირი გჭირს, რა ღმერთი და ხატი გიწყრება,  
რა სიზმარს ხედავ საქართველო ასეთ საოცარს,  
რომ ალარც გსურს და ალარც ძალგიძს გამოლვიძება!..

## ალვეზრულები

რა გვიანია, მაგრამ მაინც მზერით გაქეზებ,  
დღეს მარტივია შეამჩნიო, რომ მე მარტო ვარ,  
ფოთლებმა ფლირტი გააჩალეს ტროტუარებზე,  
საღამომ ქალაქს მწუხრისფერი ჩამოათოვა.  
კვლავ ტკიფილია საიმედო თავშესაფარი,  
მიძღვნის სიჩუმე აპლოდისმენტს ჩამქრალ სცენაზე,  
და დედამიწას ოკეანე როცა დაფარავს,  
შენზე ვიფიქრებ, როგორც სულის გადარჩენაზე.  
ჯერ მინაზე ვარ, ჯერ აქა ვარ, ზეცა შორს არი,  
ვიცი, პოეტურს გადამიხდის ლამე პარაკლისს,  
რა შეიძლება ჩემზე დაგრჩეს მოსაგონარი,  
ალბათ წვიმა და ერთი-ორი ქუჩა ქალაქის  
სადაც მე და შენ ჩაგვივლია, სადაც დავმარხეთ,  
ჩვენი ჩრდილების სიახლოვე - სევდა წვიმათა,  
როცა სიყვარულს ვუდალატეთ ღმერთი დავკარგეთ,  
სამჯერ იყვლა მამალმა და მკვდრისფრად ინათა.  
და რა აზრი აქვს, ამის მერე როგორ ინათებს,  
არც ამინდები ალარ დგება ისე მომთმენი...  
როცა გავნირეთ ერთმანეთი - დავგმეთ სინათლე,  
ხის ჯვარზე ვაცვით უფალი და არ გადმოვხსენით.  
რა შეიძლება მოიგონო ჩემზე ჩემს მერე,  
ახლა უბრალოდ საკუთარსვე ფიქრებს ვციტირებ,  
ჩვენმა თვალებმა ერთმანეთი გადაივიწყეს,  
ჩვენმა ხელებმა ერთმანეთი გამოიტირეს.  
გნატრობ, მჭირდები, აქ ლექსებსაც ვეღარ ვუჯერებ,  
ღამებ ნოემბრის დამახატა ტანზე ფერები,  
ამსხვრევენ ცივი ქარიშხლები წვიმის ფუჟერებს,  
იქარგებიან სულში სევდის გობელენები.  
რატომ მაჩქარებ... თავს ვერ ვგუობ სხვა მზით გამთბარი,  
ქვეყნად მეორედ დაბადების არ მნამს სრულებით,  
ვიქნები შენი ალსარება ცამდე მართალი,  
და გზის ბოლოში უთქმელადაც ალვესრულები...



## თამაზ წიალუკი ლმერთი ვარ...

სამყაროს გამჩენს ვიცნობ მას მერე  
უზენაესიც ვიცი ვინც არი,

როცა პირველი ლექსი დავწერე,  
ღმერთი საკუთარ თავში ვიცანი.  
როცა დაგხვეწე სული მღელვარე,  
როცა ბწკარები მიჯრით დალაგდა,  
ჩემი სამყარო მუნჯად მთვლემარე  
სხვა ჰარმონით ალაპარაკდა.  
სხვა ჟამი დადგა შვების, ოცნების,  
სანუკვარ ლექსზე ღამის თევისა,  
დრო სხვა ძიების, სხვა საოცრების,  
მეტყველი თიხის ღმერთადქცევისა.  
ჭირსა თუ ლხინში არსად არ მტოვებს,  
ლექსს სიზმრის გზაზეც ჩემთან უვლია,  
მოკვდავ კაცს უფალ ღმერთს გაგატოლებს,  
„პოეზია ხომ სასწაულია!“  
მერქას პოეტი, ესეც ბედია,  
გულზე სახმილიც მისგან მედების,  
ღმერთი თუ ყოვლის შემოქმედია,  
ღმერთი ვარ ჩემი შემოქმედების!

## ქართული ლექსი

ქართული ლექსი სულის შვებაა,  
ლეტის ბოძებული სიბრძნის ნათელი,  
ქართული ლექსი უკვდავებაა,  
ლია ჭრილობა და ურუანტელი.  
ქართული ლექსი ავდარ-დარია,  
შოთას და ვაჟას ჰანგზე მღერალი,  
ქართული ლექსი ნიავლვარია  
მუზათა ციდან ნაჩანჩქერალი.

## პოეტი — გიურა

„პოეტი — განძია“  
ე. ჯავახიშვილი

პოეტის სვე-ბედი არავინ ინატროს,  
არც შვება მოაქვს და არც რამე დიდება.  
პოეტი ცოცხალიც ზეცაში ბინადრობს,  
ზეცისა მინაზე ვერ დაემკვიდრება.  
პოეტის სიცოცხლე მუდმივი ურვაა,  
დროს უცდის წყვდიადში რიურაჟად იალოს.  
პოეტი ეშმაკის წყევლა და კრულვაა,  
სულს ალხენს მშფოთავს და მოქარიშხლიანოს.  
პოეტის ცხოვრება ფოლადის ბრძმედია,  
არც ყინვას უფრთხის და არც სიცხეს თავარას.  
წამებით იწრობა, თუ შემოქმედია,  
ჯებირებს გაანგრევს, ჩაჰკევეთს და ჩაჰკევალავს.  
ის თქვენთვის მინაშიც უსიტყვოდ ჩანვება,  
არც ქრთამი სჭირდება, არც თავპატიუია,  
საკუთარ ილბალზე არასდროს არ წყრება,  
რამეთუ ბრძენი და უფრორე გიურა.

\* \* \*

რაც მახსოვს, ლექსად ვლალადებ  
საკუთარ სათქმელს სულისას,



## მარიამ წილაური ეკონომიკის!

ხშირადაა ასე, სახელი და გვარი კაცის ტოლი არაა.  
ან ბევრად მეტია პატრონზე, ან არც ჰყოფნის ადამიანს.  
აბა, რომ ვიტყვი სპარტაკ მარჯანიშვილი და თქვენც  
რომ წარმოიდგენთ როგორი შეიძლება იყოს კაცი ასე-  
თი სახელითა და გვარით, ხომ ვერასდროს წარმოისახ-  
ავთ პატარა, განუვითარებელ კუტ კაცს, რომელიც

ლექსებით უნდა დავლამდე  
სიცოცხლის დასასრულისას.  
სიმღერით შვიდ ცის კარსა ვხსნი,  
შვიდ ცას გიტოვებთ მზიანსა,  
ღმერთო, საფლავშიც ნუ დამხსნი  
ლექსა და პოეზიასა!

## ხან ვფიქრობ...

ხან ვფიქრობ, რისთვის გავწამდი,  
ეს გული რისთვის აენთო,  
სალოცავ ხატად რად მწამდი,  
გზა თუ არ გვექონდა საერთო?!  
ვარდის ბუჩქს გავდი გაუშლელს,  
ვერც დაგივიწყე, ვაი, რო,  
ტკივილს რა ვუყო წაუშლელს –  
ჩემი სიზმრების ნაირო.  
სიზმრებისფრად რომ დასრულდა,  
ეჱ, რა დრო იყო იგი დრო,  
სად გნახო, რომელ წარსულთან,  
ან სული სად დავიმკვიდრო.  
შენს მონატრებას არ ვიშლი,  
გულსაც შენ გიძლვნი შენს ნილსა,  
ჩემს დარდებს ფეხქვეშ გაგიშლი  
ლექსებად გამოძერნილსა.

\* \* \*

მე სიყვარულზე გიგალობ,  
რად ცდილობ სისხლი გამიშრო,  
შენ ძალგიძს ამაგრიგალო  
და სულიც ამიქარიშხლო.  
მუზათა მუზად შენ მყავხარ  
ლექსების მეხად გრიალში,  
ზღაპრულ ქალთამზედ შემყავხარ  
დიდ ქართულ პოეზიაში.

ვერც გონებით, ვერც სხეულით ვერ გაიზარდა და ვერც  
განვითარდა, მერე რა თუ სახელი და გვარი ჰქონდა ასე-  
თი დიდებული. არადა, საბრალო სპარტაკიე, როგორც  
მას ეძახდნენ, ნახევარი მეტრა რომ ძლივს იქნებოდა,  
მუდმივად ჰამაკში იწვა, ხან აიყვანდა დედამისი საწყ-  
ლად, მოიკიდებდა და დასვამდა ბოგირზე. ეს ბოგირი  
კიდე სახლის ჭიშკრის წინ დიდი თავშეყრის ადგილად  
ექციათ სოფლის ახალგაზდრებს. საღამო ისე არ ჩაივ-  
ლიდა ზაფხულში, აქამ ბოგირის ორთავე ჯებირზე, სკა-  
მებად რომ ქცეულიყო, ახალგაზრდები არ ჩამომსხ-  
დარიყვნენ სალაზლანდალოდ. რადგან ამ სახლში სპარ-  
ტაკის გარდა სპარტაკის ბიძაშვილები ძალან ლამაზი  
გოგოები მედეა და ნაზიბროლაც ცხოვრობდნენ. იცით  
რა ლამაზები იყვნენ? ერთი ნესტანის და მეორე თინა-  
თინის როლს ასრულებდა, სოფლის სკოლამ რომ  
რუსთაველის იუბილე გადაიხდა და აბა, ის რა საღამო  
იყო, მედიასთან და ნაზიბროლასთან ერთად არ ეთამა-  
შათ ან „ამის პატრონმა რა ქნას?“ და ან „ბრის ილი მიუ?“.  
სოფელში ქალაქიდან არდადეგებზე ჩამოსულ ბავშვებს  
ხომ ვინ დაასწრებდა აქ მოსვლას, საღამოსაც არ უც-  
დიდნენ, ასე გამოპრანჭუკლები ნაშუადლევს უკვე ბო-  
გირზე ისხდნენ. ბოგირიც სახლის პატრონს ფართე, და

მოცემენტებული, გაეკეთებინა, ნამდვილი არტი იყო, მოაჯირები გრძელ სკამერხად ექცია, ამ ბოგირით უნდა შესულიყავი ეზოში, ჭიშკრის ორთავე მხარეს მაღალი, თვალუნვდენი კიპარისები იდგა, ლობის გასწრივ ფერადი გეორგინები ყვაოდნენ, ლელე წყნარად მოაჩხრიალებდა, კონდრიანი ეზო, და ქვის კიბები შუშაბანდიან იმერულ კოხტა სახლისკენ გეძახდნენ. რამხელა აივანი ჰქონდა ამ სახლს მერე, რამდენი სპექტაკლი და კონცერტი გაუმართავთ აქ ბავშვებს... სპარტაკის დედას კი სხვა არაფერი სმენია თავისი შვილის ბაგიდან: ტუნაინა, ტუნაინა, ტუნაინა და ეს იყო სულ სპარტაკის თვის „ლექსი თქვი“, სპარტაკის „იმდერე“-ც, სპარტაკის „მადლობა თქვი, ბიჭო“-ც, სულ ეს „ტუნაინა“ იყო ყველაფერი, გაკვეთილიც, „ვეფხისტყაოსანიც“, სადლეგრძელოც და გინებაც. ამ სახლში ერთი გაუთხოვარი დეიდაც ცხოვრობდა, ისიც სპარტაკის გადაწევა-გადმოწევა, მოკიდება-აყვანა-დასმაზე გამეცადინებული. ეტყობა ამ დებს, ამდენ ამაგში ისიც ეჩვენებოდათ, რომ სპარტაკს არც დორბლი სდიოდა, გონებაც უჭრიდა და იზრდებოდა კიდეც მათ გასახარად. მერე რა, თუ ბავშვების გამართულ სპექტაკლებში ვერ მონაწილეობდა, ან რა სპექტაკლი ეს თხაბიცობა იყო, თამაშობდენ შტერი „ბოვშვები“ მეველეს და ნანაიას ჩხუბს, და თვითონვე კვდებოდენ სიცილით, ეს ამბავი ხომ მათთვის შექსპირსაც არ უდებდა ტოლს თავისი დრამატიზმით, განა ჯობზე გადამჯდარი სოფლის ყველაზე მსუქანი შვიდიოდე წლის გოგონას, კულულებიანი ნანას ჩხუბი მეველე კირილიასთან და ორი კილომეტრი დევნა ჯორიანი კაცისა, ყანისპირზე დაბმული ერთი ქერივოხრის ხბო რომ წაიყვანა, და მაინც რომ წაართვა ბოლოს თავისი ბავშვური რისხვითა და გაუტეხელობით, რომ წაართვა და პატრონს მიუყვანა სახლში, არ ღირდა ერთ სპექტაკლად? ან სიმღერას შემოსახებდნენ, აი, იმ სიმღერას მოდაში რომ იყო მაშინ ძალიან: „მე კომბინატის ეზოში ომარი შემხვდაა, მითხრა ჯემალ, წამოდიო გავსწორდეთ ერთააად. მე პიჯაკი გავიხადე დასარტყმელადა, მან კი დანა ამოილო

დასაჭრელადაა. 16 წლის ჯეირანი დედას უკვდება, სანთელი და თვალის შუქი ერთად უქრებაა, იტირე გულო, იტირე სულო, იტირე ჩემო ლამაზო შეყვარებულოოო“. ან სოფლის მთავარი ლოთის, ხუტაია ლალანიძის ოინებს წარმოადგენდნენ. დიდი ამბავი მაგისთანა კონცერტებში თუ არ მიიღებდა სპარტაკი მონაწილეობას. სამაგიეროდ ამ კონცერტებზე მოსულ დამსწრებს, ამ თხაბიცია ბავშვების ბებიებს კი უჩვენებდნენ, რა შეეძლო სპარტაკიეს.

განსაკუთრებით ერთი ლამაზი გოგოს ბებიაზე იყვნენე გადაკიდებული ეს კუტის თრევით წელში მოხრილი დები, დაინახავდნენ თუ არა ამ ქალს ეზოში შემოსულს, ხომ მოიკითხავდნენ ერთამენთს, ხომ ეს ქალიც მოიკითხავდა, ხომ იტყოდა ისიც ზრდილობის გამო, გაზრდილაო სპარტაკი, დამშვენებულაო, ხომ კარგადაა და ე, მაშინ იწყებოდა თუ იწყებოდა თავის გამოჩინება, აბა რავა?! აკოცე ბიცოლას, სპარტაკია, აკოცე ბიცოლას, აკოცე-თქვა ბიჭო, აკოცე...

და იყო ერთი განევ-გამოწევა. საწყლები ახლა ყველა ცაცხვების ძირში წვანან და აღარც ქარი არხევს ჭიშკრის ორთავე მხარეს ანონილ მალალი კიპარისების წვერებს, აღარც ლელე მოდუდუნეს. აღარც გიორგინები ჰყავიან გვიან შემოდგომაშდე, აღარავინ ცხოვრობს იქ და რაც მოსაჭრელი იყო, ყველაფერი მოჭრეს მეზობლებმა საშეშედ.

აფსუს, მარჯანიშვილის კაცო, აბა სახელ-გვარის ტოლი ყოფილიყავი, ტუნაინასა აჩვენებდი ამ მუხთლებს, აღარაფრის რომ არ შერცხვათ და კარის ბოლო გამოხურვისთანავე ჯერ ჭის გვიმზე შემოდგმული ვედრა ჩამოხსნეს თოკიდან, მერე ბანარი გადაიხვიეს ხელზე, მერე ქვაბები გაუყენეს თურქეთის გზას, მერე კარ-ფანჯრები გამოგლიჯეს და თავის სახლებს მოარგეს, მერე... მერე... მერე თვითონაც გავიდნენ ამ სოფლიდან და ვინ იცის ახლა თავად არიან დაკუტებულები იქ, სადაც ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა, სახელი, რომელიც მართლა ტოლი ხდება კაცისა ...

 გავიდა ხანი... სოფელს ერთი მხრიდან მდინარე ჩამოუდიოდა. მეორე ნაპირზე გადასვლა ჭირდა თოვლის დნობისა თუ წყალდიდობის დროს. ჰოდა, ითავათემრამ ერთი კეთილი საქმის გაკეთება – ხიდი გადო მდინარეზე. შვება მიეცა სოფელს, ადვილად გადიოდნენ მეორე ნაპირზე, ნახირიც გადაპყავდათ იქით მდებარე საძოვრებზე, საყანესაც ამუშავებდნენ და სათიბსაც თიბავდნენ. მაგრამ ეს მანამდე, სანამ სავლე თემრას გაკეთებულ ხიდს ნახავდა, მეზობელს ავად მოიხსენებდა და იტყოდა – მე მაგის გაკეთებულ ხიდზე არ გავივლი, მაგისგან მოახლოებული არც მეორე ნაპირი მინდა, არც ყანა, სათიბი და საძოვარიო. შეუყენა ხიდს ძალაყინი, ეწვალა, ეჯაჯგურა და მდინარეში გადააგდო. ისევ გაჭირდა მეორე ნაპირზე გადასვლა – ვერ გაჭყავდათ ნახირი საძოვარზე, ვერც საყანეს ამუშავებდნენ და ვერც გათიბული თივა გამოჰქონდათ აქეთ ნაპირზე.

ჰოდა, მაშინ თქვა სოფელში ჭკუის საკითხავ კაცად მიჩნეულმა ბიჩინა ბაბუამ:

– მანამ ვერ დავიმკვიდრებთ იმ ნაპირს, სანამ ერთმანეთის შუღლს საერთო საქმის დროს მაინც არ მოვიშლით, ამან დააკნინა მთელი სოფელი და ქვეყანა: მე-

## გივი ჩილვიძე ნაპირი

სავლე და თემრა წაიჩინა, აგინეს, ლანძღეს და თათხეს ერთმანეთი – შენ ასეთო და შენ ისეთოო, აღარაფერი დაუტოვებიათ უგინებელი. მერე ხელდახელ მიინიეს ერთმანეთზე, მაგრამ გააშველეს მეზობლებმა, ჩანწერეს, დააშოშმინეს. თუმცა შერიგებით არ შერიგებულან, გულში დაიტოვეს ბოლმა და გააგრძელეს ასე ცხოვრება.

ზობელს მეზობლის გაკეთებული არ მოსწონს, ძმას – ძმის, წინა მთავრობის კაცები ახალი მთავრობის გაკეთებულს სწუნობენ. ამიტომ მუდამ მიუღწეველი გვრჩება ის დაკარგული ნაპირი. როცა შენი მოშუღლარის გაკეთებულს, – რომელიც ყველას არგია, – წყალს ატან, მთელი სოფელი ზარალდება. თუმცა მდინარის ნაპირი რა? ამ შუღლის მიზეზით ქვეყნის ნაპირებს ვკარგავთ უკვე დიდი ხანია და ამიტომ დღითი დღე მცირდება ჩვენი სამშობლო, – დაამთავრა სიტყვა მოხუცბა.

– გაიგე, ჩემო სავლე?!.

## **სალორჯვის წყარო**

მოილაპარაკეს სოფელში: მაღლა, ძველ სალოცავთან რომ კარგი წყაროა, ის ჩამოვიყვანოთ და დავირიგოთ ეზოებში.

წყაროები სხვებიც მრავლად იყვნენ იმ ტყიან ფერ-დობზე, მაგრამ მაინც იმას ამჯობინებდა ყველა.

– არ ივარგებს ეგ საქმე, ის წყარო სალოცავისაა. მისგან მოშორებით, ფერდობზე, სოფელთან უფრო ახლოს სხვა წყაროებიცაა, – შეახსენა კაცებს მარიამა.

– კარგი, ბებო, გვაცალე საქმეო, – ჩაიღიმეს მეზობლებმა.

– გაცლით, მაგრამ ტყუილად მოცდებითო, – თქვა მოხუცმა.

წყაროს ადგილას პატარა ავზი გააკეთეს, გაჭრეს არხი, ჩააწყვეს მილები და შეიყვანეს სალოცავის წყალი ეზოებში.

ერთ დღეს კარგად იდინა, მეორე დღეს დაიკლო, მესამე დღეს წანწერით მოდიოდა, მერე სულ შეწყდა. მილი არსად ჩანდა გახეთქილი. სათავეს მიადგნენ და ნახეს, რომ დამშრალიყო წყარო.

გაუკვირდათ. მოშორებით მონახეს სხვა წყარო. სალოცავის წყაროს კი მილები მოხსნეს და... რამდენ-იმე დღეში ისევ წამოვიდა მხიარული რაკრაკით.

## **მუხა გზის პირა**

ახალი წლის წინა კვირას სამუშაოდან მოდიოდა თურმე ბიჩინა, სადურგლო იარაღებით სავსე ჩანთა ჰქონია გადაკიდებული მხარზე. დიდი თოვლი ყოფილა ირგვლივ და კვლავ თოვდა თურმე. ბასილა უნახავს ჭალაში, გაჩერებულიყო, ნაჯახი ამოეჩარა ილლიაში და მუშტრის თვალით შესცეკროდა გზის პირას ბუჩქნარში აღმართულ დათოვლილ მუხას... გახსენებია ბიჩინას, ვიღაცას ეთქვა, ბიძაშვილთან აქვს ცოტა ნაწყენობა, ორივეს უნდა შერიგება, მაგრამ არ თმობენ, არ იმდაბლებენ თავს, არცერთი არ აპირებს, პირველმა გადადგას შესარიგებლად ნაბიჯიო. მიახლოებია, მისალმებიან და მოუკითხავთ ერთმანეთი.

– რას აკეთებ აქ ამ თოვაში, ბასილო?

– რა ვქნა, ჩემო კეთილო, მოსავლის აღების მერე საშოვარზე ვიყავი წასული, ცოტა ფული შემოვაგდე ოჯახში, მარა შეშა დამირჩა მოსატანი, ერთი ლერი არა მაქვს ეზოში, სიცივით მიწყდება ბოვშები. აგერ ჩამოვედი, კი ხედავ, იმხელა თოვლია, გზიდან გადასვლა გაგიჭირდება კაცს, პოდა, ეს მუხა უნდა გავიმეტო, იქნება დავაპო, როგორმე ცოტა-ცოტა ავათრიო სოფლამდე და ახალ წელს მაინც გავათბო კარგად სახლიო, – უპასუხია ბასილას.

მისი მომდურავი ბიძაშვილის სახლზე მრავლად მიყუდებული, დაპობილი და მზეზე გაფიცხებული შეშა გახსენებია ბიჩინას. ისიც წარმოუდგენია, თუ რამდენი უნდა ეწვალა ამ ნაშრომ კაცს, თოვაში შეშა რომ მოეჭრა და მერე მხარზე გადებული წვალებით აეტანა გრძელ აღმართზე. ჩაუცინია ერთი და უთქვამს:

– შეშა არ ვიცი მე, შენთან უნდა ვიქეიფო დღეს!

შეცბუნებულა ბასილა, მაგრამ მასპინძლობაზე როგორ უნდა ეთქვა უარი სოფელში სამართლიან, მშრომელ და კარგ ხელოსნად მიჩნეული კაცისათვის?

– კი, წამოპრაძანდი, ჩემო კეთილო, მარა ერთ-ორ ფიჩხის მაინც მოვძებნი სადმე და წამოვილებო, – უთქვამს მორიდებით.

– შეშის დარდი ნუ გაქვს, გამიძეხი წინო, – ისევ მოუთხოვია ბიჩინას.

– კარგი, ჩემო კეთილო, არ დავეძებ შეშას, წამოდიო, – გაულიმია ბასილას ნაძალადევად, შემობრუნებულა და გამოძლოლია სტუმარს წინ.

გამოჰყოლიან ლაპარაკით თოვლიან გზას. შეშა აღარ უხსენებია არცერთს. კარგა ხნის შემდეგ ამოსულან სოფელში და მიდგომიან ბასილას ეზოს.

– მობრძანდი, ჩემო კეთილო, – გაულია ჭიშკარი მასპინძელს.

– შედი შენ სახლში და მეც მალე მოვალო, – უთქვამს ბიჩინას.

შესულა ბასილა შინ. ბიჩინას კი დაუძახნია მასპინძლის მომდურავი ბიძაშვილისთვის, მეზობლადვე რომ ცხოვრობდა თურმე, ერთი ლობე რომ ჰყოფდათ, გამოუხმია გარეთ და უთქვამს:

– აიღე ახლა ოთხი-ხუთი კარგი შეშის ნაპობი, გადმოაწყვე ამ შენი ბიძაშვილის ეზოში და შენც აქ გადმოდიო!..

ჩაღიმებია ბასილას ბიძაშვილის, მიმხვდარა ბიჩინას ჩანაფიქრს.

– კაი, ჩემო ბატონო, – უპასუხნია, – ოთხი კი არა, შვიდი იყოსო, – და მართლაც შვიდი თუ რვა კარგი დიდი წიფლის ნაპობი გადაუწყვია ბიძაშვილის ეზოში.

რვა ნაპობი უკვე ერთი ურემი შეშას, რასაც ბასილა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, სამი დღე ვერ ამოიტანდა ჭალის ტყიდან.

შესულა ბიჩინა ბასილას ბიძაშვილთან ერთად ეზოში და დაუძახნია მასპინძლისათვის, გამოდი გარეთო.

გამოსულა გარეთ ბასილა, გაკვირვებით შეუხედავს ბიძაშვილისა და იქვე დაყრილი ნაპობებისთვის.

– ჯერ ბიძაშვილს მიესალმე, მერე ხერხი და ნაჯახი მოიტანე და შეშა დავჩერებოთ! – უთქვამს ბიჩინას.

მიმხვდარა ყველაფერს ბასილაც, გახარებია, გადახვევია ჯერ ბიძაშვილს, მერე ბიჩინას.

– შენ აგაშენა ღმერთმა, ეს რა საქმე გამიკეთე, ბიძაშვილიც შემარიგე, ტყეში წვალებასაც ამარიდე ამ სიცივეში და შეშაც გამიჩინე ეზოში!..

– კარგი, ახლა საქმეს მივხედოთო, – უთქვამს სტუმარს.

დაუწყიათ სამივეს შეშის დახერხვა და დაპობა. ცოტა რომ დაუჩეხავთ, ბიჩინას უთქვამს მასპინძლისთვის:

– შეუტანე ეგ შეშა ქალებს სახლში და მარანში წადი, დანარჩენს ჩვენ მივხედავთო.

ქალები უკვე ემზადებოდნენ სტუმრების დასახვერად, მაგრამ ამდენი ხმელი შეშა რომ დაუწყავთ,

უფრო ხალისიანად დატრიალებულან. ბასილას საუკეთესო ღვინო ამოულია, ხოლო მის შემორიგებულ ბიძაშვილს და ბიჩინას ამ ხნის განმავლობაში მთლიანად დაუხერხავთ და დაუპიათ შეშა. მერე ბავშვებიც გამოუხმიათ გარეთ, ამ დაჩეხილ შეშას თოვაში ხომ არ დაგტოვებთო და ფარდულში შეუტანიათ.

დამსხდარან გახურებულ ღუმელთან, გაშლილა სუფრა. თამადად, როგორც შეხვედრის მოთავე, ბიჩინა დაუზიშნავთ ახლადშერიგებულ ბიძაშვილებს და დაუწყიათ ქეიფი. რაც იქ ითქვა, ყველაფრით არ შეგანყენთ თავს. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ საუკეთესო ღვინით იქნება ბასილა თურმე თავს და გულით სთავაზობდა სტუმრებს:

– დალიეთ, დალიეთ, მარტო წვენია, ჩემი ვენახის ცრემლია, წვეთი წყალი არა აქვს გარეულიო...

რა პატარა ბიძგი ჰყოფნის ზოგჯერ ადამიანს სიკეთის, სიყვარულისა და სათნოებისაკენ მოსაბრუნებლად! – სამი თვის დამდურებული ბიძაშვილები თურმე ისე შეხმატკბილებულან, თვალში რომ ჩავარდნოდნენ ერთმანეთს, ხელს არ ამოისვამდნენ...

მერე, ამინდი რომ გამოსულა, ისევ ბიჩინას რჩევით, ხარიანი კაცები მოუხმარებია ბასილას, ზემელი წითელი მოუჭრიათ მთის ძირას და ახალი წლის წინა დღეს მთელი ზამთრის სამყოფი შეშა მიუტანიათ...

დღეს აღარც ბასილა ამ ქვეყანაზე, აღარც მისი ბიძაშვილი და აღარც ბიჩინა. არც ამ ამბავს იხსენებს ვინმე. ჭალაში, გზის პირას, სადაც იმ თოვლიან დღეს სტუმარ-მასპინძელი შეხვდა ერთმანეთს, ისევ დგას უკვე ხანში შესული მუხა და მშვიდად გასცეკრის ხევის აქეთ-იქით აღმართულ ტყიან ქედებს...

## რიდან ჩამოვარდნილი მარნე

ეს ამბავი როდინდელია, ვერაფრით დავადგინე. იმაზე მოგახსენებთ, ერთხელ მტერი რომ მოსდებომია ჩვენს სოფელს. ჴო, მტერი, მაგრამ დიდი ლაშქარი კი არა, ერთი პატარა რაზმი ყოფილა. ვინ იყვნენ იმ რაზმში, ისიც არავინ იცის კარგად. ზოგი ამბობს, მე-18 საუკუნის ამბავია, თურქები იყვნენო. სხვები ფიქრობენ, ოსებმა გადმოაღწიეს აქამდეო, ზოგსაც 1921 წელს მომხდარად მიაჩინა, საქართველოს დასაპყრობად შემოსული რუსული ჯარის ერთ-ერთი რაზმი შემოხეტებულა ჩვენს სოფელშიო.

სოფლის ზემოთ, ციცაბო ფერდობის თავზე, მაღალ სერზე გაშლილ პატარა უბანში ერთ დღეს ჩოჩქოლი ატყდა თურმე:

– მტერი მოდის, მტერი!

– არიქა, ჩვენ ამათ ვერ გავუმკლავდებით, შეიძლება ყველანი დავიხოცოთ, მაგრამ, სანამ ჩვენ გაგვანადგურებენ, დაბლა, სოფელს უნდა გადავძახოთ, ჩქარა უნდა გავაგებინოთ მტრის მოსვლაო.

– რომ გავაგზავნოთ ვინმე არ აჯობებსა? – უკითხავს ვიღაცას.

– არაო, უპასუხნია ყველაზე უხუცესს, სანამ იქ ვინმე ჩავიდოდეს, დრო დაიკარგება, აქედან დაძახება აჯობებს, მთელი სოფელი ერთად გაიგებს მტრის მოსვლასო.

მტრის რაზმი კი ნელა უახლოვდებოდა თურმე სერის უბანს.

იქედან მთელი სოფელი არ ჩანდა და ამიტომ გადა-

წყვიტეს, მაცნე ანუ მათებურად, გადამძახებელი, ვინც სოფელს მტრის მისვლას შეატყობინებდა, რაიმე მაღალზე შეეყენებინათ, რათა მისი ხმა დაბლა მთელ სოფელს მისწვდომოდა. იქვე მდგარ ხეებს შორის მაღალი ცაცხვი აურჩევიათ და გადამძახებელიც მოუქებინათ – მეველე ხარიტონი, ყველაზე დიდი ხმა შენ გაქვსო.

აუშვიათ ხარიტონი ცაცხვზე, რომელსაც ძირთან ფუღურო გასჩენოდა.

– ხელა, ხარიტონ, ხელა, არ შეგეშინდეს, კენწიროში მოექეცი და როცა მთელ სოფელს დაინახავ, მაშინ გადასძახეო, – აფრთხილებდნენ ქვემოდან ერთად შეკრებილი მეზობლები.

მოქცევია ცაცხვს კენწეროზე ხარიტონი და როცა დაბლა მთელი სოფელი თვალწინ გადაშლია, ღრმად ჩაუსუნთქავს და მთელი ხმით დაუღრიალებია:

– ხალხო, თავს უშველეთ, მტერი მოდის, მტერიი!

მისი ხმა გრიალით დაშვებულა სოფლისაკენ, მერე მთებს შესკდომია და რამდენიმეჯერ ექოდ განმეორებულა.

მოახლოებული მტრის რაზმი მაცნეს ღრიალზე შემდგარა და მისკენ ზარბაზანი უსვრია. იგრიალა ზარბაზანმა თურმე და ისედაც მოქანავე ცაცხვი ფერდობისაკენ გადაწეულა, მერე სწრაფად წასულა მინისაკენ და მოქნეულ კენწეროს მყვირალი კაცი სოფლისაკენ გადაუსვრია.

ამის მხილველ მეზობლებს ისეთი წივილ-კივილი აუტეხავთ, რომ ლამის ცაშეძრულა. მეველე ხარიტონი კი განწირული მიფრინავდა თურმე ქვემოთ.

ეჭ, ცუდი ამბავი დატრიალდებოდა სოფელშიო, – ფიქრობთ, ალბათ, თქვენ.

თქვენც არ მომიკვდეთ, ყველაფერი კარგად დამთავრებულა.

ხარიტონისა და მისი მეზობლების ყვირილსა და კივილზე მომხვდურები შემდგარან, მერე სასწრაფოდ შეიარაღებული ხალხი – დიდი და პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი, მოზარდი თუ ბავშვი რომ დაუზახავთ, შეშინებიათ და უკან გაბრუნებულან.

მაცნეს, მიუხედავად გადმოვარდნისა, თავისი საქმე გაუკეთებია. დაბლა, სოფელში გაუგიათ ავი ამბავი, სასწრაფოდ შეკრებილა მოზრდილი რაზმი და სერისაკენ გაქცეულა მტერთან შესაბრძოლებლად, თუმცა იქ მტერი ალარ დახვედრია.

– ასე როგორ შეაშინეთ, მართლა მოდიოდა მტერი ჩვენსკენ თუ ტყუილად აგვაფორიაქეთო? – ეკითხებოდნენ ქვემოდან ასულები სერზე მცხოვრებლებს.

– მართლა, მართლა მოდიოდნენ, მაგრამ ვერგაგვიგია, ნუთუ შეეშინდათ და უკან გაბრუნდნენ? – გაკვირვებული ყოფილან ისინიც.

მერე ყველანი კვალში ჩასდგომიან დუშმანს, მაგრამ ვეღარ დასწევიან.

მაცნეს ანუ გადამძახებელ ხარიტონს რაღა დაემართო? – იკითხავთ, ალბათ.

ისიც უკნებლად გადარჩენილა. ხარიტონს დაბლა, სოფელში ქალიშვილი ჰყოლია გათხოვილი. სიძის სახლი სწორედ იმ მაღალი სერის ძირას მდგარა, საიდანაც გადამძახებელი გადავარდნილა. კარგად მოგეხსენებათ, რომ გლეხის ეზოში სახლის ახლოს სხვა ნაგებობებთან ერთად საბძელი და ბოსელიცა, მათთან კი, უკაცრავად და, სანებვე ადგილია, სადაც წლობით გროვდება ბოსლიდან გადაყრილი ნეხვი ანუ ნაკელი. სწორედ იმ ნეხვში

ჩავარდნილა ხარიტონი და მიუხედევად იმისა, რომ ყელამდე ჩაფლულა და მთლიანად ამოსვრილა მასში, სამაგიეროდ უვნებლად გადარჩენილა. იმ დროს, როცა გადამძახებელი ჩავარდნილა ნეხვის გროვაში, ეზოში ბავშვები თამაშობდნენ თურმე და მისი პატარა შვილი იშვილი მურდულივით შევარდნილა შინ შემინებული:

— დედა, დედა, გამოიხედე, ბაბუა ჩამოვარდა ციდანო!..

ციდან ჩამოვარდნილი მაცნე სიძე-ქალიშვილსა თუ მათ მეზობლებს ამოუყვანიათ ნეხვის გროვიდან და მერე მთელი დღე ბანდნენ თურმე. წუნწუშში ამოსვრილი ტანსაცმელი გადაუყრიათ და სხვა სამოსით შეუმოსავთ. ნაკელში ამოვლებულ ბაბუას შვილიშვილების თვალში საკმაოდ დაჰკარგვია ფასი, მაგრამ სამაგიეროდ სოფელში ბევრს თავგანწირულ კაცად უღიარებია, რადგან ამ მოვლენის მთავარი მონაწილე და დაზ-


არალებულიც ის ყოფილა. ზოგიერთი ენაკვიმატი კი იძაბდა თურმე:

— ნეხვში გორაობა რა თავგანწირვაა?

— თავგანწირული კი არა, ნეხვისგან გადარჩენილია ჩვენი ხარიტონიო...

ყველაზე მეტად დაზარალებული კი მაღალი ცაცხვი ყოფილა, რომელიც ფულუროიან ძირში გადატეხილა ხარიტონის სიმძიმისა თუ მტრის ნასროლი ზარბაზნისაგან. ქვემოდან ასულებს დაუმშვიდებიათ იქაურები, ამის ადგილას კარგ ნერგს დაგირგავთო და შეუსრულებიათ კიდეც დანაპირება.

გადარჩენილა ხარიტონი და გადარჩენილა სოფელიც. ჰოდა, ის კი აღარ ახსოვთ კარგად, როდის მომხდარა ეს ამბავი და ვისი რაზმი შეგუშინებიათ ჩვენებს – თურქების, ოსების თუ რუსების?.. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამას? მტერი მტერია.,



## იუნონა გურული

### ნენრიჭვარი

— დდდედას ნუ ურტყამ, მმამა.

— მოკეტე, შე ნაბიჭვარო.

...

„ისევ მთვრალი მოეთრა. დააწიოკებს ახლა იმ საცოდავებს. შენ კიდევ, უსმინე და იხეთქე ნაინფარქტალი გული“, გავიფიქრე ნერვებმოშლილმა, ხმაურით დავკეტე ფანჯარა და ფარდა გადავწიე.

— რას შევრები ადამიანო? ამოვისრჩობით ამ სიცხეში. გააღე, ცოტა ჰაერი შემოვიდეს! ისედაც სუნთქვა არ შეიძლება ამ შენი ძონძების გადამკიდე. — აგდებულად გაჰკრა ხელი სასადილო მაგიდაზე მიყრილ ნაჭრებს და უკმაყოფილი ფრუტუნით ისევ გაზეთში ჩარგო თავი.

— სხვათა შორის, ეს ძონძებია პურს რომ გვაჭმევს, თორემ შენი წყება-წყება დიპლომების იმედზე რომ ვყოფილიყავით, აქამდე შიმშილით გაგვძვრებოდა სული.

— გადამაყოლე ახლა შენი ჭრა-კერვის ნიჭს, გეგონება კვანტური ფიზიკის პროფესორი მყავდე. — ძალით ჩაიქირქილა პასუხად და გაზეთი შრიალით გადაფურცლა.

— შენ რომ ხარ პროფესორი... ხო რას ამბობ, სულ კალთებს გადლლიზავენ, არიქა, კოტე ბატონო, დაგვდეთ თქვენთან მუშაობის პატივით. — მშვიდად წავკბინე მეც და საკერავ მანქანას მიუვაჯერი.

— არ გითხარი, ფანჯარა გააღე მეთქი? — მკაცრად შემომხედა და რადგან მიხვდა, რომ განძრევას აღარ გაპირებდი, დილიდან სკამზე დასვენებული საჯდომის

აწევა იკადრა და უკმაყოფილო ხვნეშით თვითონ გამოაღო ფანჯარა.

— ნუგზარი მოვიდა გატიალებული მთვრალი... არ მაქვს მაგათი კონცერტების თავი. შენ კიდევ, სუფთა ჰაერი თუ გინდა, შეგიძლია გარეთ გაბრძანდე და გაისეირნო. არც სახლში მოგართმევს ვინმე ხონჩით სამსახურს, სხვათა შორის.

გახშირებულ ქშენაზე მივხვდი მისი სიბრაზის ხარისხს. თავიც არ ამინევია, ისე ავაზმაურე „ზინგერის“ მანქანა და „ჭრიჭინადან“ მელოდიის ღიღინიც კი დავიწყე მის კიდევ უფრო გასაღიზიანებლად.

\* \* \*

კარგა ხანია გაიარა იმ პერიოდმა, როდესაც ჩემი ინტელიგენტი და უხერხემლო ქმარი მეცოდებოდა. მაშინ პატარა ბავშვივით ვუვლიდი, ვამშვიდებდი და ვანებივრებდი. არა, ბავშვივით ახლაც ვუვლი. ფრჩხილებსაც კი მე ვაჭრი დღემდე, იმიტომ, რომ როცა ღრმადპატივცემულმა ქალბატონმა გულიკომ ხელების კანკალით გადმომაბარა თავისი „პირში სულის ბერვით გაზრდილი“ ერთადერთი პირმშო, ისეთი გაზულუქებული ჰყავდა, ტრაკის გამოწმენდას რომ ახერხებდა თავისით, მაგაზეც მადლობელი ვიყავი.

სიყვარული წლების განმავლობაში გაღიზიანებამ და გულგრილობამ ჩაანაცვლა. უკვე დიდი ხანია ისე ვცხოვრობთ ერთ ჭერქვეშ, როგორც ორი უცხო ადამიანი, რომლებსაც წასასვლელი არსად აქვთ და მიჩვევის, უალტერნატივობის თუ სიზარმაცის გამო ინერციით აგრძელებენ თანაარსებობას. ყველაფერი უკვე ასჯერ არის ხათქვამ-გადაღეჭილი, კითხვებიც და პასუხებიც ერთნაირად ყურშეჩვეული და გაცვეთილია, ქედებები - დაზეპირებული, თითქოს მილიონ დუბლად ჩანერილი ერთი და იგივე კადრი, პატარ-პატარა, უმნიშვნელო ცვლილებებით.

ამასობაში პირველი ლანანიც გაისმა მეზობლის ბინიდან, რასაც ქალის სუსტი წამოკივლება მოჰყვა.

„დაიწყო. სანამ იმ დასაწვავს სასმელს მონერებს და დაიძინებს, ამას რა გაუძლებას.“

საკერავი მანქანა გავაჩერე, ხმაურით ავდექი სკამიდან, ფეხსაცმელი ჩავიცვი და კარი გავაღე.

— სად მიდიხარ? — გაუკვირდა ჩვეული რუტინიდან ამოვარდნილი ქმედება ჩემ უმუშევარ პროფესორ-ნახევარს და სათვალის ზემოდან გაკვირვებულმა გამომხედა.

- ჭრა-კერვის კურსებზე! - კარი გამოვიჯახუნე და კიბე ჩავირბინე. ეზოში გასულმა ისევ მტკრევის ხმა გავიგე, რასაც ბავშვის გაბმული ტირილი მოჰყევა.

- მოკლა ხო ცოლ-შვილი (ჭემაში იმ მოსასპობმა? - ამინიხენება შურა დეიდამ, რომელიც ჭიშკართან შემეფეთა. - ღმერთო, შენ გაუხმე მარჯვენა! - პირველი გადაინტერა და თვალები სასოცებით აღაპყრო შარდის სუნად აყროლებულ ეზოს თაღს. მერე უცებ მსუნაგი გამოშეტყველებით ჩამომეტიდა მკლავზე, თავისეკებიმიმნია, ტუჩის კუთხეებში მომდგარი თეთრი ნადები ცერით ჩამოინტენდა და დადაბლებული ხმით შემომაორთქლა სახეში:

- ისეთი ამბავი უნდა გითხრა, ნაღდად შეირყევი. მთელი უბანი მაგაზე ლაპარაკობს თურმე. მე კიდე, ა, გუშინ ძლივს გავიგე. - გულისწყვეტა გამოერია ინტონა-ციაში.

სახლიდან ისევ მტკრევა, გინება და ტირილი ისმოდა. ნერვები დაწყვეტამდე დამეჭიმა, მაგრამ სანამ რამის თქმა მოვასწარი, შურა ისევ შეთქმულივით ამისის-ინდა ყურთან.

- მაღაზიასათან რო თამრიკო ცხოვრობს, ხო იცი, ქმარგაყრილი? სტაპრაცენტნი გავიგე, რო ვიღაც ბი-ზენსმენთან დაეთრევა თურმე. მზიას რძლის მეზობელ-მა თქვა, რამდენჯერმე დავინახე რაცხა შავ ბეენვეშიო.

- ნუ, მზიას რძლის მეზობელმა თუ თქვა, - გამოვა-ჯავრე მისივე ინტონაციით. - მაშინ უეჭველი ეგრე იქნება. ჰოდა, რაღა გიჭირთ მთელ უბანს. კი გეყოფათ შემ-დეგი ორი თვე ენების მოსაფხანად. - მკლავი უხეშად გამოვგლიჯე და სიცხისგან ბულადენილ, მტკრიან ქუ-ჩაში გამოვვარდი. გავიგონე, როგორ მომანყევლა ჩემი უზრდელობით გაცეცხლებულმა შურამ და ჭიშკარი მთელი ძალით გამოვილანუნე.

(კოტა ხანში უკნიდან ფლოსტების ფრატუნი მომეს-მა და მივტრიალდი. ეს უკვე ჩემი ქმარი წამომენია თავის განუყრელ ზოლიან ხალათსა და მუხლებზე გამობერ-ილ, ლურჯ, სპორტულ შარვალში. აქეთ-იქით გაიხედა, მამასისხლად დარჩენილი თმის ორიოდე ღერი ხელის ნერვიული მოძრაობით გადაივარცხნა და სწრაფ ტემ-პეში ჩამოარაკარაკა:

- პოლიცია არ დააყენო იმათ კიდევ. გითხარი, არაა ეგ შენი საქმე. უნდა იმ ქალს ეტყობა თავისი მოძალადე და ლოთი ქმარი და შენ არავინ გევითხება. მერე ისევ ჩვენ მოგვიხტება ნუგზარი და არ მაქვს მაგის ღრიალის თავი.

- ჴო, მთავარია შენ არ შეწუხდე და ასჯერ წაკითხული გაზეთის ასმერთედ წაკითხვაში არავინ შეგიძალოს ხელი და ისინი კი დახოცილან თუ უნდათ. გულს მირევ!

- ზურგი შევაქციე და ისე დაუკვირვებლად გადავჭრი ქუჩა, კინაღამ ორ წუთში ამიხდა შურა დეიდას წყვლა.

- ბრმა ხარ, შე დედამოტყუნულო? მომესმა საკუთარი მანქანასავით გათეთრებული მძლოლის ყვირილი და არანაკლებ გათეთრებული იქვე ჩამოვჯექი ბორდი-ურზე. სულის მოთქმა ვერ მოვასწარი და „*არ არ მართოს არა მართოს*“ - ჩამკივლა ვიღაცამ ყურში. ქალბატონი ლარ-ისას მძაფრი სუნამოს არომატიც უხვად დამეფრქვა თავზე.

„ესლა მაკლდა“, გავითიქრე გაღიზიანებულმა და მაქსიმალურად ზრდილობიანად შევლიმე ქვემოდან.

- არაფერი, თავბრუ დამესვა უცებ.

- ტავბრუ? ა თა სლუჩანი ხე ბერემენია? ცილი მებე ლე, კსთაუ? - ეჭვით და ინტერეს-ით ჩამათვალიერა, განსაკუთრებით მუცლის მიდამოებ-ში. - ა ჩუ-კა ხსთაუ? - შეპასუხებას შეუჩეველი კილოთი ისროლა და გაცვეთილი, რეზინის ბოლოიანი ჯოხი პრეტენზიულად დააკაუნა ასფალტზე.

- ღმერთო, რა დავაშავე! - ახლა მე აღვაპყრე სა-სონარკვეთილი მზერა ცისკენ. - არ ვარ ფეხმძმედ. არც ვიქნები. რამე გაინტერესებთ კიდევ? - ჯიუტად არ ვდეგებოდი ბორდიურიდან და ნერვგანყვეტილი ჯიქურ ვუყურებდი ჩამომჭკნარი ქუთუთოების მიღმა დამა-ლულ ღილივით თვალებში.

ლარისამ ჩემი უხეშობა არ შეიმჩნია. ასაკის მიუხე-დავად ლარივით წელში გამართული და ინგლისის დედ-ოფალივით გოროზად თავაწეული უეცრად შუაზე მოიხ-არა და ახლა მან შემომასუნთქა ყელის მიდამოებში.

ა ს მაკი უვალა იმ შეკრის... ხორის, კო თა ცაცას, ა თო ყოვა ნა, - კიმყოფილი ახითხ-ითდა და შურას ამბის აშკარად შელამაზებული ვარიან-ტის მოსაყოლად მოემზადა. ვიგრძენი, სისხლმა ტვინში როგორ ამასხა.

- ვააბუ-თო ა უჯე ვნათ. თამრი ც კემ-თო მორავათა. იტი, იტი! ი კა ითა ისმელა, გა?

- ჲხალკა! ჲ ა მო ვა ჩემი ამის მიუხედავით შეკრის მიუხედავით შეკრის მოსაყოლად მოემზადა. ვიგრძენი, სისხლმა ტვინში როგორ ამასხა.

მძიმედ ავდექი, შარვალი უკან გავიფერთხე, მექან-იკურად მუცელზე დავიხედე და ის გავიფიქრე, რისი თქმაც ბევრჯერ მომდომებია გაცხარებული ჩხუბის დროს ქმრისთვის და არც ერთხელ არ წამომცდენია:

- შვილის გაკეთებაზეც კი არ ივარგე, შე ლოქო.

მერე გამახსენდა, რამდენი წელი ვომობდით ბავშ-ვის აყვანაზე და როგორ აქტიურად ერეოდა ჩვენ კამათ-ში ქალბატონი გულიკო თავისი ურყევი არგუმენტაცი-ით:

- ვიღაცის ნაბიჭვარს ვერ შემოვათრევ სახლში. რა იცი ვისი გენები დავყება და რა გაიზრდება... - თითქოს ან სახლი ყოფილიყო მისი, ან ცხოვრება. გეგონება, მათ ცისფერ სისხლსა და არისტოკრატულ გვარში ყველა თითოთ საჩვენებელი და საამაყო სუბიექტი ჰყავდათ.

უცებ შაკო გამახსენდა და გული მომენურა. როგორ სიამოვნებით ვიშვილებდი დღესვე, რომ შემეძლოს. სან-ახევროდ მაინც ჩვენთანაა. ზის ხოლმე დალურჯებული, თავჩალუნული და საჭმელს გატყიურებული ლეკვივით ჭამს. ჩქარ-ჩქარა ჭამს, მთელი ტანით ზაბარასავით დაჭმიული აქვს, თითქოს მზად არის ნებისმიერ ხმაუ-რზე დააგდოს კოგზი, უახლოეს ნაპრალში შეძრეს და ნრუნუნასავით დაიმალოს. შარშან, ახალ წელს, მაგის თვალწინ უმოწყალოდ რომ ცემა დედამისი იმ იდიოტ-მა, იმის მერე ენასაც უკიდებს საწყალი. ისედაც, რა დიდი მოლაპარაკე ეგ მყავას: გამარჯობა, კარგად, მად-ლობა, ბოდიში, ნახვამდის...

გული ამტკივდა.

„ექზე უნდა მივიდე როგორმე. რა ეღირება ასეთი. სანამ რამე დამემართა ამდენი ნერვიულობისგან. ისე, მართალია კოტე, არ შეიძლება ასე ყველაფერზე გულისხეთქვა. მაგრამ როგორ გინდა მშვიდად იყო, რომ

შემოგხედავს თავისი დაფეხული, შიშჩამდგარი თვალებით და ხრინხიანი ხმით გყითხავს: „ქქქქეთინო დდდეიდა, სხვისი ნენნაბიჭვარირრა არის?“ - და როგორ გინდა აუხსნა ბავშვს, რაუთხრა იმ არაკაცმა, მამამისი რომ ჰქონია.“

„ცუდი სიტყვაა, შაკო, შენარ გაიმეორო და არც ყურა-დღება მიაჟციო“. - მონოლილი ცრემლის უკან შებრუნებას ვცდილობ და რადგან არ გამომდის, ვდგები და ბავშვის გადახოტრილ თავს ვიხუტებ მუცელზე.

„მმმმანც რრრას ნიშნავს ნენნაბიჭვარი, ქქქქეთინო დეიდა?“ - მესმის ჯიუტად ამოღერლილი შეკითხვა და სიკვდილს ვნატრობ.

ფიქრებიდან მანქანის სიგნალმა გამომიყვანა და ჩემი მხედველობის და, რაღა თქმა უნდა, სქესის მისამართით გინების მორიგი ტალღა დაიძრა.

„ცოტა უხდა გამოვფხიზლდე, თორემ ისე ბატივით დავდივარ, მართლა ახდება დღეს შურას წყევლა.“

დავილალე. ნახევარი ქალაქი მომიკლია ამასობაში.

„უკან რა წავა ფეხით. სამგზავრო მაინც წამომეღო, რამეს გაყვებოდი. კიდევ კარგი მზე გადავიდა და აღარ იხრჩობა აქაურობა. ნეტა იმ იდიოტმა საჭმელი გაათბო, თუ დაზარა და ისევ ცივად ჭამა? დაზარება ჯობი პრინციპში. ამას წინათრომ დამახვედრა მთელი ქვაბი სადილი მიმწვარ-მიბუგული. საჭმლიანად მომინია მერე იმ ქვაბის გადაგდება. გულიკოს რომ მოვუტყან ინტელიგენტი კარგის ტრაკი, მაგ უხეიროლოქოს გაზრდისთვის.“

როგორც იქნა მივაღწი სახლამდე. შორიდანვე დავინახე ქიშკართან გაჩერებული პოლიციის ორი მანქანა, ტელევიზიის კამერები და შეკრებილი ხალხი. ხელების შლით მოქაქანე შურა დეიდამ დამინახა თუ არა, წაშში დაივინყა შუადლის გაბრაზება, ტელევიზიისთვის სპეციალურად ჩაცმული, ადამ-კუკუს დროინდელი თეატრალური კაბაგასისორა და „რუმიანა“ - დაყრილი ლოყების თახთახით ჩემენ წამოვიდა.

- მოკლა იმ სასიკვდილემ! - დასჭექა საზეიმო ხმით, მრავალმნიშვნელოვანი, დრამატული პაუზა გააკეთა და რეაქციის მოლოდინში დადარაჯებული შემომაცერდა თვალებში.

- ვინ? - ამოვიხრიალე და ისევ ბორდიურზე ჩამოვჯე-

ქიმუხლმოკვეთილი.

- ნუგზარიმ, ვინ! - თქვა და პომადანასმული, ჭენობაშეპარული ტუჩები ჩემი რეაქციით უკმაყოფილომ მოპრუნა. როგორც მივხვდი, ლოყების დახოკვას თუ არა, მუშტისხელა ცრემლების გადმოყრას მაინც ელოდა.

- წოდა, ვინ-მეთქი, ვინ? - დაცუყვირე ბოლო ხმაზე და წაშლილი სახითავხედე თავზე ზვინივით ჩამომდგარ ქალს.

რამდენიმე წამს ჩუმად მიყურა. როგორც ჩანს ფიქრობდა, ჩემი მორიგი გალანძღვა ერჩია, თუ ცუდი ამბის მოხარება. საბოლოოდ მეორე ვარიანტმა გადაწონა, ახლად ამოქნილი წარბები აწყიბა, მწუხარე სახე მიიღო და მითხრა:

- ვინ და შაკო. მაგას მოუკვდეს შურა დეიდააა. - წაიმლერასავით, ერთი ხელით მჯიდღი დაირტყა გაფაშფაშებულ კერდზე, მეორეთი დაზეპირებული მოძრაობით პირჯვარი გადაიხერა, ღრუბლებს ჩეარა ახედა და ულვაშების ცმაცუნით ისევ მე დამაცერდა.

რამდენიმე წამი საკუთარ გულისცემას ვუსმენდი. ვაკვირდებოდი, მართლა სკდებოდა, თუ ამჯერადაც გა-დავრჩი.

- გილოცავთ, შურა დეიდა. გაბოზებული თამრიკოს თემა გადაფარა ამ ამბავმა. ტელევიზორშიც გამოჩენდებით თქვენი საკუბოვე კაბით. კარგი დღეა, კარგი. - ვთქვი როგორც კი ხმის ამოღება შევძელი. პასუხს არც დაგლოდებივარ, წელი ავითრიე და ეზოს მიმართულებით დავიძარი.

ხალხის შუაგულში შენუხებულსახიანი ჩემი მეორე ნახევარი რომ დავინახე, მივედი და უჩვეულოდ მშვიდად თუ გულგრილად ვუთხარი:


- შენ ბარგს ჩალაგებ და კვირის ბოლომდე ბინიდან გადახვალ.

- რა? - შეშუბებული თვალები შუბლზე აუცოცდა, მერე შეკრებილ მეზობლებს სწრაფად გადახედა, უფრო მომიახლოვდა და სისინით მკითხა:

- სად უნდა გადავიდე, სულ გააფირინე შენ?

- სად და ლრმად პატივცემულ ქალბატონ გულიკოსთან. ანი ის დაგჭრის ხოლმე ფრჩილებს.

სახლში შევედი, ლოგინზე დავეგდე, თავზე ბალიში დავიფარე და ბოლო ხმაზე ავლრიალდი.



## ბესო ხველელი სიზმრების ახანი

(ა-ვ)

ბელი თუ გესტუმროს სიზმარში, და გაშალოთ სუფრა, და მიირთვათ ბატკნის ჩაშუშული, და დააყოლოთ ზედ პურის ღვინო, და ბრძანოთ სა-

დღერძელოები: მინის, ცისა და წყლის, რამეთუ ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდეს, და გაიხსენოთ ყველაფერი — მომხდარიც და მოსახდენიც, და დილით, თვალებამოღამებულები, ერთად შეეგბოთ ალიონს —

ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილის შემდეგ წვერი აღარ გაიპარს. წვერმაც თითქოს იგრძნოს შენი სევდა და იმდენად სწრაფად იწყოს ზრდა, რომ სამი წლის შემდეგ, ყველ ნაშუადლეს, წყარომდე ურიკით მიდიოდე. ურიკაზე დაფინილ წვერზე დასვენებული თუნგს წყარომდე რომ ჩაიტანდე, წყაროსთავზე მსხდარი ორი სოფლელი გლეხკაცისგან ეგეთებს ისმენდე:

- ჩვენი არსი სამყაროა...

- არაფერი შეგებალოს — ჩვენი სამყარო არსია...

- არსი სამყაროშია!

- ნუ იტყუები! არსი იქაა — სამყარო აქ! სამყარო უარსოა!

- და ის ჩვენ ვართ?

- ვინ?!

-გასაცოცხლებელი მკვდრები?!

... ამის გაგონებაზე ერთ-ერთს თითოთ შენთან მიიხ-მობდე, თუნგს ცივი წყლით აავსებინებდე და ურიკაზე დაფენილ შენივე წვერში ისე მტკიცედ და ღრმად ჩაჩურ-თავდე, რომ თუნგს წვერიდან მხოლოდ პირი და ყელის მცირე ნაწილი უჩანდეს.

**პ**ედნიერი სახით თუ გაუწყოს აბელმა სიზმარში, რომ ჭეშმარიტ მამასთან მიღილის სოფელში, და დამგზავრება გთხოვოს, და დაუფიქრებლად დათანხმდე, და უკანმოუხედავად გაჰყვე, და მამა დაგიხვდეთ ძეველებურად: შუბლზე ხაზებითა და ხაზებში წლებით, და შიშვლები ჩაგაყენოთ სანდახელში, და ყურძენი განურინოთ, და თან ზედ დაგნანავებდეთ: ვერ გამოგარჩევთ, ისე მიყვარხართ ორივენიცათ –

– ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილის ექვსი წლის შემდეგ, წვერი უკვე სახლში ნოხივით გქონდეს გაფენილი. წვერის სიგრძე და ფართი მთლიანად ფარავდეს სახლის სასტუმრო ოთახის იატაკს. ნოხად გამოუყენებელი წვერის სიგრძე კი სახლში თავისუფლად გადაადგილების საშუალებას გაძლევდეს, შენთან კი ისმებოდეს სასმისები და კითხვები:

– ჩვენი ცხოვრება საახალწლო ნაძვის ხეა და ჩვენ სათამაშოები ვართ მისი?

– კი მაგრამ, გირჩები?

– ვიდრე არ ჩამოვარდნენ, ვერ ნახონ ცხოვრება?

**პ**ვიან ლამით სოფლელმა ძმა-ბიჭებმა თუ მოგაკითხონ მამასთან სიზმარში, და გადაღმა სოფელში საქეიფოდ გადაგიპატიუონ, და სუფრა იყოს მდიდრული ისევ პურის ღვიძლით, ხორცით, მწვანილით, თევზით, და აუხილდნენ ერთმანეთს ორნი სხვადასხვა სოფლიდან, და ატყდეს დაკა: იაფ ლარნაკთა წუილი სოფლურ აიგანსა და ფერად სუფრაზე, და შენ ერთ მხარეს დადგე, და აბელი — მეორეზე, და ერთმანეთს ეცეთ სიმართლის დასამტკიცებლად, და გაიღახო –

– ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილის ათი წლის შემდეგ შენი წვერი უკვე სოფლის შარასა და შუებში გაიფინოს. გზის საფარის ასეთმა უცნაურმა და ორიგინალურმა სახემ სოფელში უამრავი უცხოელი ტურისტი მოიზიდოს. წვერთან ახლოში ყოფნის სურვილი მათი მხრიდან იმდენად დიდი იყოს, რომ უცხოელებმა შენს წვერზე ფეხშიშვლად და აღტაცებული მზერით სიარულიც კი დანერგონ, შენ კი ამ დროს ან ვენას წამლავდე, ან კიდევ, რომელიმე ხეზე შემომჯდარი, ხილს კრეფდე და საკუთარი წვერის უსაშველო სიგრძე სულ არ გაუხერხულებდეს.

**პ**ილისკენ უჩუმრად თუ ადგე სიზმარში, და გალეშილმა სახლში ფინალი შეიტანო, და მძინარე აბელი ზედ ააგო, და უმაღლ დალიოს აბელმა სული, და შენ კი გაიძცე ფეხშიშვლი, და იმალო ტყეში და ღრეში, და თავი გაგქონდეს ნებომპალათი და ხეში ჩამდგარი წყლით, და შესამჩნევად შეგითხელდეს ხორცი, და ყვრიმალები უნინდელზე მეტად დაგემჩნეს –

– ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილის ოცი წლის თავზე შენმა წვერმა იმ მასშტაბებს მიაღწიოს, რომ სოფლის შარა და შუები უღრან ტყეს დაემსგავსოს. სოფლის ასეთმა იერმა კიდევ უფრო მეტი უცხოელი მიიზიდოს სოფელში. პირველმა ნაკადმა შენს წვერში უკვე ჯგუფუ-

რი სიარული, რისკიანი ექსტრიმ-ექსკურსიები და იქ ამოსული ქაბა-სოკოს შეგროვება აქციოს

ტრადიციად. აქვე დაფიქსირდეს შენს წვერში უცხოელთა ძარცვისა და გაუბატიურების პირველი შემზარვი ფაქტები.

**პ**ლდა თუ ეცეს მამას, გაიგოს რა თქვენი ამბავი სიზმარში, და ისიც ფეხშიშველი გადავიდეს მეზობელ სოფელში, და დაჩვრეტილი აბელი ხელში აიტაცოს, და ისე ჩაიტანოს სახლში, და თავისივე ხელით გაუთხაროს საშუალო ტანის კაცის სიმაღლის სამარე, და შენ კი დაგნეულოს გადაბმული ნარბებითა და გამეხებული პირით მამის, მიწის, ცის და წყლის შეურაცხყოფისთვის, და ხანდარი კი მის თვალებს ეკიდოს –

– ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილის ოცდამეტუთე წლინანდა, დედაქალაქში, ერთ-ერთ ტელე-შოუში მიგინვიონდა და დიდხანს გალაპარაკონ პოლიტიკაზე, სოფლის მეურნეობასა და ჭიპგადმოგდებულ ქალებზე. შენი წვერი კი უკვე იმ სიგრძის იყოს, დედაქალაქამდე მისწვდეს და სოფლიდან დედაქალაქის ტელევიზიამდე ჰაერში გაბმულ შენს წვერზე ჩამოსხდომით იმ გვიან შემოდგომაზე უამრავმა გადამფრენმა ფრინველმა მოითხვას სული.

**პ**ელურ მტრედს ფეხზე სველი მიწით დაწერილი ბარათი თუ შეაბა სიზმარში, და მამას გაუგზავნო ახსნა-განმარტებით, და აუწყო, რომ ძალიან კი გინდა, მაგრამ წრფელი სინანული ჩადენილის მიმართ არა და არ მოდის: რომ აბელი ძმა კი იყო, მაგრამ — უმცროსი, და ეგეთ დროს ბრმა სიმართლის კი არა, უფროსი ძმის მხარეს უნდა დამდგარიყო, და შენზე ხელი არ აენია –

– ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილიდან ოცდაათი წლის შემდეგ ხალხს შენი წვერის უსასყიდლოდ გამოყენების უფლება მისცა და ერთი-ათად წინ წავიდეს ქვეყნიდან პარიკების, ბალიშებისა და ხელოვნურსაფრიანი ფეხბურთის მოედნების ექსპორტის საქმე.

**პ**ეზეულად თუ გაპყოს მამამ სიზმარში ფეხი რკინის ქალამნებში, და დაიჭიროს რკინის ჯოხი, და მოიგდოს ბურგზე ზომიერად სავსე ხურჯინი, და ღიად დატოვოს სახლი, და ნამოვიდეს შენს საძებრად, და ბევრი იაროს თუ ცოტა, გადაეყაროს დათვს, რომელიც იყოს „ჭამა და ძილი“, და ჰკითხოს მას - „ჩემი კაენი ხომ არ გინახავს?“ - და იუაროს დათვსა, და დააკრეჭინოს მამამ დათვს კბილები, და რომ ვერ უპოვოს კბილებში გახირული შენი ხორცის ნაფლეთი, გადახვიოს მხარზე ხელი, და ერთად გამოსწიონ შენს საძებრად –

– ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილის მეორმოცე წლისთავზე სოფლისთავად აგირჩიონ და სოფლის გამგეობის სხდომაზე შენს გრძელ გამოსვლებს ყველანი სულგანაბულები უსმენდნენ. წვერი კი უკვე იმხელა იყოს, რომ შენი კეთილშობილური ინიციატივით მისი ნაწილით გადაიხუროს მთელი რაიონის სახლების სახურავები.

**პ**ვალმოუხუჭავად თუ იარონ ბევრი თუ ცოტა სიზმარში, და ძლიერ მოშივდეთ მამას და დათვს, და თვალი ჰკითხონ ველური ფუტკრების ბუდეს ხის კენეროზე, და მამამ ნაღვლის ბუშტი ამოიჭრას, და გაბეროს, და დათვი აპყვეს ბუშტს ხის კენერომდე, და ფუტკრებს თაფლი მონინებით სთხოვოს, და

ფუტკრებმა დათვს თაფლი მისცენ, და მამამ ბუშტი თოფი ესროლოს, გახეთქოს, და დათვი ისევ მინაზე დაეშვას, და იგემონ თაფლი, და გაძლიერდნენ, და განაგრძონ გზა შენს საძებრად, და თან გამოიყოლონ ფუტკრის ჯარი –

– ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილის ორმოცდამესუთე წლინადს შენმა წვერმა გათეთრება ინყოს. შენ ამან არ გადარდიანოს, ვინაიდან შენი წვერის ხელოვნურ თოვლად გამოყენებამ მოიცავას არა მხოლოდ ახლოსავლეთის პაპანაქე-ბაქვეყნები, არამედ სრულიად აფრიკის კონტინენტიც კი.

**■** ლაჯვამოცლილ მამას, დათვსა და ფუტკრებს თუ გადაეყაროთ სიზმარში ზამთარი სახელად „შენ გაგინა სიკვდილმა“, და თუ ზამთარს ჰკითხონ: „შენ ხომ არ შეინირე ყინვით და თოვლით ჩვენი კაენი?“ - და იუაროს ზამთარმა, და შენ კი ამ დროს მართლაც სულ სხვა ტყის ფულუროში გეძინოს ტკბილად, და დაიმგზავრონ ზამთარიც, და ყველანი ერთად გამოუდგნენ გზას შენს საძებრად, და მალევე დააღამდეთ, და ძილმორეულმა დათვმა ბაჯვგვალი გამოიძროს, და ფუტკრები ზედ ნესტრებით ეხახუნონ და დაანთონ ცეცხლი, და აავიზებიზონ კოცონიდა ზამთარი გაზაფხულად აქციონ, და თბილადაც გამოიძრონ, და უთენიას გაუდგნენ ისევ გზას მამა, ნაუცბათევად გამოზამთრებული დათვი, ფუტკარი და გაზაფხული სახელად „თვალს მწვანე ფერი ამშვიდებს“, და შენ კი ამ დროს ადრეულ კენკრას აგროვებდე და ამით გაგქონდეს თავი –

– ცხადში, ღვიძლი ძმის სიკვდილის ორმოცდათი წლის თავზე, როდესაც მსოფლიოს ათ უდიდეს ქალაქში პარალელურად შენი წვერისგან შეკერილი კაბების, ქათიძების და მათრახების გრანდიოზული ჩვენება მოენყოს, ღრმად მოხუცებული ლოგინად იყო ჩავარდნილი და სახ-

ეზე მიტკლისფერი გედოს. ზედმეტად სუსტად რომ იგრძნო თავი, მღვდელს დააძახებინონ და აღსარების მაგიერ მღვდელს ორად-ორი სიტყვა უთხრა:

– გამპარსე, მამაო!

მღვდელმა პირჯვარი გამოგსახოს, შემდეგ ოქროს ჯვარს გამთხვიოს, ხელში ბასრად ალესილი სამართებელი აიღოს და სუფთად გაგპარსოს.

**■** აი ენით თუ გიძახონ სიზმარში, და შენ მუნჯად იყო, რამეთუ გეშინოდეს მამის რისხვის, და თუ შიშმა იმდენი გიყოს, ტყიდან მალულად გამოგიყვანოს, და დაეშვა ბარად ლამით, და მოციმციმე ქალაქს შეაფარო თავი და გახდე მისი პირველი და მარადიული მათხვარი, და მამამ კი ფუტკარი ტყეს დაულოცოს, დათვი მისივე თხოვნით ქალაქად დაიმგზავროს, და ჩააბაროს ზოოპარქს, და გეძინოს მარტომ, და გკითხულობდეს და ვერ გაგნებდეს, და ხმირად გადაეგეყრებოდდეს, მაგრამ ველარ გცნობდეს, გამრავლებულს, და დიოდეს აღმართ-დალმართ მარად შვილებატკივებული –

– ცხადში, შენს გასვენებას უამრავი ხალხი დაესწროს. მრავალ ქალაქში მოეწყოს სამგლოვიარო მსვლელობები შენი შავ-თეთრი სურათებით და ყველა ეს მსვლელობა ტელევიზიების პირდაპირ ეთერში გადაიცეს. შენ სოფლის განაპირას მომცრო, თუმცა კი ყველა მხრიდან თვალშისაცემ, გორაკზე დაგრძალონ და შენს საფლავზე აღმართონ ქვის ორნამენტული და მოტრიალე გლობუსი, რომელსაც შენივე წვერისგან დაწნული ასოებით გარშემო სამ ენაზე ენეროს:

„**მმა მმისთვისაო**“

**„БРАТ ЗА БРАТА“**

და

**„BROTHER FOR BROTHER“**



## ესა აკავებიშვილი გზა სწორია?

არ ვეძებთ მიზეზებს, გვაშფოთებს შედეგი, ღვთისენ კი მიღდიგართ, მაგრამ გზა სწორია? რა გველის არ ვიცით სასჯელი შემდეგი, ჩვენს ცოდვებს იქ მაღლა, სხვა თვალით სწორია. მთები რად დაიძრა, ვერე რამ შეშალა, ჩავედოთ ერთმანეთს თვალებში, რა ხდება, წინ წარლვის სურათი რად გადაგვემალა სუყველა კითხვაზე პასუხი დაგვხვდება.

თბილისის დედას ვერ გავხადეთ ძაძები, რა ვთესეთ არ გვახსოვს, სამკალს კი ვიღოცებთ, რად გვინდა გაშენოთ მარტოდენ ტაძრები, თუ კი იქ ნამდვილი რწმენით არ ვილოცებთ. ბინდება, ხელიდან გვეცლება ნათელი, წლებია სხეულში რაც სული აგმინდა, ეშმაკის რქებზე თუ დავანთეთ სანთელი, წყალობა მოგვერთვას? მეტი სხვა რა გვინდა.

## გდეივა საქართველოვ?

გტეივა საქართველოვ? გაუძელი, გულის დაკორტვნა ვინ გაგიბედა. მხრებზე შეგვადექ და აღიმართე, ოღონდ არ წამოგცდეს „ვაი, დედა.“ ტიტებს წვეთები სდის სისხლისა და ზეცა აალმურდა ცეცხლით სანთლის, ერთი ეცემა და მეორე შვილს დროშას ჩააბარებს დედა ქართლის. მტკვარი ამლვრეული წინათგრძნობით, ხვალის განთიადი შეიცვლება, როცა სისხლი არის გასაღები, მაშინ სიცოცხლე არ შეიძლება. ლოცვად აღპყრობილი ხელებიდან წამი გავარდება მოცრემლილი, თბილის ჯერ არ ახსოვს ეს ამდენი

ტიტა, ერთ დამეში მოცელილი.  
გტკივა საქართველოვ? გაუძელი  
ლმერთმა განსაცდელი დაგიბედა,  
შუბლი წინამურშიც გაგიხვრიტეს,  
არც ხომ იქ წამოგცდა, „ვაი, დედა“.  
ბუდეს არწივი რომ დაკანკალებს,  
ხვალე შემოგნირავს თავის მართვებს,  
გტკივა საქართველოვ? ჩვენცა გვტკივა!  
მხრებზე შეგვადექ და გაიმართე!

## ამოფი ზერპი

ეგ გულის ამთრთოლი სიტყვები,  
ზეცაზე თავგზასაც უპნევს მზეს,  
აქა გაქვს ადგილი ვაჟკაცო,  
ჩემს გვერდით ვარდისფერ ღრუბლებზე.  
ამოდი, ამოდი ზეცაში,  
მოწყენით სხვისკენ ნუ მიიმზე,  
ეს მე ვარ ლელაც და სანათაც  
და შენ რომ გელის ის პირიმზე.  
ამოდი, სანამ ეს ბაგენი  
დაჰკოცნა ქარმა და ელვამა,  
ოცნება გიქციო ნამდვილი,  
ნაგვლეკოს გრძნობათა ლელვამა.  
აქ დავდგათ ეგ „ცოდვის გორები“,  
ლრუბლები, მზე გარეთ, მზეცა შინ.  
პოეტო, მიწაზე ცოდო ხარ  
ამოდი, ამოდი ზეცაში.

## რა შეაში ხარ

ნუ უბრაზდები ჩემს სიყვარულს, აცადე ფრენა,  
ის შენ არაფერს არა გთხოვს და ნუ ებრძვი ასე,  
თავისთვის ლალობს და ლექსების ჰყოფნია ენა,  
მხიარულია, მაგრამ მაინც ცრემლებით სავსე.  
ნუ უბრაზდები ჩემს სიყვარულს, ის ხომ ჩემია,  
მე ვგრძნობ, მე მტკივა, მე ვოცნებობ, ჩემი ხვედრია,  
საფერებელი სიტყვები თუ არ დაგრჩენია,  
ნუ უბრაზდები, შენ ხომ ჯერ ის არც შეგხვედრია.



## გოჩა სხილაძე ალექს ხის სიხარული

მე ყოველ დილით გეკითხები: როგორ ხარ თამო?  
შენაც მპასუხობ: თქვენ როგორ ხართ, როგორ ბრძანდებით?

ფრენა უნდა და მეც დავუთმე ზეცა და სივრცე,  
თუ წვიმს, მე მაწვიმს, თუ თოვაა ისევ მე მათოვს,  
რა შუაში ხარ, თუ კი მინდა სიცოცხლე მივცე,  
ჩემია ჩემი სიყვარული, არაფერს არ გთხოვს.  
გამოგიგონე, მომენატრა ლიმილი როცა  
და ავუშალე ოცნებებსაც ზეცის აფრები,  
რამ შეგამინა, ანდა ასე რამ გაგაოცა,  
არ იცი ლექსებს რომ სჭირდება ზოგჯერ ზღაპრები?  
ნიავადაც რომ გადაიცეს, ამას გპირდები  
აგერიდება, მას არ ახლავს ველური ვნება,  
როგორც მოვედი, ისე წავალ, გავნაპირდები,  
სიყვარულის კი არ მჭირდება შენიდან ნება.

## დაზაკროგად მეძნელები

მგონი ამინდებიც გადირია  
ვერც მზეს გაუგებ და ვეღარც ქარებს  
და ეს დღეები რომ გადივლიან,  
ზეცა შემოიმსხვრევს მინანქარებს.  
ყინვებს ამოტეხავს ენძელები,  
იებს ამიყვავებს იმედი ხვალ,  
უკვე დასაკარგად მეძნელები,  
ჩემთვის სიყვარულზეც კი მეტი ხარ.  
ცაზე ოცნებები გარიურაუდა,  
მინამ ნაწვიმარი შეიმშრალა,  
ჩემი სიმშვიდეც კი გაგიუმაუდა,  
ჩემი მოსვენებაც შეიძალა.  
ახლა ხელს გამიშვებ? საით წავალ,  
ასე ამინდივით არეული,  
გული სიყვარულით დაინამლა  
შენი ლიმილი მაქვს დალეული.  
მთვარე ვარსკვლავებში იბადრება  
ანდა ცრემლში რა აქვს სატიალო,  
ყოველ ოთხ კვირაში იბადება  
რომ ეს დედამინა ატრიალოს.  
თითქოს რა ნაზია ენძელები,  
ციცქნა ყვავილებმა ყინვებს სძლია,  
უკვე დასაკარგად მეძნელები,  
სცადე, სიყვარული შეგიძლია.

მე კი ვიბნევი მაგ თ-უსა და სინათლის გამო,  
ვიცი, სიტყვებში სიფრთხილეა, რკინა ბრალდების...  
მინას ეცემა ჩემი ცრემლი-ჩამოდის, ჩქარობს,  
გულო ჩაუქრობ კოცონივით აბრიალდები.  
ჩემი ალვის ხე ოქროსფერი ხარობს და ხარობს,  
თუმცა სულ ახლოს ხმაურობენ ტყეში წალდები...  
დიდი გული კი სულ უმცირესს სიხარულს კმარობს,  
ამ სიხარულში ბევრი ცოდვის ვარ თანამდები,  
გულში სულ მცირე ნიავიც კი ბობოქრობს, ქარობს,  
თმებში კი უკვე ამინდით თოვლის დამდები.  
სურვილის ქვები უკან მიმაქვს... ვტოვებ ცრემლების  
თვალუწდენელ ზღვას და ათასჯერ მოვტრიალდები.  
გული დაადგა სიჩუმის გზას, გზას უმეცრების  
და ჩემ ალვაზეც ხმაურობენ ლმერთის წალდები...

\* \* \*

გულში სულ იყო მძიმე ზამთარი,  
მერე ნათელი გამოერია...

შენა ხარ ჩემი მზის კელაპტარი,  
შენა ხარ ჩემი სიზმრის ფერია.  
მე შენს სინათლეს მინდა ვუყურო:  
დიდთვალებას და ეგრე დიდთმიანს,  
შენით იშლება ვარდის კუკურო—  
სანამ სოფელი არ დამითმია,  
როცა დილაზე გაკოცებ ნია,  
თითქოს გაცვია ვარდის ეფოდი.  
მაშუქებს შენი თვალების ია,  
მე ვწუხდი, რომ არ მესიზმრებოდი...

## შელი კაფლები

შენი ხელები ეძებენ სახეს  
და ეხებიან კედლებს ცარიელს,  
კედლებზე ხედავ სიბნელის ნახევს-  
შენი სიზმრების ცის დასალიერს.  
კართან ბავშვების ხმები შეგათრობს,  
შენ ჯავრობ, კარი რომ არ იღება.  
დიდ გულში მათი სინათლე გათბობს,  
გინდა შეხედო მათ გალიმებას.  
როგორ სრულდება შენთვის ეს ღამე,  
ეს მოდივილი და მიდივილი,  
გინდა, ჭიქაში ლვინოს გისხამდნენ,  
ისევ მოგესმას მამლის ყივილი.  
უცებ მეზობლებს ამოაქვთ კუბო  
და შენი კარი უხმოდ იღება,  
თითქოს სხვის, უცხო სახლში შედიხარ.  
გიკვირს უშენოდ კედლებს ღებავენ,  
უყურებ შეილებს ვერავინ გხედავს  
და გიკვირს არვინ არ შემოგხარის,  
თან ეჭვის თვალით გახედავ დედას,  
აი, მისკენაც გადაიხარე.  
მისი თავსაფრის ფერს შეერიე,  
ისევ მიდიხარ ხელში შვეულით.  
მაღაზიებში უქმად დადიხარ  
და ნათელ ფერებს ვედარ შოულობ.  
ებოდიშები სახლის პატრონებს,  
დღესაც ფერები რომ ვერ იშოვე...  
განუხებს მათი ბნელი კედლები,  
გინდა დაფარო მათი სიშავე.

## სონეტი დიდებაზე

გარეთ ქარებსა აქვთ გულის ფანცქალი,  
მზე რომ უკვდება მიმქრალ მდელოებს,  
ხმა უკუნიდან ბოლოქანქალის  
ველზე ოქროებს გააბრელოებს.  
დაცვივა შიშის მტვერ-ბუზანკალი  
ამ მზესუმზირებს, უსახელოებს.  
რა ახლოს ელავს შავი ნამგალი,  
ვაი, მუნჯებსა და უმეტყველოებს.  
ვარდებთან ახლოს გვიყურყუტია,  
ნიავმა გრიგალს აქ გზა უტია,  
დიდება დიდებს, გამონაკლისებს...  
ბნელი ღრუბელი, ჩიტის ჟღურტული,  
ბავშვი სინათლით თავჩაღურთული  
ვიცი, ხანდახან მოგვისაკლისებს.

## ამბორი სიმნელეში

გეძებდიყველგან, მტრედის ფრთებში, გაშლილ ვარდებში,  
ვათვალიერე ვარსკვლავები, ვშალე ქალალდი.  
თვალი მოგვარი სხვის თვალებში, ძველ ბარათებში,  
ვერ მოგიხელთე და მტრედივით ცაში ამაღლდი.  
აღარ სრულდება შენი ბნელში დამალობანა  
და მაღლა ცაში ვარსკვლავებად იქცნენ მდევრები,  
მე უკვე დედამ სისხლიანი სახე მომბანა,  
მამამ ავასო შემოდგომით დიდი ქვევრები.  
ბნელის კიდეზე კიაფობენ ციცინათლები,  
დღეების კიდეს აწყდებიან ჭრელი პეპლები  
იბერებიან კვირტები და ყვავილს მატლები  
ელოდებიან ვით დედოფალს მისი მხლებლები.  
უცნაურია, ვიცი, აქ ხარ, მე ვაკაკუნებ,  
ყოველ კარს იქით შენ დგახარ და ქარში ყანა ხარ,  
ხელმოცარულთა მეფის გვირგვინს რისთვის მარგუნებ,  
შენმა თვალებმა ცის სინათლე რად დამანახა?  
იქნებ შენ სახელს ამოთქვავენ მომაკვდავები?  
შენი ელჩები-ბრმა ჩვილები ამბობენ : „აღუს“...  
მე სურვილების უამრავი ჯაჭვით დავები  
და დაბნეული, ლამპარჩამერალს ვემსგავსე მსახურს.  
ისევ მომელის ჩემი მთები, ჩემი თაბორი,  
მინდა მწვერვალზე ამიყვანონ ჩემმა ფეხებმა.  
მოულოდნელი სიბნელეში ბავშვის ამბორი-  
ასეთი არის უცნაური შენი შეხება.

## გადატეხილი კენწერო

აქ მზე ამოდის და ჩადის ფულზე,  
დოლარისფერი ჩანს სააქაო,  
დომინოსავით დაწვები გულზე,  
საგულდაგულოდ გათლილო ქვაო.  
აღარ ანათებს აქ წითლად ბლები,  
ხეზე არ სხედან ჭრელი ჩიტები,  
აქ მხოლოდ ისმის ტირილი ბრმების  
და სიგრილეა ჭვარტლის, ბინდების.  
ცის შავმა წერომ — მზემ ბედისწერის,  
გულს ჩაგალურსმა სხივთა ფინალი,  
გადატეხილი დარჩა კენწერო,  
ხეზე აღარ ჩანს წლების კინწალი..  
ალათ ხანდახან თუ ახელ თვალებს  
და გულისფერი გახსოვს ვარსკვლავი,  
სერზე შედგება კაცი და მთვარე,  
წელამდე თოვლი არის საკვლევი.  
საით ნახვედი მითხარი, მამა,  
გზა არსაითკენ, რეკავს საათი,  
ღმერთმა ტკივილი თუ დაგიამა,  
თუ გესმის სოფლის ცრუ მასლათი..

## დამშვიდობება

ვემშვიდობები თოვლის ფანტელებს,  
ბაბუანვერას, ბავშვობის ლანდებს,  
ბნელში დაკარგულ ციცინათელებს,  
შენს სინათლეში გადაშლილ ვარდებს,  
მთვარეს, რომელიც არ ჩანდა ბოლოს,  
მზეს, სხივი აქაც რომ მომაწვდინა,  
ბავშვის თითებში შემომდნარ ლოლოს,  
ჩიტებს და ხებს, დღეებს მაცდინარს,  
დიდ კანდელებზე ანთებულ ლოცვებს,  
გულში დარჩენილ ხეს უკენწეროს,

ხანძრებს, რომელთაც ტყეები მოწვეს, უკუნს, ზამთრის წინ გაფრენილ წეროს, ვემშვიდობები ცას მარად ახალს, ვარსკვლავებს, ხილულთ და უხილავებს, ქალაქის ნავებს, ზღვის მაღალ ტალღას, ჩემს მოყვარულებს და ჩემს მკილავებს, შეყვარებულთა მზერას და კოცნებს, მკვდართან გარდებით სავსე კალათებს, ხელებს, რომელთაც კალათი მოწნეს, მაღალ მთებს, სოფლებს, დაბებს, ქალაქებს, ვემშვიდობები გუგულის ღარღილს, ბავშვებს, დარჩენილ უბედისმნერლოდ და მათ, რომელთა ჩამოთვლაც არ ღირს, ვინც ჩუმად უნდა გამოიცელოს.

## სიახლოეს

ვარ მოციმციმე ცრემლი ღამეში, როცა მომიხმობს უფლის შენობა, დიდი ცრემლების სიკამპაბეში გულს მანევრს ვარდის გაუშლელობა. მსურდა დათრობა და გაბრუშება, მსურდა, წყვდიადის გზები მეთელა, დედა ამაღდ მეგუნგრუშება, ბავშვი ვარ დიდი და გულფეთელა... როცა წყნარდება ქარის სისინი, ღმერთი მეუჯუტკრე სულ ახლოშია; ანგელოზებად ჩანან ისინი, ტოტიდან ტოტზე დახტის შოშია. შემოგა ჩემში ჭრიჭინობელის უცხო დუმილის ყრუ ხმაურობა და ახლო არის დაუჭკნობელი ვარდების მხარის უცნაურობა.

## ჟინთლის მიზიდულობა

ვარსკვლავიანი ცა შორია, ცა არის ღია, ახლოს მფეთქავი გულის კუნთია.



## ლევან ალავარდაშვილი

### დეზარტილი

ც. ი - ს.

მე მახსენდება დიაფნების დენა ფოთლიდან, თვალთა ბეჭდები - ანტევრეტას უსამთო დაღი,

თუ მამის გულში სიბნელეა, შემოდის ნია, მამას სინათლე გულში უნთია. თუ ბრონეულის ყვავილობა ჩაივლის ჩუმად, როგორ მწყინს ჩემი გავერანება. ხალხი ყვავილით დაგვტრიალებს და შეგვჭამს უმად, ხალხს არაფერი არ ენანება... ჩაგჭიდებ ხელს და გაუყვებით უცხო ხეივანს და ვემალებით ვიღაც გუდიანს, თვალებში ცრემლით გვერდს ჩავუვლით ბავშვს, ქალს-ხეიბარს, ქალს მზისოდენა ჭილის ქუდი აქვს... ჩემ სიმარტოვით დავინახავ სხვა სიმარტოვეს, თითქოს ხე ვარ და ტოტებს მათლიან. ტკივილში ღმერთი იზრდება და სახლს იფართოვებს და ახლა გულში ზღვა სინათლეა...

\* \* \*

თითქოს სამოთხიდან გამდევნე ახლოს ხარ, მაინც ვერ გხედავ, თითქოს ცოდვების ბინდს დაეფაროს თვალები, ჩემი თვალები, რისთვის გადაება ჩემი სული შენს სულს? როცა წითელ სამოსელში დაგინახე.. მეგონა ჩემმა გასისხლიანებულმა სულმა დამტოვა, დაუძლურებული და ჯვარზე მოშვებული, მიდიხარ.. მიდიხარ, შენი თეთრი ნათება მეფეთება, თითქოს მკვდარი ვარ, ყოფნის კუბოში მოწრიალე და ვერ მოსეენებული... შენ, ჩემო დაკარგულო მზეო, დაგეძებს სიბნელეში ჩაძირული ჩემი ვებერთელა გული, ეს უბნელესი სარკე მხოლოდ შენს მოლოდინს ირეკლავს, შენ გამაცოცხლე, შენ მომეცი სიხარული.. მე ვარ ჯუჯა მზე, მტირალა მზე, შენი უწმინდესი სინათლით ავსილი, შენი ურბილესი სინათლით ავსილი.

კენოტაფივით ამოცლილი ბროლის ბოთლი და თვალდაურულად დაცემული. მცინარი ჭალი, იყო სერალი აყრილ მწყემსთა ნაბინავარი, დეზაბილი, ხარა-დიბა გურჯისტანული, მე, შემოჭრილი, როგორც ხელი, ვით ჯანავარი, მაგრამ ოდითვე გულთალხი და გულისთანული. თქვენ შეიგონეთ, თავდაკარგვით რადაც გავცხარდი, მოითანიეთ, ის რაც სხვისთვის მეტად ძნელია.... ჰო, ქალბატონო, გწამდეთ, არ ვარ შეურაცხადი, თუ ჩემი აწყმო წარსულივით აუხსნელია. გულით ბოძალი ამომრიდეთ საბრად ნალესი, სულით ცოდვები ამომკრიფეთ ისრიმ მტევნებად... და შემომკიდეთ ჟინი ისე უმხურვალესი, რომ ექმაროდათ აისპერებს გაშადრევნებად. ჩამომესმოდა ზმები ჩემივ, მანგის ციალში, ხან ჯოჯოხეთად, ხან ციური დასების ჰანგად,

მე-მოსეს კვერთხით გადათესილს პოეზიაში,  
დელირიუმიც გირლადებზე მიჩანდა ცხადად....  
და მე გაგანდეთ, დღენი სისხლით როგორ ძლებიან,  
ჭანგალესილი და ველური მცხეთა ხროვები,  
რომ მე დღეები არასოდეს მიღამდებიან,  
ამ დღეებს თვითონ ვუღამდები და ვეთხოვები.... .  
და თქვენ გამიგეთ, იმ მწუხრისას რადაც გავცხარდი,  
იგულისკარეთ,  
ის, რაც სხვისთვის მეტად ძნელია... და დღესაც გჯერათ,  
რომ მე არ ვარ შეურაცხადი,  
და ჩემი აწმყოც წარსულივით აუხსნელია.

## ქალორქონო ტანიტ

(ტიციან ტაბიძის ქალიშვილს  
ტანიტ (ნიტა) ტაბიძეს)

ვერც ტყვიებით, ვერც დაშნით თუ დანით  
ვერ გათოშეს ლექსად მჩქეფი მაჯა,  
ის ვერ მოკლეს, ქალბატონო ტანიტ,  
ტიციანი ტიციანად დარჩა.  
ნუ გაშინებთ, თუ დარაბებს გაღმა,  
დაძრნის ღამე შავჩოხიან ტანით,  
მამათქვენი დაბრუნდება ამღამ,  
დაბრუნდება, ქალბატონო ტანიტ.  
მოვარდება ლექსი ზენა ქარით,  
და მოგვიტანს მიხაკიან წარსულს...  
ხელს გიკოცნით ქალბატონო ტანიტ  
„ცისფერყანწელ“ თმაჭალარა ასულს..  
და ნუ გაკრთობთ, თუ დარაბებს გაღმა  
ბორგავს ღამე შავჩოხიან ტანით,  
მამათქვენი დაბრუნდება ამღამ,  
მიეგებეთ, ქალბატონო ტანიტ.

## ალთარება

(ვლადიმერ ალავერდაშვილს)

არც გაძახილი ნორჩი მეგუთნის,  
არც ლამაზმანთა შენებ ფერება,  
შვილო, მე უკვე აღარ მეკუთვნის  
და თითქოს აღარც შემეფერება..  
დატენილი მაქვს სიკვდილით ფილთა  
ტორებდაკბენილ გავყურებ ლომებს..  
ვერ გადავიტან საკუთარ შვილთან  
თუნდაც მოგებულ ბრძოლებს და ომებს

## ლევან მეფე

(მინანერი ვასილ ბარნოვის  
მოთხოვობაზე „მიმქრალი  
შარავანდედი“)

ნუ ენდობი მეფევ ოქროს,  
თუ არ სხვისა, არც შენია,

მზე, თინათინ სადედოფლოს,  
ნოშრევანთან დარჩენია.

ხმალს ლესავენ მლესავები,  
სადღაც სისხლის მტევნებია...  
თვალი ალთა მკვესავები,  
სხვისთვის გაგიდევნებია.

ლევან, დარდი დაფალ ლეთას,  
სულიმც მოგისვენებია,  
ლევის მთით რო წყარო წვეთავს  
ლეილ ყიზის ცრემლებია...  
და არ ენდო მეფევ ოქროს,  
თუ არ სხვისა, არც შენია,  
გული კახთა სადედოფლოს  
გურიაში დარჩენია.

## სიგიურე დავესეხები

ეს ლექსი ადრეა დანერილი. როგორც  
ბევრ ჩემს სხვა ლექსს, არც ამ ლექსს არ  
ჰყოლია ადრესატი, ახლა კი ვჩუქნი  
კატინებს!

ვიცი არ მომკლავს ამღამ ყაჩალი,  
არც ვეფხვის ტორით ველი იარას,  
არ მიდევს გვერდით ბასრი ნაჯახი  
და არც მუხრანთან ვსინჯავ იარალს.  
მინდა მოვგლიჯო ქვევრებს სარქველი  
ბახუსის ღადარს ვეძმო იქნება,  
თორემ დამახრიხობს შენთვის სათქმელი  
მზეჩაკონილი სიტყვის მიგნება.  
მინდა ლექსებიც სისხლში დავცვარო  
და შენს ბადები მონად გავება,  
მაგრამ რა მიქენ შე გულდამწვარო:  
„ალი ხარ, ქალი“ თუ უკვდავება.  
თუნდაც ვემთხვევი ავთვალა კერპებს,  
ოღონდაც შენი ბანგი მაღირსა,  
რომ მხეთქდეს სისხლი, ვით ქალწულ კერტებს  
პირველ ამბორზე კუროს ბაგისა.

ყოველი წამი სიგიურეს მატანს,  
თუ შენეული შეეხო ხელი...

და მერე როგორც აღდგომის ბატკანს  
გამოჭრილი აქ სიმშვიდეს ყელი.  
შენ ხომ არ იცი გულს რადაც ვრიყავ,  
ლევნის მეფობის რად მარბევს შიში,  
მე შენს ნახვამდეც შეშლილი ვიყავ,  
ეხლა გნახე და ვარ ორჯერ გიჟი...  
და თუ მაგ გულმა არ დამატიოს,  
დამისევადდნენ თოთო ლექსები,  
გამოვსხი სარკმელს და გაღაკტიონს  
ერთ გაგიჟებას დავესესხები;  
რადგან არ მომკლავს ამღამ ყაჩალი,  
არც ვეფხვის ჭანგით ველი იარას,  
არ მიდევს გვერდით ბასრი ნაჯახი  
და არც მუხრანთან ვსინჯავ იარალს.




## ცისანა თვალიაშვილი სიყვარული

მოვა, უცებ წაგლეკავს და  
არას დაგეკითხება,  
თუკი ფრთხებიც გამოგასხა  
აგაფრინოს იქნება.  
ზეცის თავანს მიგაახლებს  
ცისარტყელას ფერები,  
გულგახსნილი ყველაფერს და  
ყველას მოეფერები.  
მერე თუნდაც ისევ მიწას  
დაუბრუნდეს ოცნება,  
ქვეყანაზე არაფერი  
აღარ გაგეოცება.  
რადგან უკვე შეიცანი  
სულის მარადისობა,  
ვარდის მშვენიერება ხომ  
კოკორშივე იცნობა.

\* \* \*

როდესაც გიყვარს, მაშინ სულ სხვა ხარ  
და სულ სხვაგვარად აღიქვამ ყველას,  
გრძნობ, რომ შენც უფლის ამოსუნთქვა ხარ  
და მომავალიც იმედებს კერავს.



## ზურ გონაშვილი

\* \* \*

მიყვარხარ ჩემო სამშობლო მხარევ,  
მაღალო მთებო, ვრცელო ველებო,

## თქვენი სულერი წიფან გვლოწვენ

### 9 აპრილს გარდაცვლილთა ხსოვნას

დღეს ჩიტუნებიც შეწყვეტენ უივ-უივს  
და ცაში მზეც კი გაირინდება,  
რომ არ დაჩრდილოს სამშობლოსათვის  
თავშენირულთა ხსოვნის დიდება.  
„ენა, მამული, სარნმუნობა“ –  
სულ ფარად ედგა საქართველოსა,  
ვერ აისრულ მტერმა წადილი,  
ვერ დაგვიპყრო და ვერ დაგვაჩოქა.  
რადგან ყოველთვის როცა გვიჭირდა,  
მთელ ერს ემოსა შავლეგოს ჩოხა.  
ვერ აისრულა მტერმა წადილი,  
ვერ დაგვიპყრო და ვერ დაგვაჩოქა.  
ღმერთი გვფარავდა, რადგან ნამდვილი  
ტანზე გვემოსა შავლეგოს ჩოხა.  
„აკმარე, ღმერთო და შეინყალე  
მშვიდობისათვის ერი მოცალე“ –  
დღეს ათასობით წმინდანთან ერთად  
თქვენი სულები ციდან გვლოცავენ.

## პანაწინა პნევარი

შენი სიზმრის არშემდგარი  
ლექსის პანაწინა პნევარი  
ჩემი ერთი მომცრო ლექსის  
ფრთხებად იქცა თითქოს მერცხლის.  
შემოფრინდა ჩემს გულში და  
წუხილს როდი შეუშინდა,  
ამოშანთვა სცადა აზრის,  
რაიც რომ სულს ჯოჯოდ აზის.  
თუმც ბოლომდე ეს ვერ შეძლო,  
შეჭირვებულ მზერას ეძმო,  
დაეფინა ფიანდაზად,  
მოეფერა ისე ნაზად,  
გააცინა, გაალალა,  
თვით უდაბნოც იქცა ბალად.  
მოშორდა გულს მძიმე ლოდი  
მაშინ, როცა არ ველოდი.

თქვენს სადიდებელს გულში ვლილინებ,  
ხან ჩინგურზედაც დავამღერებო.  
მიყვარხარ ძველო ციხე-კოშკებო,  
ნაომარებო, ნაგრიგალებო,  
ყოველ მთის თხემზე ეკლესიებო,  
ჩემთა წინაპართ სალოცავებო.  
მიყვარხარ, ჩემო ხალხო, კეთილო,  
მრავალ ჭირის და ლხინის მნახველო,  
გაუტეხავო, დაუდეგარო,  
სტუმართმოყვარევ და უძრახველო.

\* \* \*

ამაოდ ჰყივი მამალო,  
აღარ თენდება ტიალი,  
სადა ხარ გულის წამალო,  
გულო შეწყვიტე ფრიალი.  
პაუ – რამხელა ღამეა,  
ჯავრით ვტრიალებ ლოგინში,

აღარც საშველი რამეა,  
ვარსებობ დღის მოლოდინში,  
ღმერთო, ისევ შენ მოგმართე,  
ამაოდ დაშვრა მამალი,  
ნათელი დილა მომმადლე,  
ის ჩემი გულის წამალი;  
თორემ ამ შავ-ბნელ დამესა  
მე რაღა ფარი უფარო,  
ისევ შენ შეგთხოვ შველასა,  
შენ გამითენ უფალო.

### მუზიკ მოლოდინში

ვზივარ ნაკადულის პირას  
ფანქარით და რვეულით,  
ველი, ველი, მუზას ველი,  
ის არ მოდის წყეული.  
შევაჯერებ, შევაჩვენებ,  
შევლანძლავ და შევრისხავ,  
თუ მოვიდა გავიხარებ,  
მერცხალის ფრთებს შევისხავ,  
ავფრინდები, ავმალლდები,  
მეშვიდე ცას ავცდები,  
შენ, რვეულო, გაივსები,  
ფანქარო, შენ გაცვდები;  
შენ სიკვდილო გამექცევი,  
სიცოცხლევ შენ დამრჩები,

მუზავ, ჩემო სანატრელო,  
გელი, შენ გზას გავცეკერი.

### ვაჟა

ისევ ის გველი ვაჟაო,  
იმ იას აშლის შხამსაო,  
კვლავ სჩაგრავს დიდი პატარას,  
არ ერიდება შარსაო.  
ამდენმა შხამმა და გესლმა  
ვაი თუ ავნოს რამეო,  
მეც ვიტანჯები შენსავით  
არ მძინავს დღე და ღამეო,  
ღმერთს ვევედრები შველასა,  
„უშველე, შეიწყალეო.“

### ილიაზ, ჩემს შვილიშვილს

ნინ გამარჯვებით იარე,  
მამა-პაპათა რჯულზედა,  
სულ იბრწყინე და ილადე,  
მტერი გახეთქე გულზედა.  
ნუ გასცვლი კაცურ კაცობას  
ოქრო-ვერცხლზე და ფულზედა,  
ნინასნარ გიხდი მადლობას  
სამშობლოს სიყვარულზედა.



### თიბათინ მრალაბვილი მამულს ძვირად ულიოს

ღლის ქვეყანას, უბირველეს,  
ძმათა შულლი, თუ, ღლის,  
გზას აფერხებს, მომავლისას –  
ძმათა შორის შულლი;  
ციხე, შიგნიდან რომ ტყდება  
მამულს ძვირად ულიოს,  
რაც ალალებს და ფრთებს ასხამს,  
მტრების ზრახვებს, – ულიოსა...

### სიზმარი

ნუხელ ვნახე სიზმარი, –  
სანატრელი სიზმარი,

ყვავილები მაჩუქე,  
მიყვარხარო, – მითხარი...  
გარს ვუვლიდით ველ-მინდორს  
ყვავილთ ძოხეულებით, –  
ნითლად შემოგვცინოდნენ  
მწიფე ბრონეულებიც...  
გამელვიძა, ვინატრე:  
არ იყოსო სიზმარი,  
მიყვარხარო, – ძვირფასო,  
ერთხელ, – ცხადშიც მითხარი...

### ფიფქმა დაოვა


და... მოლოდინში მიპქრიან წლები,  
თმაში, კი, თეთრმა ფიფქმა დამთოვა,  
ძილში, თუ, შენი ალერსით ვტკბები,  
გავიღვიძებ და ... ისევ მარტო ვარ!..

### სიყვარულს მაშინ აქვს ფახი...

ვნება... ქარტეხილს ნამსგავსი,  
მუდამ სცილდება კალაპოტს,  
სიყვარულს მაშინ აქვს ფასი,  
სატრფო თუ არა გლალატობს...

### და... ერთმანეთს ვხვდებით...

წეროსავით უკვე გაფრენილა წლები...  
ახლა მეტად მჯერა, ახლა მეტად ვხვდები,  
ნეტარ დღეებს დღემდე ვერ მოვტაცეთ ფრთები,  
და ერთმანეთს ვხვდებით შევერცხლილი თმებით...



## აუგარ უთრუთაშვილი

\* \* \*

ნეტავი, ღმერთო, უფალო,  
იგეთი რა დაგიშავე,  
ტიალი წუთისოფელი  
დარდით რო გადამიშავე,  
ისეთი რაღა ცოდვა მაქვს,  
ემუზაც რო მომისია,  
განა სადარდო ცოტა მაქვს,  
ლექსითაც გულს რო მისიებ?!

\* \* \*

იქნებ წვეთი მეც მომეცხო  
შოთას პირის ნაბანი,  
იქნებ ტატომ შემასწავლა  
პოეზიის ანბანი.  
იქნებ ღმერთმა მომისაჯა  
მუზის დევნა დღე და ღამ.  
შეისმინა ჩემი აჯა –  
გული ლექსით მედაღა.

\* \* \*

არა ვთხოულობ, რაც არ მერგება,  
არც ვარ მსურველი ლუჟემა არამის,  
ნეტავი ჩემი ჯიშის ნერგებმა  
არ შეუჭამონ სარჩო არავის.  
დავდივარ იმ გზით, უვლიათ რაზეც  
ჩემს მამა-პაპათ სინდისიანებს,  
რაც რომ ვბერდები, მოვდივარ ჭკვაზე,  
ძარღვში რომ მათი სისხლი ხმიანებს.  
და რაც კარგი მაქვს, მათი ღვანლია,  
მათი ზნე გულში ჩაკირულია,  
ქართულ ჯიშს და გენს ვერ გამაცლიან,  
სატანის ზრახვა განწირულია.  
ლუჟემაც მაქვს მუდამ უსაყვედურო,  
ოქროც არ მინდა დამადლებული,  
უფალს რა უნდა ვუსაყვედურო,  
ქართველად ხომ ვარ დაბადებული!

## ჩემს ქალიშვილს – წიალის (წილი)

სიყრმისშვილს ლექსი ვერ დაგინერე,  
მამამ გრძნობები ვერ გაგირითმე,

დედა ხარ უკვე და დამიჯერებ,  
საამაყოა, ვინც ტანჯვებას ითმენს.  
ნამებისათვის ვართ გაჩენილი,  
ტკივილს გვიამებს საქმენი სათნო,  
ქვეყნად იგია გამოჩენილი,  
უფლის ნათელ გზას რომელიც არ თმობს.  
დედაკაცი ხარ ასაკით, ქცევით,  
მწამს იმეტყველებ საქმით და ხელით,  
კეთილნი ღმერთან მიდიან ზევით,  
ეშმაკს ეკვრება უფლის მკრეხელი.  
ქრისტეს მირონი ვისაც კი ერგო,  
გოლგოთის ჯვარი მან უნდა ზიდოს,  
ღმერთმა გაჩუქა ანა და სერგო,  
მათი სიკარგით უნდა იდიდო.  
მძიმეა ქალის ტვირთი, უღელი,  
ყველას არ ძალუძს ამ ტვირთის ზიდვა,  
ბედნიერია და დაუღლელი,  
არ გადაუხვევს ვინც უფლის გზიდან.

\* \* \*

ვერცარა ლექსმა მიშველა,  
ვერცარა მუზის დევნამა,  
ვერცრა დიაცმა შიშველმა,  
ვერც მისმა კოცნა-ხვევნამა.  
ნავიდა, გადაიარა  
ჩემმა ბიჭობის ხანამა,  
გულს დამიტოვა იარა  
სანუთროს ბასრმა დანამა.  
ყურს ალარ მიგდებს ბებერ ხარს,  
არც დიდი, ალარც პატარა,  
ვისოცისაც დავშვერ ამდენ ხანს,  
ალარ უუნდივარ მათ არა,  
ვაი, რა მწარე ყოფილა  
უმადურობის მათარა!

## ნანა სამანაძეს

ღმერთო მაღალო, მუზავ და ხატო,  
მომეცი საწყალს მადლი, წყალობა,  
რომ იქნებ შევძლო და გამოვხატო  
ნანის ქართული კაი ქალობა.  
ბერს შევხედრივარ ზნეკეთილ ქალებს,  
ვინც რომ აფრქვევენ ლიმილს და სითბოს,  
ო, მლიქვნელობას ნუ დამაბრალებ,  
თუ პირველობას შენ, უცნობს, გითმობ.  
მე ვინ ვარ შენთვის, ანდა საერთოდ,  
ორიოდ ლექსის შემქმნელ-მჯდაბნელი  
ამ ხოტბა-ქებით როგორ გავერთო,  
რომ არა მშეალობს ბედი შავბნელი,  
მეც მანერინებს ლექსებს უფალი,  
ჩემს ჭიას წერით ვართობ, ვახარებ,  
ლექსში ვარ კაცი თავისუფალი,  
თუმც ამ ლექსებზე ბევრი ხარხარებს.  
წერისთვის ხშირად არა მცალია,  
რითმების დევნაც ალარა მსურდა,  
ნანა, მუზის და შენი ბრალია,  
ლექსისკენ გული რომ მომიბრუნდა.



## ლელა აოდალაშვილი

**ყირამალა მე  
ზღაპარი დიდებისთვის**

(დაწერილია პეტ მარათონზე, წინანდალში)

რიტუალი სრულიად შემთხვევით სავსე მთვარეს დაემთხვა!

მან ჯერ ძალი დააბა, რომ სტუმრები არ დაეგლიჯა. მერე დიდ ოთახში შებრუნდა, საძინებლის კარი გამოხურა, რათა ოჯახის წევრებს არ გალეიძობოდათ და მრგვალ მაგიდაზე სანთელი აანთო. ჯერ ერთი სტუმარი მოვიდა, ორიც მალე მოჰყვა. ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. ერთდღოულად დასხდნენ სკამებზე. გაშლილი ხელები მაგიდაზე დაალაგეს. „ჯი-იო დჰჰარმ, ჯი-იო-ჰერკრ!“ — თქვა მან და დანარჩენებმაც გაიმეორეს: „ჯი-იო დჰჰარმ, ჯი-იო-ჰერკრ! ჯი-იო დჰჰარმ, ჯი-იო-ჰერკრ! ჯი-იო დჰჰარმ, ჯი-იო-ჰერკრ!..“ ბოლო სიტყვა შუაზე გაუწყდა. სანთელი გადაყირავდა და ჩაქრა. ოთახში ჩამონებულდა.

გამოეღიძა. რატომძაც თეთრ იატაკზე ეგდო. სტუმრები წასულიყვნენ, აივნის კარი გაღებულიყო და ძალის ყეფა მკაფიოდ ისმოდა. წამოდგა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ფეხი აბაურის წამოკრა. აბაური განათდა და ქათქათა იატაკი გამოჩნდა. გაკვირვებულმა ზემოთ აიხედა. ჭერიდან ჩამოზრდილიყო მრგვალი მაგიდა, ოთხი სკამი, პატარა ტახტი, ორი სავარძელი და კარადა. წინაპრების ფოტოები და შიშკინის სურათის ფოტორეპროდუქცია კედელზე უკუღმა ეკიდა. „სიზმარში ვარ!“ — გაიფიქრა. ცოტა ხნით თვალები დახუჭა და ისევ გახახილა — ყველაფერი უცვლელი იყო. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. კუთხესთან რომ მივიდა, კედელ-კედელ სცადა იატაკისკენ ანაბიჯება, ფეხი დაუცურდა. მერე მთელ ოთახში დაიწყო ბორიალი. დროგამოშვებით აბაური ებლანდებოდა ფეხებში და უცებ იგრძნო, რომ ჭერს და იატაკს კი არ შეეცვალათ ადგილები — თვითონ მას! მას! მას! ყველაფერი თავის ადგილას იყო. ეს თვითონ! ეს თვითონ დადიოდა ჭერზე ფეხებით — თავით იატაკისკენ. საძინებლის კარი გამოაღო. არავინ იყო. ყველა სადღაც გამქრალიყო. აივანზე გასვლის შეეშინდა, ღრუბლებში რომ არ ატყორცნილიყო, სწრაფად დაბრუნ-

და ოთახში. უამრავი ხალხი დახვდა. ვიღაცები რაღაცას ულოცავდნენ. მან იცოდა, რომ რაღაც უნდა მიელოცათ, მაგრამ რა? ხალხის იქ ყოფნას არ შეუწუხებია. აბაურის გვერდით მოიკუნტა, რომ არ შესცივებოდა და ჩაიძინა.

სიზმარში თითქოს ყველაფერი დალაგდა: სამსახური-დან დაღლილი დაბრუნდა. ოჯახის წევრებს სადილი მოუმზადა, მერე ტელეფონს მიუჯდა და წუხანდელი სტუმრები მოიკითხა. ტელევიზორის ყურებისას გამოეღიძა: პირველ რიგში, სახლმა გააოცა, ეს იყო ნაცრისფრად შეღებილი ორი დიდი ოთახი. იატაკზე, სადაც დააბიჯებდა, ერთის მაგივრად რამოდენიმე ჭალი ეკიდა. თავს ზემოთ კი ავეჯი და ნივთები ტივტივებდნენ. მალე შენიშნა, რომ შენობაც ტივტივებდა, ირხეოდა და მასაც არხევდა. „გემზე ხომ არა ვარ?“ — გაიფიქრა და როგორდაც ფანჯარამდე ჩააწვდინა თავი — არა, აშერად ცა მოჩანდა მის ფერხთით და არა ზღვა. ამის დანახვაზე ისევ შეეშინდა ცაში აფრენის და სასწრაფოდ მოსცილდა ფანჯარას. ძალმა მოუკაკუნა. „ხომ გეუბნებითი, რომ უნდა დაგეცადა, ტყუილად დამაბი“ — უთხრა მან და ძუნძულით შემოვიდა ოთახში. გარედ ციონდა და მასაც ჭალის გვერდით მოუნდა მოკალათება. „ვიცი, მე ახლა ყველაფერი ვიცი.“ — უპასუხა და სწრაფად გამორდა. ძალმა ირონიული მზერა გააყოლა. მერე თვალები დაუსევდიანდა და ნემუტუნით მინვა კუთხეში. „მოხვედი?“ — გამოსძახა სამზარეულოდან ბებიამისმა. „ცოცხალია თუ მკვდარი! ცოცხალია თუ მკვდარი! შეიძლება გავგიუდე!“ შევიდა. ბებია სამზარეულოს ჭერზე გვერდულად წამონბლილიყო და ჭერიდან ჩამოსული წყლისგან დარჩენილი ლაქების მოხაზულობას თითებს აყოლებდა. „მადლობა ღმერთს, ცოცხალია, აბა, მკვდრად რომ მენახა!.. ვაიმე!..“ ვინ ალარ გაშეშებულიყო ლაქებზე — ფარაონი თავის პატარა, შეუხედავ შვილებთან ერთად გაოცებული შორს იყურებოდა. მარჯვენა ხელზე მიმინი ეჯდა, თითქოს სანადიროდ უნდა წავიდესო, უშველებელ ფრინველს პირი გაელო და დელფინის გადაყლაპვას აპირებდა. წვერიან, უშინო მოხუცს ახალგაზრდა, ძალიან ლამაზი ქალი ხელში აიყვანა, კედელთან მიემწყვდია და მისი ფეხების მხრებზე შემოწყობას ცდილობდა. ლაქები კიდევ ბევრი იყო. დათვალიერება დაეზარა და იქვე მიეძინა... სიზმარში დღე ჩვეულებრივ, თითქოს უმტკივნეულოდ დაიწყო: ცუდი ის მოხდა, რომ სამსახურში კიდევ ერთხელ დაგვიანებისათვის კიდევ ერთხელ უსაყვედურეს. ეჲ! სახლში მიბრუნებულს კი სამზარეულოში წყლის გუბე დახვდა. როგორც მერე აღმოჩნდა, მეზობელს წყლის მილი გაუსკდა. დიდხანს აშრობდა და წმენდდა იატაკს. დაქანცულს გამოეღვიძა. ეზოდან ძაბილი შემოესმა და ინსტიქტურად ეცა კარს, გადააბიჯა და ადგილზე გაშეშდა — ღრუბლებში ატყორცნას გადარჩა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. კუთხესთან რომ მივიდა, კედელ-კედელ სცადა იატაკისკენ ანაბიჯება, ფეხი დაუცურდა. მერე მთელ ოთახში დაიწყო ბორიალი. დროგამოშვებით აბაური ებლანდებოდა ფეხებში და უცებ იგრძნო, რომ ჭერს და იატაკს კი არ შეეცვალათ ადგილები — თვითონ მას! მას! მას! ყველაფერი თავის ადგილას იყო. ეს თვითონ! ეს თვითონ დადიოდა ჭერზე ფეხებით — თავით იატაკისკენ. საძინებლის კარი გამოაღო. არავინ იყო. ყველა სადღაც გამქრალიყო. აივანზე გასვლის შეეშინდა, ღრუბლებში რომ არ ატყორცნილიყო, სწრაფად დაბრუნ-

და ადგილზე გაშეშდა — ღრუბლებში ატყორცნას გადარჩა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. იგრძნო, რომ სიცარიელეში მიაბიჯებდა. სადღაც ქვემოდ ნაცრისფერი ღრუბლებში დუნედ მოძრაობდნენ

ცნობისმოყვარედ აკვირდებოდნენ, თავებს აქეთ-იქით იქნევდნენ, და ისევ გარეთ გადიოდნენ. გაუკვირდა, ეს უშველებელი გიშერი საიდან მოათრიაო დედამ. ჩაეძინა: მეზობლის კივილი შემოესმა, მას ეძახდა. დედას მანქანა დაჯახებოდა. ვერ, ვერ! ვერ!! გადაარჩინეს... საღამოს უამრავი ხალხი მოვიდა. კუბოს გარშემო უფლიდნენ და მერე მას ლოყაზე კოცნიდნენ, ძალი ეზოში, თავის პანანინა ქოხთან იწვა და წკავნეავებდა. დილით ადრე გამოეღვიძა. ქარი იყო, თან წვიმდა. ფანჯარა გაღებულიყო და წყლის წვეთები ოთახს წუნავდა. ოთახი და ნივთები დღეს უფრო შესამჩნევად ტორტმანებდა. ამდენი რყევისგან გული აერია და უამრავი არასაჭირო წივთი ამოანთხია — ძველი ურნალები, ტელეფონის აპარატი და ა.შ. ძალი აპაურთან თათებს ითბობდა.

- რა ყველაფერი, ყველაფერი სულ უფრო ცუდად არის...

- შეეჩვიე ყირამალა ცხოვრებას? — კითხვა შეუბრუნა ძალლმა.

- ეგ ყველაზე ნაკლებად მაწუხებს — თავიდან მიჭირდა, მთელი სისხლი თვალებში მაწვებოდა. ახლა კი სხვანაირად ვერც კი ნარმომიდგენია. მაგაზე არ გეუბნები. ასე მგონია, სიზმარში მომხდარი ამბები ცხადში რეალურად სრულდება და ეს მაშინ, როცა სიზმარი რეალობას ჰქოვს, ცხადი კი — სიზმარს...

- ეგ შენ ფიქრობ მასე, ეგ შენი ოცნებაა, მაგრამ ხომ ხედავ, მანდაც ვერ იპოვე გამოსავალი...

- ამერია ყველაფერი. სად იწყება სიზმარი და სად ცხადი, ვერ გამიგია.

- ვერც გაიგებ ჯერ. ეგ გაურკვევლობა კი ყოველთვის იყო. უბრალოდ, შენ დააჩქარე მოვლენები ხელოვნურად. ამიტომ ნუ იქექები, ნუ ცდილობ შეცნობას, ნუ აჩქარებ პროცესებს. ისინი თავისთავად განხორციელდებიან. შენ კი შენი საქმეები აკეთე.

- სიზმარი და რეალობა...

- სიზმარი და რეალობა ერთი და იგივეა, ორივე შენ ხარ. უბრალოდ, აგერია დრო, აგერია ცნობიერი და არაცნობიერი. მაგრამ ყველაფერი შენ ხარ! გაიგე!

- შენ ჩემი ერთადერთი მეგობარი ყოფილხარ!

- მეგობარი არა, მამა ვარ.

- მამაჩემი?

- უბრალოდ მამა, რა მნიშვნელობა აქვს შენი თუ სხვისი.

- როგორ...

- როგორ და ასე. შეიძლება მამა მოგიკვდეს, მაგრამ შენ ირჩევ მის ნაწილს, რომელიც შენთანვე რჩება მუდმივად და სხვადასხვა ფორმით. ძალიან ბევრის გაგებას ნუ მოინდომებ, ისედაც გამიჭირდა შენი დახმარება. ხომ ხედავ, მაინც რა დღეში ხარ?

- რა მეშველება — მეთქი?

- შენგან ახალი ადამიანი ჩნდება.

- შვილი?

- არც მაგას აქეს მნიშვნელობა. მთავარია, რომ ახალი ჩნდება ან შენივე სახით, ან შვილის სახით. ნუ წვრილმანდები...

- როგორ?..

- როგორ და ისე! ეს ყველაფერი დალაგდება. ნუ გე-შინია. ერთპაშად ნუ ითხოვ ყველა კითხვაზე პასუხს. ასე-თი საბოლოო პასუხი არ არსებობს. შენს შემთხვევაში ინსტიქტებზე მინდობა იქნებ უფრო ბრძნული იყოს, ნუ რა მოეგები ოცნებებს, რომლებიც გაბნევენ და მიმა-რთულებას გიცვლიან. ნუ აფათურებ ხელებს იქ, სადაც ჯერ კიდევ ბელა. აცალე და ინათებს. ნუ სულსწრაფობ — მეთქი! დაელოდე! — აი შენი გზა.

- და მერე?

- მერე იქნება შენი შვილი, რომელის ახლიდან გაივ-ლის შენს გზას, ოღონდ უფრო მოკლე დროში, და ასე შემდეგ...

- შენ საიდან იცი?

- უბრალოდ, გავიარე ეს. თუმცა კი, შენი შეცდომე-ბის გამო მე ვისჯები. — ძალლმა გასისხლიანებული თათები აჩვენა. — მე არაფერი მესაქმება ჭერზე. აქ შენ გამო მოეხდი, თავს ძლივს ვიკავებ, ძალიან მიმძიმს, მა-გრამ ბოლომდე უნდა გავძლო.

- რის ბოლომდე...

- ყველაფერს თავის ვადა აქვს და ყველაფერი ადრე თუ გვიან, მთავრდება, ჩვენ გარდა... მე შენი განუყოფელი ნაწილი ვარ, ჩვენ ორივე შენი შვილის განუყოფელი ნაწილები ვიქნებით. ასე, თანთადანობით ვგროვდებით ერთ ადამიანად, სანამ ეს დაგროვილი ადამიანი იმას არ მიაღწევს, რომლის შეცნობაც შენ წინდანინ მოინდომე სულსწრაფობით...

გარეთ გამოვიდა. ცდილობდა, ძალლის საუბარი გონებაში ხელახლა დაეტრიალებინა და გაეაზრებინა. მდინარეს მიადგა. ახედა. წყალში ყირამალა აღარ ჩანდა. ამ სანახაობამ თავბრუ დაახვია... მდინარის დინებამ წაიღო. ძალიან დიდხანს აბურთავა. გონს რომ მოეგო, ხელები მომუშტა, მუჭქები ნიკაპთან მიიტანა და იდაყვე-ბი მუცელზე მიიკრა. მიტყუპებული ფეხები მუხლებში მოკეცა, და ზემოთ, მკერდისენ მოხარა. ამ პოზამ დედა გაახსენა, ოღონდ იმ წიაღის წყლები ამდენი ცურვის საშუალებას არ იძლეოდა. დინება დამშვიდდა და სხ-ეულმა წყნარად გააგრძელა ცურვა-ტივტივი. წყლის ზედაპირზე მხოლოდ ზურგი მოუჩანდა. ცოტა ხანში ცხვირ-პირით ქვიშას შეასკდა. ხელ-ფეხი გაშალა და მიწამდე სრიალით აიტანა ტანი. მერე ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ხმამაღლა ატირდა. — ფეხქვებ ბალახის გამხმარი ღრმოები იგრძნო, ეხამუშა, მაგრამ თანდათან თავდაჯერებული ნაბიჯებით გააგრძელა გზა. ზემოთ აიხედა — ცა, მზე, ღრუბლები დაინახა. გაოგნებისაგან იყვირა, მაგრამ ხმა მის სხეულს არ გასცდენია. გაახსენდა, რომ სასწრაფოდ სახლში უნდა მისულიყო და დიდ ოთახში, მრგვალ მაგიდაზე ანთებული სანთელი ჩაე-ქრო. ოთახში შევიდა. ჭერს ახედა. ჭერზე ბუზე იჯდა და უსაქმურად დაცოცავდა. გააურჟოლა. ეზოში გამოვიდა. ძალლის პატარა ქოხი ცარიელი დახვდა. შეჩერდა, რაღა-ცის გახსენებას ცდილობდა. გაახსენდა, რომ წელან სან-თელი არ ჩააქრო. შევიდა და სული შეუბერა. „ნეტავ ძალ-ლისად გაქრა? უჰ! სადმე შეძრებოდა“. — გაიფიქრა და აუჩქარებლად დაინტერეს ტანსაცმლის გამოცვლა.



## მარიანა ნანობაშვილი თეორი გოგი

— ქალბატონი! ერთი წუთით, ქალბატონი!

ქალბატონი, როგორც იქნა, სახით ჩემსკენ ტრიალდება, რაღაც გაოგნებით თუ უნდობლად მიყურებს. ალბათ, ასე რომ მივმართე, იმიტომ. რა ექალბატონება აპა, ერთი სოფლელი ხანშიშესული დედაკაცია, საკმაოდ მოტეხილი ფიზიკური შრომისგან. ნინ ჟანგიან ურიკას მიაგორებს, ნაგვით სავსე პარკებით გაძეგილს. ხევში მიაქვს გადასაყრელად. დგას, ძვალმსხვილი ხელების დოინჯით, მელოდება, როდის მივუახლოვდები უცხო კაცი და ვის ვიკითხავ.

— გამარჯობათ... ვერ მიმასწავლით, თეორი გოგი სად შეიძლება ვნახო?

ხმას არ იღებს. მიყურებს. უკვე მიხვდა, ვისაც ვეძებ, მაგრამ არ ჩქარობს. მათვალიერებს. ვარაუდებს ადგენს, რისთვის შეიძლება თეორი გოგი დამტირვებოდა. ძალიან მყარი ნერვები აქვს. ას წელს მიატანს, მიუხედავად საწყალი შეხედულებისა. წყნარად მოკვდება თავის ლოგინში, შვილთაშვილებით გარშემორტყმული.

იმდენად აღარ ცხელა, მაგრამ დასიცხული ვარ მგზავრობის შემდეგ, სულ სველი, დაღლილი. ავტობუსმა საშინელ გზებზე იჯაყვაყა, ისე რომ ეს ქალი ნელ-ნელა მალიზიანებს.

— არ იცნობთ? — ვეკითხები.

— როგორ არა, — დინჯად ამოღერლა როგორც იქნა. — ჩვენი მწყემსია.

— ვიცი, — მოუთმენლად ვამბობ. — სად შეიძლება ვნახო?

— სხვა სად უნდა ნახო. საძოვრებზე ჰყავს ახლა ფარა.

ქალი ისევ დადუმდა და რატომლაც ნიშნისგება დავიჭირე მის მოცბიერო თვალებში.

არა, უკვე ნერვებს მიშლის.

— როგორმე ამიხსენით რა, როგორ მივაგნო. აუცილებელი საქმე მაქვს.

ქალი გამოცოცხლდა. ის, რომ აუცილებელი საქმე მაქვს თეორი გოგისთან, არ უკვირს. იმის ინტერესი კლავს, ნეტა რა საქმე. მიყურუებული სოფელია, ღარიბი მოვლენებითა და სანახაობებით. მესმის.

— მასე ვერ მიხვდები. ბიჭს გაგაყოლებ, ჩემს შვილიშვილს.

გადასარევია. მართალია, იმედი აქვს, რომ ბიჭს მერე დაკითხავს, მაგრამ რაც მთავარია, ბოლო პუნქტს ვუახლოვდები. ქალი თავის ურიკას შუა გზაზევე ტოვებს და საწინააღმდეგო მიმართულებით მივყავარ.

სანამ კუს ნაბიჯით მიზოზინე ქალს ცმუკვით მივდევ, იმაზე მეფიქრება, საერთოდ თუ ღირდა ამოდენა მანძილის გამოვლა. ისევ იმით ვიმშვიდებ თავს, რომ ცდა ბედის

მონახევრეა და ყველაზე მიზერული შანსის გამოყენებაც გამართლებული. ის, რაც გოგიზე გამიგია, რის გამოც ვეძებ, შეიძლება არც არაფერში გამომადგეს, შეიძლება, რაღაც-რაღაცეების გარკვევაში დამეხმაროს. რაღაც აზრისკენ მიბიძგოს. გამოსავალზე ალბათ ლაპარაკიც ზედმეტია, თუმცა ვინ იცის... ისე მძიმედ მაქვს საქმე, ყველაფერზე ვარ წამსვლელი, ოღონდაც ცოტათი, სულ ცოტათი მაინც აიხადოს ფარდა, ფარდის კიდე. იქნებ დავლანდო მაინც რაღაც მაშველი რგოლი, ჩემს ჯაჭვს რომ შეკრავს, რომელზეც მძიმე ჯვარი მკიდია...

შვილიშვილი გალეული მაღალი მოზარდი აღმოჩნდა. აღფრთოვანება ნამდვილად არ გამოუხატავს ბებიამისის დავალებაზე, ჯიქურ ამომხედა უკმაყოფილო მზერით. თუმცა უცხო კაცს ხათრი ვერ გამიტება და გამომყავა. უხმოდ მივდივართ, ბიჭი, თავის ფიქრებში გართული, რაღაც მელოდიას უსტვენს. ნახევარ საათზე მეტი გაეიდა. თავისი გრძელი ფეხებით იმხელა ნაბიჯებს დგამს, ძლიერ ვეწევი. მთის ბილიკს რომ ავუყევით, სერიოზული დაღლა ვიგრძენი. გარშემო მთის ბუნების სილამაზის აღქმის თავიც კი არ შაქვს.

როგორც იქნა, თეორად გაფანტული ფარა გამოჩნდა. მწყემსი შორიდანვე ჩანს. ხის ქვეშ წამონოლილი ეწევა. სანამ ვუახლოვდებით, თვალს არ გვაცილებს.

— გოგი ძია, აი, თქვენ გიკითხათ და... — მოვალეობის კეთილსინდისიერი შემსრულებლის გამომეტყველებით ბიჭი იქვე, მის გვერდზე დაეშვა, ნეტარებით გაიშხლართა, რაღაც ბალახის ლერო მოწყვიტა და კითლებშორის მოიცია. ორივე კითხვის გამომეტყველებით შემომცეკრის.

— გამარჯობა, — ვამბობ.

— გაგიმარჯოს, — მეპასუხება მწყემსი.

შევკრთა.

მძაფრი სუნი სულს მიხუთავს.

უუყურებ და გული მეკუმშება. მაინც ძალას ვიკრებ. მიჩვეული ვარ ამას, რაც გინდა თქვი.

ორმოციოდე წლის იქნება. ალბინოსია, ახლომხედველ მონითალო თვალებს ჭუტავს და ისე მათვალიერებს. ძალიან მოკლედ შეკრეჭილი თმა თითქმის იმავე სიგრძისა აქვს, როგორც გასაპარსი წვერი. ბიჭს გავხედე. მიყურებს, ბალახის ლერს ლეჭავს და ისეა წამონოლილი, აზრადც არა აქვს ჩვენი მარტო დატოვება. ისევ მერევა ბრაზი.

— მე თბილისიდან ვარ... თქვენზე მსმენია... მზიასგან... მზია გახსოვთ? ასე თქვა, ვემასხსოვრებიოთ...

ალბინოსი გაშრა. წამით მეტყველების უნარიც კი დაეკარგა.

— როგორ არ მახსოვს...

თითქოს ერთი ხელის მოქნევით ჩამოიგლიჯა დაძაბულობა.

— მზია... როგორაა, რას შვება... — დაბნეულად მეკითხება, წამოჯდა, სახე გამოუცოცხლდა. აშკარად ღელავს, ილიმება, მეჩერი კბილები ყვითლად უელავს სითეთრეში.

— კარგადაა. ორი შვილი ჰყავს, სკოლაში დადიან უკვე. დაუფიქრებლად ვთქვი. ალბინოსი ჩაქრა. შუბლზე ნაოჭმა გადაურჩინა.

— კარგი გოგოა მზია ძალიან. ხომ ბედნიერია?

— კი, კი...

ისევ სიჩუმე ჩამონვა. ბიჭს გავხედე. ისევ ღეჭავს ბალახს და თვალს არ მაცილებს. კარგადაა დარიგებული ბებიამისისგან.

— თქვენთან აუცილებელი საქმე მაქვს, — ყოყმანით

დავინტენი.

ალბინოსმა ამოიხვენეშა. სიგარეტის ნამწვი მოისროლა. — რა არის იცი... ალარ ვწინასწარმერტყველობ... დიდი ხანია უკვე, ნლებია. შევეშვი მაგას.

ბიჭი ნიშნისგებით ღეჭავს ბალახს და გამომცდლად შემომცეკრის.

— სხვა რამე მაინტერესებდა... — ვინწყებ და სიტყვა მინყდება. სხვა შემთხვევაში ვეტყვოდი ადამიანს, თუ შეიძლება, მარტო დაგვტოვეთ-მეთქი, მაგრამ ეს ხმასაც არ გამცემს, გააგრძელებს ძროხასავით ბალახის ღეჭავს, დიდი-დიდი, მხარი ინაცვლოს.

ალბინოსმა ჩაიცინა. ბიჭს გახედა.

— რა, თენგოანთ გოგო დაბრუნდა ქალაქიდან? — ჰკუთხა. ბიჭმა უცნაურად შეხედა.

— რა ვიცი, არ უთქვამს, როდის ჩამოვა. — ჩადი, ინახულე, — დარწმუნებით ჩაილაპარაკა ალბინოსმა.

ბიჭი სიზმარეულივით ადგა, არც დაგვემშვიდობა, ისე წავიდა თავისი ჩქარი ნაბიჯით. თეთრმა გოგიმ ახლა მე შემომხედა გამჭოლად.

— მზიას ახლობელი ჩემთვის ძმასავითაა.

მის შორიახლოს ვიკალათებ. შფოთი მექალება. ვცდი-ლობ, მძაფრ სუნს ყურადღება არ მივაქციო. მაინც ვე-რაფერს შევცვლი.

— შენი ვინა? — თავს არ წევს, ისე მეკითხება.

— ჩემი კარგი მეგობარია...

ალარაფერი უკითხავს. მელოდება. ეს ოხერი, ლაპარაკიც რომ არ მეხერხება საერთოდ...

— ისა, — ვეუბნები, — რაღაც კითხვები მაქვს თქვენთან....

— „თქვენ“ და ეგეთები არ გამაგონო. „შენ“ მითხარი.

— კარგი. მზიამ მითხრა რაღაც-რაღაცეები და...

ალბინოსმა ცერად გადმომხედა.

— თქვენი ნიჭის შესახებ მომიყვა.

ჩაეცინა.

— ნიჭის... ნიჭი კი არა, ბორკილებია... რა შავ ქვად მინდოდა...

— რა არის, იცით... ძალიან მაინტერესებს პარანორ-მალური მოვლენები... მათი ახსნა...

— რა ახსნა, — ალბინოსი აშეკრად ვერ იყო ხასიათზე, — რა ახსნა უნდა მოუქებნოს ამას ადამიანმა.

ვერდნობ, ალაპარაკდა. მზიამ თქვა, ძალიან ენან-ყლიანიაო. მთავარია ერთი დაინყოსო.

— მითხარით რა, ეს პირველად როგორ იგრძენით...

ალბინოსმა სივრცეს გაუშტერა თვალი. მომეჩენა, თითქოს თავის ცხვრებს ითვლისო.

— პირველად... რაღაც-რაღაცეებს მანამდეც ვგრძნობდი. მეორე კლასში ვიქენებოდი, ზეიმი გვქონდა საახალნლო. ლექსები დაგვირიგეს, „სიტყვები“... თოვლის პაპაციყო... კლასელი გვყავდა ერთი, გორჩა ერქვა. პოდა, ამ ბავშვს ასეთი როლი ჰქონდა, სასაცილო, ზარმაცი თრონოსანი იყო ვითომ. დგას ეს ბავშვი და იძახის: სახლში სულ მეჩეუბებიან მშობლები, არ სწავლობო, ესაო, ისაო... „შენ მომიკვდი, შენ არ გაიხარეს“ იქით ალარ მესმის არაფერით. თქვენ იცინით და მე კი რა მაქვს ბედშავს სასაცილოვო... ამასწინათ სიზმარში ღმერთი მეუბნებოდა, ვერა ხედავ, იხრჩობი, ხელი გაანძრიე და გეშველებაო...

მე კიდევ სწავლა რომ მეზარება, აბა რა ვქნაო? რაღაც ასეთებს ამბობს ეს ბავშვი. ზეიმის მაყურებლები, — მშობლები, — იცინიან, პირები დაფჩენიათ...

შევხედე, კაცო, და უცემ რას ვხედავ. ამ ბავშვს თავზე-მოთ ლურჯი სვეტივით ადგას და, ეს სიტყვები, როგორც

წყალში ჰაერის ბუშტები, ისე არ ადის ქვემოდან ზემოთ? თითქოს წყალშილაპარაკობდეს. ადის დარაღაც მუქლრუბლად ადგება. ვუყურებ და შიშისაგან ტირილი მინდება. მეთქი, რა ხდება. სხვებს გადავხედავ — არავინ არაფერს ამჩნევს. იცინიან, ტაშს უკრავენ. სიტყვები კი ასდის და ასდის ჰაერის ბუშტებად თავს ზემოთ... ულაგდება და ულაგდება ღრუბლადა... ვერ ვინძრევი, ვერაფერს ვამბობ. მასწავლებელი თვალებს მიბრიალებს, უცებ მივხვდი, რომ ჩემი ლექსის ჯერია. ლექსი კი არა, გული მაქვს ამოვარდნაზე. დავინწყე ტირილი. ყველას ეგონა, ლექსი დაავიწყდაო, მაშინვე სხვა ბავშვით შემცვალეს. ვდგავარ, ვკანკალებ და ვტირი. გაერა არადა ლურჯი სვეტი. მასწავლებელი ისევ მიბრიალებს თვალებს. ზეიმის შემდეგ, ჩხუბირომ დამინუო და სვეტზე ვუთხარი, კეფაში ნამომარტყა, სისულელებს ნუ ბოდიალობ და წესიერად დაიზეპირე ხოლმეო ლექსები...

... ეს გორჩა, უკვე სკოლას ვამთავრებდით, ტბაში დაიხრჩო... თითქმის ნაპირთან... ფეხზე წყალმცენარე შემოხევია, ჩაითრია. ერთი რომ გაეფართხალა, გასცურავდა, არაფერი მოუვიდოდა, მაგრამ შიშისაგან გული გაუსკდა. მანამდე ცოტა ხნით ადრე ატეხილი იყო, მეო, მალე მოვკვდებიო, იმეორებდა. ვხედავდი, როგორ ადგებოდა სვეტითავზე და როგორ ცურდებოდა ზემოთ ჰაერის ბუშტებად მისი სიტყვები, ვეხვენებოდი, მასე ნუ ლაპარაკობ-მეთქი, და ეცინებოდა, კაი, ვხუმრობო. მართლა ასე ფიქრობდა, თვითონ ნამითაც არ სჯეროდა, რასაც ამბობდა.

ეგ იყო პირველი.

რა ვიცი... მალევე მაგ ზეიმის შემდეგ ასეთივე სვეტი მეზობელს შევნიშნე თავზე. ვისთანაც ჩხუბობდა, იმის შვილს წყევლიდა, ნეტა რა პირით... ლურჯები შეეკრა თავზე და, გაქრა სვეტი, კაცო... იმ დღის დაბინდებამდე თავისივე შვილმა ხელი მოიტეხა... სწორ ადგილზე წაიქცა და ან როგორ დაეცა ეგრე... ბავშვობაში ბებიებმა იცოდნენ ხოლმე თქმა, ვიღაცის სიტყვა რომ ახდებოდა, „ამინ“-მა ჩამოიარაო. რა ვიცი, ვის სად დარაჯობს ეს „ამინ“ და... მერე მაგ სვეტს ზოგჯერ ვხედავდი ხოლმე, ხან ვის დაადგებოდა თავზე ზემოთ-ზემოთ მცურავი ბუშტებით, ხან ვის. ერთი-ორჯერ ეს რომ ხმამალლა ვთქვი, საცინლად ამიგდეს. ვერა ხარო შენ მთლად ჭკუაზე...

მერე, ერთხელ, ახალგაზრდა ქალი დაიღუპა, ჩვენი ნათესავი... ჩვეულებრივ, როგორც ხდება ხოლმე, დავიტირეთ, დავკრძალეთ. მეორე დღეს ავედით სასაფლაოზე და, ვხედავ კაცო, მის საფლავზე ლურჯი სვეტია, ზემოთ ჰაერის ბუშტები მიცურავს და წითლად ვარვარებს თითქოს... ვეცი ამის ქმარს, არიქა, ქალი ცოცხალია, ცოცხლად დავმარხეთ-მეთქი. გიუი ხარო, გაბრაზებით შემომიძახეს აქეთ-იქიდან, მაგრამ ისე ავლელდი, ისე დავიუზინე, ქმარი სულ მოიღვენთა, ქალის დედამ კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ამ კაცის მჯერაო და აქედან არ წავალ, სანამ საფლავს არ გათხრითო. ერთი ამბავი ატყდა. ბოლოს, მაინც გათხარეს საფლავი. თან ისე მიყურებდენ, მივხვდი, თუ შევცდი, იმ ქალს მეც მიმაყოლებდენ. გათხარეს და, მართლა ცოცხალი არ ყოფილა ის ბედიანი! საღარა ას მარტინი დამართვნია, რაღაც ავადმყოფა სჭირდა თურმე. ცოცხალ-მკვდარი ამიგდებანეს... ის ოჯახი დღემდე ჩემზე ლოცულობს, მაგრამ ხალხმა ალმაცერად დამინუო ყურება. თუმცა, იმის შემდეგ, რასაც ვამბობ, მიჯერებენ, მაგრამ... როგორ გითხოვა... რასაც თვითონ უნდა არ იყოს არასაც ვამბობდა, რასაც ამინდებანებს. აი, როცა ვეუბნებოდი ვინმეს, ნუ ინყველები, „ამინ“ გიდგას გვერდზე-მეთქი, ეგრევე შეშინებული

ჩუმდებოდა. ზოგჯერ ტყუილადაც ვამბობდი, ჭირის დღესავით მძულს წყევლა-კრულვა...»

თანრა და მამართა მერე... ის თავზე ღრუბელი ვითრომ ექუფრებოდა ვინმეს, იმას მაშინაც ვხედავდი, სვეტი რომ არც იყო. მიდის, ვთქვათ, კაცი, და თავზე იმოდენა სიმძიმე მოაქვს. შეხედავ, კაი, მშრომელი კაცია, ბუზის არ ააფრენს, რამ დაუგროვა ეგ შავი ჭირი-მეთქი. რას გაიგებ, ვის როდის რა აქვს აგროვებული. ზოგჯერ მარტო სიტყვებიც კმარა, რათუ საქმე. ეტყვი და ინწყენს, შენს თავს მიხედეო, მოგიბრუნდება. ზოგჯერ გულში ჩახედვა გეზარება ადამიანს, ბნელა გულში საერთოდ. ერთი მყარი ციხესიმაგრეა კაცი, რასაც უნდა, იმას უშვებს გარეთ, შიგნით კი, დარაბებდახურულში, ვის შეახედებს. რა იცი, რა ხდება იქ. ქალი ხომ საერთოდ. ქალისა რას გაიგებ. ხშირად თვითონაც ვერ დაულაგებია ის ციხესიმაგრე. უყრია მასე უნესროგოდ გრძნობები, სურვილები... ზოგჯერ ისიც ვერ გაუგია, რა უნდა, და მაგის დამალული ხომ საერთოდ ვერ ნახავს მზის სხივს... არა, სხვის გამუდავნებულს ფარლალად ანიავებს წუთისოფელში, თავისასაც ზოგჯერ... ზოგჯერ კი ცხრაკლიტულს დაადებს ისეთს, ადამიანის აზრიც ვერ მისწვდება...»

რა გამახსენდა...

ერთხელ ცხონებული დედაჩემი მურაბას ხარშავდა. ოთახი ბუზებით გაივსო. აბა რა იქნებოდა... დედაჩემმა ჩვარი მოიმარჯვება და გარეთ გაყრა დაუწყო, არ ეცალა მათ სადევნად. ვერ გაყარა, კაცო... ისე ოსტატურად იმალებოდნენ, ზოგი ჭერზე, ზოგი კუთხებში, იწვალა, ვერ მოერია. ტკბილის სუნს

იყვნენ მიწებებულნი, ტკბილი ეგულებოდათ იმ ოთახში. ხოდა დახურა მაშინ ფანჯარა და დიდი ხოცვა-ულეტა დაატრიალა. რა ვიცი, შეიძლება ცუდ მაგალითს ვამბობა... სცადე, უთხარი ვინმეს, სხვის ცოლთან წუდადიხარ, შენი იქმარეო... ტკბილზე მიფრინავს... სულ არ ფიქრობს თავის გაღწევაზე... ან ქურდს უთხარი შენი იმყოფინეო, დაგიჯერებს? უგრეა, სანამ ფანჯრები ლიაა, ვერ ელევი ტკბილ სურნელს, ჰაერში რომ ტრიალებს და პირის ჩატკბარუნების იმედით გავსებს... სურნელი კი რაა, ა, მოკიდე ხელი, დაიჭრ? მერე, ფანჯრები რომ იკეტება და ხოცვა-ულეტა ინწყება, გვიანია. ამიტომ გავჩრიმდი, არავის ალარაფერს ვეუბნებოდი. დავინახავდი ზოგჯერ ღრუბელს რომელიმე თავზე და გავიყლიდი წყნარად...»

... რა ვიცი, კიდევ რისი გაგება გინდა? რა გითხრა მზიამ?

— მხოლოდ ის, რომ უცნაური ნიჭის წყალობით შეგიძლიათ ადამიანის ბედი ინიასწარმეტყველოთ...

ალბინოს ჩაეცინა.

— არაა მთლად მასე. რაღაცებს გამოვიცნობ ხოლმე, მაგრამ მერე, რაც უნდა ვთქვა, ხალხს ყველაფრის სჯერა, როცა რამე უბრალოზეა ლაპარაკი. ვთქვათ, ქალაქიდან ჩამოსულ თენგოანთ გოგოზე... მართლა ჩამოსული რომ დახვდეს, ძალიან გამიკვირდება თვითონაც... მაგრამ ის რომ ვუთხრა, თენგოანთ გოგოს თავზე მძიმე ღრუბელი ადევს და თავი დაანგებე-თქო, არ დამიჯერებს. უყვარს ძალიან, პატარაობიდანვე... ეგრეა ადამიანი, იმისა სჯერა, რაც უნდა დაედვილება, არც ვეუბნები ამიტომ... შენ მარტო ამისთვის იარე ამოდენა გზაზე, რომ ეს ჩემი ამბავი მოგესმინა?

— კი. ჩემს ღრუბელზე რას იტყვი, — გული ამიჩქარდა.

თეთრმა გოგიმ თვალში გამიყარა, მერე თავის სიგარეტს დასწვდა.

— აერი გითხარი, ყველას და ყველაფერს კი ვერ ვხედავ... შენსას ვერ ვხედავ. მართლა. მზიას გამოგზავნილს არ

მოგატყუებ.

გააბოლა. მიყურებს. ისევ მეკუმშება გული.

უცებერთმა აზრმა გონება გამინათა.

— კიდევ რა მითხრა, იცით, მზიამ? ძალიან მიყვარდაო მაშინ...

თვალს ვარიდებ. არ მინდა, ამხელა ტყუილის შედე-გებს შევეფეთო მის სახეზე...

გაოგნებულს ვემშვიდობები და დალმართზე თითქმის ჩავრბივარ.

ამაოდ მივლია.

ამას სხვანაირად ჰქონია.

მე უუყურებ კაცს და უბრალოდ ვგრძნობ, რამდენ ხანს იცოცხლებს.

საშინელებაა.

ვგრძნობ, რითი მოკვდება.

თითქოს რაღაც ხმა მეუბნება.

რატომ, კაცმა არ იცის.

თუ დღებზეა ლაპარაკი, მძაფრი სუნი მცემს, გალაქული ხის. ზოგჯერ მოულოდნელადაც მცემს და მეორე დღეს რომელიმე ახლობლის სიკვდილის ამბავს ვიგებს...

... იქნებ, ლირდა მეთქვა?

არა, რა აზრი აქვს.

მაინც აიღებს იმ თოფს გასაწმენდად და მაინც გაუვარდება შემთხვევით ტყვია.

როგორც კი მივუახლოვდი, გალაქული ხის სუნმა კინალამ დამახრჩო.

იმიტომ მოვატყუებ, მზიას უყვარდი-მეთქი. მინდოდა, ერთი დღე მაინც იაროს ბედნიერმა, სანამ ბრმა ტყვია იმ-სხვერპლებს მოულოდნელად.

შუბლზე ცივ ოფლს ვიწმენდ.

თეთრ კაცს გავურბივარ. მის ირგვლივ გალაქული ხის სუნს, ჩემს გარდა რომ ვერავინ გრძნობს.

საკუთარ თავს სად გაექცევი?!?

... მაინც რას ველოდი მისგან...

... ღრუბელი თავზე. დაუინებული გაფრთხილება... წყევლა და სიტყვა... სიავე და სიკვდილი... ნიუტონის მეორე კანონი — ქედება ყოველთვის უდრის უკუმედებას.

ნულზე გამრავლებული სათუო სიამოვნებანი...

რა იოლი სათქმელია „სხვა რა შეგვრჩება“ ამ გამრავლების მომენტში...

... რა საზარელი სიცივეა ამ ტოლობის ვითომ შორეულ მეორე ნაპირზე...

ციხესიმაგრეში შეღწეული მძლავრი სხივები, დანაგვიანებულ კუნძულებს რომ გაანათებს როდესლაც...

... სოფლის შარაზე გავდივარ. წელანდელი ნაცნობი ბიჭი გზაზე ზის. მე მელოდება.

— გაარკვი, რაც გინდოდა? — მიღიმის ყალბი ღი-მილით. ცნობისმოვარება და სიბრაზე კლავს, იმიტომ რომ თენგოანთ გოგო მართლაც არ ჩამოსულა. თეთრ კაცზე და ჩემზე იბოლმება. ბოლო ცდაა, რამე გაიგოს.

აქ, მიყრუებულ სოფელში, ყველაფერი სანახაობაა...

ემოციების სიმწირისგან ყველაზე უარყოფითი ემოციაც გულისსილრმისეული დაგემოვნებისთვისაა განწირული...

ვუთხრა?

არა?

... ვეტყვი.

— მოდი აქ.

ხალისით მიახლოვდება.

— მისმინე და კარგად დაიმახსოვრე. თენგოანთ გოგო არ მოიყვანო ცოლად, ეგ შენგან უჩუმრად სხვასაც ეფიცე-

ბა სიყვარულს. თუ მოიყვან, ის სხვა ორივეს დაგხოცავთ, ძალიან გიჟია... ერთი კერძო არ გავა... მაგრამ რა აზრია ქვს, მაიც მოიყვანა...

ბიჭი პირდაღებული მიყურებს, სიბრაზისგან სახე ალენვია...

გვერდს ვუქცევ...

ჩემ გზას მივუყვები...

\* \* \*

სხვენიდან ჯერ ფეხები გამოჩნდა, მერე ზურგი, ბოლოს თეთრი თავი. კაცი ფრთხილად ჩამოვიდა ხის კიბიდან, იქვე მდგარ სკამზე ჩამოჯდა. დაბწეული გამომეტყველებით დასწრებოდა ძველებურ მძიმე თოფს, ძლივს რომ მიაგნო დიდი ხნის დაულაგებელი სარდაფის უწესრიგობაში. აკანკალებული თითები ხელნაჭედ ვერცხლს გაუსვა, მოეფერა. სიზმარეულს ჰგავდა, გათიშული მზერით და ზანტი მოძრაობებით. მოჭუჭული უფერული თვალებით კარგა ხანს ათვალიერა იარაღი. ვინმეს ეგონებოდა, ახლა მთელ თავის უცხო ახლობელ წინაპრებს სწვდებაო ფიქრით. მაგრამ თეთრი კაცი ახლა მხოლოდ თოფს ხედავდა და მის იქით სხვას ვერაფერს...

... სულ სხვაგან იყო აზრებით.

მუქთმიანი ხუჭუჭა გოგო ახსენდებოდა, ბრიალა თვალებიანი. ცდილობდა, მისი ორი ბავშვი წარმოედგინა, ალბათ, დედასავით ხუჭუჭა და თვალებბრიალა...

... ქალისას რას გაიგებ...

... უყრიდა უწესრიგოდ გრძნობები, სურვილები...

... ზოგჯერ ისიც ვერ გაუგია, რა უნდა...

... უყვარდიო მაშინ...

უყვარდიო?

ეს წითელი თვალები უყვარდა? დაბადებიდან ჭალარა თმა?

... და ამ წითელმა თვალებმა ეს არ დაინახა?

... არ დაივერა?

და ახლა სხვა კაცის ორი შეიოლი სკოლაში დადის... აბა ცხვარში ხომ არ ივლიდა... მზია... არა, არ ივლიდა ცხვარში... არ უნდა ევლო... ყველაფერი სწორია... მაგრამ როგორი მძიმეა ყველაფერი...

როგორი მძიმე ყოფილა ყველაფერი...

ახლადა აღიქვა რატომლაც, ამ თბილისელთან შეხვედრის მერე...

იმ ბოლო ფრაზის მერე, ნასვლის წინ რომ ესროლა...

ზოგჯერ გულში ჩახედვა გეზარება ადამიანს.

ბნელა გულში საერთოდ...

... ოხერი, ხელები უკანკალებს, კაცო, თუ რაშია საქმე... რას იტყვიან...

რას იტყვიან და გაუვარდაო შემთხვევით, რა უნდა თქვან... წმენდაოდა გაუვარდა...

... რაუნდა თქვან...

**ბატონმა.** ბილეთი გამოვართვი, ისე სხვათა შორის, დავხედე და:- რაღა მაინცდამაინც მეცამეტე ბილეთი?! ავტობუსი ცარიელია, - ვთქვი გაოცებულმა და მოლარეს მიეგაჩერდი. - რა ვქნა, გენაცვალე, ახლა გავყიდე მეთორმეტე ბილეთი... იქნებ სულაც ბეჭნიერება მოგიტანოთო... რა იცი, რა ხდებათ... გამილიმა ჩემი ბედის გამრიგემ და ცხვირნინ მომისურა ფანჯარა. რა მექნა, ბედს დავმორჩილდი, ავედი ავტობუსში, რომელიც, ის იყო, გასვლას აპირებდა. ადგილის მოძებნა არ გამჭირვებია ჩემი თანამგზავრის წყალობით ცარიელ ავტობუსში მხოლოდ ერთი კაცი იჯდა-ბილეთი □ 12-ის მფლობელი-მაღალი, სიმპათიური, შავტუხა, ტიპიური კახელი. სხვა გზა არ მქონდა, მივუკერები გვერდით. ბილეთის გაცვლა არც მიფიქრია, ანდა ვისთვის უნდა გამეცვალა ადგილი, აკი გითხარით, ავტობუსში ჩვენს მეტი არავინ იყო. ეს ამბავი გასული საუკუნის ოთხმოციან წმენდაში მოხდა. მოგეხსენებათ, მაშინ არც მობილური ტელეფონები იყო და არც სხვა რაიმე გასართობი, რომ დრო გამეცვანა. ჩემს დანახვაზე შავტუხას სახე გაუბრნებინდა და სასაუბროდ მოემზადა. დაიწყო და... დაწვრილებით მომიყვა-ვინ იყო და სად მიდიოდა... რომ წარმოშობით კახელი ვარო ( ამას ხომ უთქმელა-დაც მივხვდი), ახლა გლდანში ვცხოვრობო, თელავში დეიდასთან მივდივარ, ჩემს დეიდაშვილს დაბადების დღე აქვსო... ერთი პირობა სხვა ადგილას გადაჯდომაც განვიზრახე, მაგრამ ვიფიქრე, ისეთი ბედი მაქსი, გზად ვაითუ ვინმე უარესი ამოვიდეს და ახლა იმან გამიბურლოს ტვინი მეტე. სიმართლე გითხრათ მისი ამბავი საერთოდ არ მანტერესებდა, ჩემს თავში ჩავიკეტე, ფანჯარას მივაშტერდი, და მშვენივრად მოვახერხე შემომავალი ინფორმაციის დაბლოკება. მალე სოფლებს ბინდი შეეპარა, ფანჯრიდან აღარაფერი ჩანდა და მეც დავიღლალე გარემოს თვალიერებით, ჩემი თანამგზავრი იმ ეტაპზე იყო, რასაც „გაგება და სიყვარული ჰქვია“. გარემოს თვალიერება, რომ შევწყვიტე და ხმა ამოვიდე,



## გარიბა გიგანტი

### ბილეთი №13

შემოდგომის სევდაშეპარული თბილისური საღამო იყო. გზის გასაყართან ზამთარი ჩასაფრებულიყო და თავს გვახსენებდა; გარემოსავით მეც ამინდის ხასიათი მეცვა... სწრაფი ნაბიჯით შევედი ორთაჭალის სადგურში. იქ სიხალვათე იყო-ადარც ხალხი ირეოდა, ტრანსპორტიც კანტი-კუნტად მოჩანდა. დავიგვიანე, ვიფიქრე გულში და პირველივე საღაროსთან მივედი... - უკაცრავად, კახეთისკენ რამე გადის? - ბოლო ავტობუსი თელავამდე... ხუთმეტ წუთში გავა, - მიპასუხა მოლარემ. თელავის გაგონებაზე შევყოყმანდი, მაგრამ მერე ვიფიქრე, იქიდან რამეს გავყვები, ბოლო-ბოლო გზას ტაქსით გავაგრძელებ-მეტე. ყოველმიზეზგარეშე უნდა ჩავსულიყავი კახეთში, გადაუდებელი საქმე მქონდა. - კარგი, ქალბატოხო; ერთი ბილეთი, თუ შეიძლება. - აი, ინებეთ, - მითხრა და თან სათვალის ზემოდან შემათვალიერა. შემოდგომის სიუხვით გულდაუნყვეტელმა ქალ-

ძალიან გაეხარდა ( აქამდე, იქნებ მუნჯიც კი ვეგონე ). - ინდე, მაგრე, შე დალოცვილო, შენა!!! ლაპარაკი გცოდ-ნია...

ახლა ჩემი ჯერი იყო,- დრო ხომ უნდა გამეყვანა, დავი-წყელაპარაკი და აღარ გაეჩუმებულვარ. ისე, რომ ვთქვა დიდი გულისყურით კი მისმენდა. მივალნიეთ, როგორც იქნა, თელავს. ავტოსადგურში შევედით და მაშინვე ტაქ-სის ძებნა დავინყე... ისეთი თანხა დაგვისახელეს, ფეხით წავსულიყვავი, ჯობდა. არც არაფერი აღარ იქნება, დამ-ამშვიდეს ადგილობრივმა მძლოლებმა- „ასეთ დროი იშ-ვიათია, იყო ვინმე იქეთ წამსვლელიო... ჩემმა შავტუხ-ამ, რომელიც გვერდიდან არ მომშორებია, შენუხებულმა შემომთავაზა: ეგრე ხო ვერ მიგატოვებ, წამოდი, ჩემი დეიდამვილი აქვე ახლოსაცხოვრობს, მანქანას ვეთხოვე-ბი და მე წაგიყვანო. არჩევანი არ მქონდა და დავთანხმ-დი. სადღაც ათი, თერთმეტის წახევარი იქნებოდა, მე ცოტა მოშორებით გავჩერდი, სანამ ის დეიდას ელაპარ-აკებოდა... ჩემდა ბედად, მისი მანქანიანი დეიდაშვილი სახლში არ აღმოჩნდა, - „აქვეა, გენაცვათ, გასული, ახ-ლავე მოვა, შემოდით, ქა! სახლში დაელოდეთ... არ გცხ-ვენიათ, გარეთ რასაი დგახართო... შესულები არ ვიყავ-ით, თამადამ ( რომელიც კახური სიკეთით იყო გაჯერე-ბული ) შემოსწრებულებს გაუმარჯოსო, დაიძახა და ყან-ნიც მოითხოვა; უკვე კარგად შეზარხოშებული იყო. კახ-ელები ფეხზე ადგნენ და დიდი სიყვარულით შესვეს ჩვე-ნი შემოსწრების სადლეგრძელო... ისე მშიოდა, ბევრი პა-ტიუი არ დამჭირებია, მე და შავტუხა დიდი მონდომე-ბით შევუდექით სუფრის შეფასებას... ამდროს ვიღაცამ იხუმრა:- რაიყოთ, მტრის ოჯახში ხომ არ ხართო! ? მასპინ-ძელი გადაგვერია -მიირთვით, გენაცვალე, ამაი ვინაი კითხამს, ეგ მე ვიციო... ამასობაში დვინოც ჩამომისხეს... უარი ვთქვი, არა, არ ვსვამ საერთოდ-მეტე და -ვიცი, ვიცი დვინო რა საკადრისია, კონიაკი გაუხსენიო, ეგ როგორ შეგვეშალაო... ჩვენი მოსიყვარულე მასპინძელი ნამეტანი ყურადღებას გვაქცევდა. ახლა კონიაკი ჩამო-მისხეს და, რომ არ დამელია, უკვე აღარ გამოდიოდა, მოკლედ გახურდა ქეიფი... სად იყო, სად არა, მუზიკან-ტებიც შემოგვირთდნენ. ჩემი შავტუხა ორი ყანნის წყალობით უკვე ისეთ გუნებაზე დადგა, ხელიც გაშალა, აბა, ტაში, ტაშიონ და გადამიცევა კიდევაც. მაშინ კი ვიკადრე, სუფრიდან წამოვდექი და, სანამდის კიდე შეიძლება რამე შევცვალო, გარეთ გავალ-მეტე, ვიფიქრე. ჩემი ადგომა და სამი კარგად მოსული ქალბატონი უკან დამედევნა. ვიფიქრე, აუხსნი სიტუაციას-მეტე და დავინყე: იცით, რა... ვიცით გენაცვალე, იგეთი ოჯახია, ჩიტის რძეი არ მოგაკლებენო ... მეც ეგრე გავყე ჩემ ქმარსა და დღეს სამი შვილი გვყავ, მაშაა, - მითხომ მეორემ, რომელიც გასასვლელ კარებს სიგანეში ფარავდა. აქ ძალით არაფერი გამოვიდოდა, ახლა ხერხით უნდა მეჯობნა, დავბრუნდი სუფრასთან და, რახან არავის ვიცნობდი, ისევ „იმაი“ მიუჯექ გვერდზე. მაგრამ კახურად, რომ „ვთქოო“ „იმაი კი ვიცნობდი, რო“. ჩემი ოქრო ჩემთანო, დაიძახა სასმელით გათამამებულმა, ასე ვთქვათ, სასი-ძომ და ტაშიც დასცხო... მერწმუნეთ, იქ იუბილარი აღარავის ახსოვდა, ისეთი ამბავი ატყდა... აღარ ვიცოდი, რა მექნა და ისევ ჩემი შავტუხას შებმა დავინყე... ახლა სახლში წამიყვანე და ხვალ ჩემი ფეხით გეახლები-მეტ-ები... ერთი კარგად გაიცინა, დღევანდელი კვერცხი გერ-ჩივნოსო, არ გაგიგნიაო? კაცოო, ახლა კი მართლა გავბრაზდი: რა კვერცხი, რა ქათამი, მე აღარ მეკითხე-

ბით?! არც კი გიცნობ... ვინ ხარ-მეტქი?! მე ძაან კარგად გიცნობ, მთელი გზა გულისყურით გისმენდოი, ყველა შენი აზრი მომენტონაო და ა.შ... ახლა შევთავაზე მოდი გავიპა-როთ-მეტე, ახლა ამაზე იცინა: აბა მითხარი, ამაზე კაი ადგილაი სად წავალთო... ( გულში გავიფიქრე ეგეც შენა, კონიაკს რო უჭახუნებდი, აბა რა გეგონა-მეტე ). ცოტა ყურადღება როგორც კი მოდუნდა, შუმჩნევლად ავდექი და ჩუმად გაპარვა დავაპირე. ის იყო, კარს მიუახლოვდი, რომ უკანიდან შესმის: „რათა შვილო?! რათი გვინუხებ? ქორწილს გვიშლი. ვაჲ, რა იციან ამ ახალგაზრდებმა“-ო... ის ფაშვაშა ქალი ისე სწრაფად ლაპარაკობდა, სიტყვის თქმა არ მაცალა - ისე შემომაბრუნა სუფრასთან. მგონი იმ ქალს ყველაზე მეტად უნდოდა ჩვენი დაქორწინება. ღმერთს ვევედრებოდი, ოლონდ ახლა მშვიდობით გამიყ-ვანა და სხვა დროს კონიაკს სათოფეზეც არ გავეკარები-მეტე ( კონიაკზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ერთი ჭიქა კონიაკი დავლიე, ისიც ზრდილობის გულისითვის, სხვა დანაშაული მათ წინაშე არ მქონია ). თამადა გააქტიურდა, ახლავე დარეკეთ და დედამისს შეატყობინეთ პატარძალი მოგვყავ, სუფრა გაშალისო... თან თადარიგი დაიჭირა: აქედან ყველა თბილისში მივდი-ვართო... ვაიმეე, ძლივს ჩამოვედი... ახლა ისევ თბილის-ში? რას მერჩით, რა გინდათ... ისევ ის სამი მოსული ქალ-ბატონი დამიდგა გვერდზე. სირბილით მიმიყვანეს მან-ქანამდე, თან ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ თავი ფე-ით მოგვყვებაორო. „მუზიკანტები“ ერთ მანქანაში ჩასხდ-ნენ, რომელიც ჩვენი მანქანის გვერდზე იდგა და რაც ძალი-ღონე ქონდათ გაპყვიროდნენ ამ ოჯახში მტრედი ბუდეს იკეთებსო... რა მტრედი?! რისი თბილისი? ძლივს ჩამოვალნი თელავამდე... არ მინდა გათხოვება, ხალ-ხოოოო!! ვკვირი, მაგრამ ვინ გისმენს. ის იყო, ყვე-ლანაირი იმედი გადამენურა და ვიფიქრე, რაც იქნება, იქნება-მეტე, რომ ჩვენი მანქანის მძლოლმა, რომელ-იც სამართალდამცავი აღმოჩნდა დაიძახა: „მე მგონი, აქ სხვანაირადა საქმე! მითხარი, შვილო, შენხელა შვილი მყავ, მენდე და ხელსაც ვერავინ ვერ გახლებსო... მო-მისმინა, მერე თავში ხელი შემოიკრა: „რასა შვრებით, ჯო! მაჭერინებთო? ამ ხნის კაცი ვარ და ამისთანა რამეი არ შავსწრობივარო, ემ ბალდს ხელს ვერავინ ვერ გა-ლებს, პირობა მივეციო... უი, გაგახარა ღმერთმა, ძლივს ერთი ნორმალური კაცი არ გამოჩნდაა, - ვიფიქრე გულ-ში. - აბა, მითხარი, ვინა ხარ? სად მიღიხარ? და მე მიგიყ-ვანო... დავემშვიდობე ჩემ „საოცრებას“ და ვთხოვე, თვალით აღარ დამნახვებოდა, რაც მერე ვინანე, რად-გან ცოტახანს მიყვარდა კიდეც. ასე დამთავრდა „მოტ-აცება კახურად“ ანუ ბედნიერი „ბილეთი №13“.

P.S. ძალიან ლამაზი ქალაქია თელავი. იქ თუ მოხ-ვდებით ( არა, ასეთ სიტუაციას არ ვგულისხმობ ), არ ინანებთ: განცვიფრდებით, კახელების სტუმართმოგვარ-ებით, სიალალით, და განსაკუთრებული იუმორით. სი-ტყვებით ვერ გადმოსცემ იმ განცდას, რაც ამ ქალაქში მოხვედრილს, მისი ნახვისას დაგეუფლებათ, განსაკუთრე-ბით წლის ამ პერიოდში. აი ასე... ამ ალალად მდიდარ სამ-ფლობელოში სიყვარული სუფრევდა, საღამოს თბილი ნიავი სასიამოვნოდ გვეფერებოდა და შემოდგომის სურნელით გვაბრუნებდა. პოდა, რა გასაკვირია, კაცს ცოლის მოყვანა მოსდომებოდაა! ლხინი იქა, ლხინი აქა.



## ირმა მალაციძე

### მარტორქეას მარტო რქა

ერთ უზარმაზარ მდელოზე მშობლებთან და მთელ ჯოგთან ერთად პატარა მარტორქა ცხოვრობდა. თვითონ კი პატარა იყო, მაგრამ ერთი მისი რქა უნდა გეხახათ. მარტორქას მშობლები ძალიან ამაყობდნენ შვილით:

-ერთი შეხეთ, როგორი ამაყი რქა აქვს ჩვენს პატარას! - ღიმილით შეჰყურებდა დედა.

-სახელოვანი შვილი გვეზრდება. ასეთი რქა, სანთლით რომ ეძებო, არცერთ მარტორქას არ ექნება, თანაც მის ასაკში! - სიამაყით აღსავს ადევნებდა თვალყურს შვილის ცელქობას მამაც.

მარტორქაც გრძნობდა მშობლების სიყვარულით სავსე მზერას და ისე მონდომებით დაკუნტრუშებდა, ირგვლივ ყველაფერს თელავდა. ჰოდა, იმდენი იკუნტრუშა, იმდენი იხტუნა, რომ ქვას ფეხი წამოჰკრა და მშობლების ცხვრინინ მალაყი გააკეთა და დედ-მამამ მიშველებაც ვერ მოასწრეს, ისე ჩაერჭო მიწაში იმ თავისი საამაყო რქით. რქამ სიმძიმეს ვერ გაუძლო და მოტყდა. ამის დანახვაზე დედა მარტორქას გული წაუკიდა, მამამ კი ისეთი ღრიალი მორთო, მარტორქების მთელი ჯოგი წამში შემთხვევის ადგილზე გაჩნდა. გამოიძახეს სასწრაფო დახმარება, თავს დაასიეს ექიმები, მაგრამ მარტორქის რქას აღარაფერი ეშველა.

ექიმმა თქვა:

-მდაა! მძიმე შემთხვევაა. მქონია რქის გაბზარვის, დახურული მოტეხილობის შემთხვევები, მაგრამ რქა მთლიანად არასდროს არავის მოუტეხავს. ჰმ! ასე როგორ მოინდომა? ეტყობა ძალიან ცელქი უნდა იყოს ჩვენი პატარა.

-რა გვეშველება, ექიმო. გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ? მარტორქა რქის გარეშე რალა მარტორქაა. თანაც, რა რქა ჰქონდა! — ქვითინებდა სასონარკვეთილი მამა.

-როგორ დავიღუპე, ჩემი პატარა! - ცრემლებს აფრქვევდა დედა.

-მდაა! არც კი ვიცი, რა გირჩიოთ. როგორც უკვე მოგახსენეთ, ძალზერთულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ასეთი რთული ოპერაცია ჩვენი ტყის ამბულატორიაში ჯერ არ ჩატარებულა, - ისევ ხელების იფშვნეტდა ექიმი მარტორქა.

მშობლებს იმედი გადაეწურათ. შვილს მოტეხილი რქა თასმით კისერზე ჩამოკიდეს, ყველას რომ ენახა, რა დიდებული რქა ჰქონდა მას ერთ დროს. ამის შემდეგ რქამოტებ-

ილ მარტორქას ყველა მარტოს ეძახდა. რქას აღარავინ ახსენებდა, გული არ ვატკინოთ - ფიქრობდნენ.

ასე იყო თუ ისე, პატარა მარტო მიეჩვია ურქოდ ცხოვრებას. ერთის მხრივ, მოსწონდა კიდეც, ყველასგან რომ განსხვავდებოდა. ტყეში ყველა იცნობდა, ჯოგშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამიტომ სულაც არ ნაღვლობდა რქის დაკარგვას. მხოლოდ მშობლები წუბდნენ და განუწყვეტლივ იმაზე ფიქრობდნენ, რა ეღონათ. ფიქრობდნენ, იქნებ ისეთი დრო დადგეს, ექიმებმა ახალი საშუალება გამოიგონონ და ჩვენს შვილს რქა ისევ მიამაგრონო, მაგრამ ექიმები ჯერჯერობით სანუგეშოს ვერაფერს ეუბნებოდნენ.

ასე გადიოდა დრო. მარტომ სრულიად მიიღინდა თავისი რქა, ხანდახან ეჩვენებოდა, რომ არც არასდროს ჰქონია იგი. ერთ დღეს კი ტყეში უცნაური ადამიანები გამოჩდნენ. ისინი ძანქანაში ისხდნენ და ჯოგს გარშემო უვლიდნენ, თან ხელში შავი პატარა კოლოფი ეჭირათ და აჩხაკუნებდნენ. დაფრთხენ მარტორქები, იფიქრეს, ჩვენზე ნადირობა დაინტესო და აქეთ- იქეთ მიაწყდნენ. მაგრამ სროლის ხმა არა და არ ისმოდა. ამან მარტორქები ცოტა დაამშვიდა და აქეთ-იქით სირბილს თავი დაანებეს. მერე კი ისე გათამამდნენ, ადამიანებთან ახლოს მივიდნენ და მათი დათვალიერება დაიწყეს. მარტოც მიცუნულდა და შავ კოლოფს დაუწყო ყურება. უცცებ ერთმა ადამიანმა ჩანთიდან უცნაური ნივთი ამოილო, მარტოს მიუახლოვდა და რქის ადგილას რაღაც წაუსვა. შემდეგ რქა კისრიდან ჩამოხსნა და თავის ადგილზე მიადლო. რამდენიმე წუთში მარტოს რქა თითქოს ხელახლა ამოუვიდაო. მარტორქები თვალებს არ უჯერებდნენ, ეს რა სასწაული მოხდაო - გაოცებას ვერ ფარავდნენ. მარტოს მშობლები სიხარულისაგან ადგილს ვეღარ პოულობდნენ, არ იცოდნენ, მადლობა რითა გადაეხადათ ამ უცნაური სტუმრებისთვის. აბა საიდან უნდა სკოდნოდათ, რომ სასწაული ადამიანებმა კი არა, წებომ მოახდინა. თუმცა, წებოც ხომ ადამიანის შექმნილია.

ამის შემდეგ მარტო ისევ მარტორქად იქცა, თუმცა ხშირად ეშლებოდათ და მაინც მარტოს ეძახდნენ. მარტოს მშობლებს ეს ძალიან სწყინდათ და ყველას, ვისაც კი ეს ძეველი სახელი წამოსცდებოდა, საყვედლურებით ავსებდნენ.

თვითონ მარტოს კი სულაც არ სწყინდა, პირიქით, ისე იყო შეჩვეული ამ სახელს, რომ სხვას ვეღარ ეგუებოდა.

ასე კეთილად დასრულდა მარტორქა მარტოს ამბავი.

### ზღვის ვარსკვლავის აჩვევი

(ზღაპარი)

თვალუნვდენელ ოკეანეში ზღვის ვარსკვლავა ცხოვრობდა. ოკეანე სავსე იყო სხვადასხვა ჯიშის თევზებითა და ზღვის ბინადრებით. ზღვის ვარსკვლავა მათ შორის ყველაზე ლამაზი იყო. ვარსკვლავას მშვენიერება ყველას თვალს ჭრიდა:

-შეხეთ, ნამდვილ ვარსკვლავს ჰგავს... რა ლამაზია, - ამბობდა მედუზა.

-მართლაც, რა მშვენიერია, - კვერს უკრავდა რვაფეხა.

ვარსკვლავაც, ძალიან ამაყი, თავდავინყებით სერავდა ოკეანის სივრცეებს. როცა ქებას მოკრავდა ყურს,

ისეთი სახეს მიიღებდა, თითქოს არ ესმოდა, მაგრამ გული სიამაყით ევსებიდა. მალე სიამაყე ამპარტავნობაში გადა-ეზარდა. გაყოყოჩდა, გაიფხორა და ისე დაცურავდა, თითქოს მისი დარი ოკეანეში სხვა არავინ იყო.

–ჩემი ადგილი აქ არარის, მე ცაში უნდა ვცხოვრობ-დე, ნამდვილ ვარსკვლავებთან. აბა, გინახავთ ვარსკვ-ლავი წყალში დაცურავდეს და თევზებთან მეგობრობ-დეს? – გულისტკივილით ამბობდა-ხოლმე და ყველას გაურბოდა. თავისი ტოლი და სწორი ვეღარავინ იპოვა თვალურვდენელ და უკიდეგანო ოკეანეში და თავს ძალიან მარტოსულად გრძნობდა.

აცურდებოდა-ხოლმე წყლის ზედაპირზე და საათო-ბით იყურებოდა ცაში, ითვლიდა ვარსკვლავებს და მათ შენატროდა:

–რა ბედნიერი ხართ, ცაში რომ ცხოვრობთ. მეც მინ-და, თქვენსავით ავკიაფდე ცის კაბადონზე... - ფიქრობ-და დალონებული და ცრემლებად იღვრებოდა, რომელ-საც, რასაკვირველია, ვერავინ ამჩნევდა. ან როგორ შეამჩნევდნენ - წყალში ცრემლს.

ერთ დღეს ვარსკვლავას ძველი მეგობარი, დელფი-ნი ესტუმრა.

–რაღაც უნდა ვიღონო, ცაში უნდა ავიდე, გავიცნო ჩემი ნათესავები და მათთან ერთად დავსახლდე, – შეს-ჩივლა ვარსკვლავამ დელფინს.

დელფინი მთელს ოკეანეში ყველაზე ჭკვიან თევზად იყო მიჩნეული და სხვა თევზები ხშირად ეკითხებოდნენ რჩევას. ვარსკვლავასაც მისი იმედი ჰქონდა - იქნებ დამ-არიგოს, როგორ მოვიქცეო.

დელფინმა ჩუმად მოისმინა ვარსკვლავას წუხილი, ბოლოს კი გაულიმა და უთხრა:

–აბა, რას ამბობ, ჩემომ მშვენიერო. ცაში რა გესაქმე-ბა, შენი სამშობლო აქა. თანაც ნახე, რა მშვენიერია ოკეანის ფსკერი.

–არა, მე ვარსკვლავი ვარ და ცაში უნდა ვცხოვრობ-დე, ტყუილად ცდილობ ჩემს დარწმუნებას, – ჯიუტობ-და ვარსკვლავა.

–კარგი, რადგან შენსას არ იშლი, მაშინ ერთ რამეს გირჩევ: დილით წყლის ზედაპირზე აცურდი და მზის სხივს სთხოვე, სალამოს თან წაგიყვანოს, – დაარიგა ჭკვიანმა დელფინმა.

ვარსკვლავას ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა, დელფინს დიდი მადლობა გადაუხადა და მეორე დილით წყლის ზედაპირისკენ აცურდა. მზე ის-ის იყო ამოსულიყო და თავისი სხივები ოკეანის წყლის გასათბობად გამოეგზავნა.

–გამარჯობა, სხივო, – თავაზიანად მიესალმა ვარ-სკვლავა სხივს.

–გამარჯობა, მშვენიერო თევზო, – უპასუხა სხივ-მა.

ვარსკვლავას ეწყინა, სხივმა თევზი რომ უნდა, მა-გრამ არ შეიმჩნია, წყენა გულში ჩაიკლა და ისევ თავა-ზიანად განაგრძო:

–ძვირფასო სხივო, მე ვარსკვლავას მეძახიან.

–მშვენიერი სახელია... ისე, მართლაც ვარსკვლავს გავხარ, – ისევ გაიღიმა სხივმა.

–ვარ კიდეც ვარსკვლავი. ამიტომ გადავწყვიტე, იქ ვიცხოვო, სადაც ჩემი ადგილია და სადაც ჩემნაირი ვარ-სკვლავები ცხოვრობენ.

–რაღაც ვერ გავიგე... – გაოცდა მზის სხივი.

–ცაში მინდა ასვლა. სწორედ ამიტომ მოვედი შენთან,

უნდა დამეხმარო. ძალიან გთხოვ, ცაში ამიყვანე. მინდა ნამდვილი ვარსკვლავები გავიცნო და მათთან ერთად ცაზე ავკიაფდე, – სთხოვა მან სხივს.

სხივი დაფიქრდა.

–დარწმუნებული ხარ, რომ სწორად იქცევი? – შეე-კითხა დაეჭვებული.

–რა თქმა უნდა, ჩემი ადგილი იქაა. აბა, აქ ვისთან უნდა ვიმეგობრო - ზღვის გოჭთან ან ლიფსიტებთან ხომ არ დავიწყებ ცურვას? მეღირსეული მეგობრები მჭირდ-ება.

სხივმა არაფერი უპასუხა. დიდხანს, დიდხანს დუმ-და. ბოლოს ამოიოხრა და ვარსკვლავას მიუბრუნდა:

–კეთილი, შეგისირულებ თხოვნას, აგიყვან ცაში, თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ სწორად იქცევი.

გაიხარა ვარსკვლავამ. სხივს მადლობა მოახსენა და მოუთმენლად დაიწყო ლოდინი, როდის მოსალამოვდე-ბოდა და მზე პორიზონტში როდის ჩაესვენებოდა.

მართლაც, როგორც კი მზე კალთის აკრეფა დაიწ-ყო, ვარსკვლავა სხივს ჩაეჭიდა და წამში მასთან ერთად ცაზე აღმოჩნდა. უკვე დამე იყო და ცაზე ვარსკვლავები ანათებდნენ.

–გამარჯობათ, – მიესალმა გახარებული ვარსკვლა-ვა, – რა დიდი და ბრწყინვალე ვარსკვლავები ხართ.

მნათობებმა გაოცებით გადმოხედეს უცნაურ სტუ-მარს.

–შენ ვინ ხარ, – შეეკითხა ერთი დიდი ვარსკვლავი.

–მე თქვენი ბიძაშვილი ვარ. აქამდე ზღვაში ვცხ-ოვრობდი. ახლა გადავწყვიტე, თქვენთან ამოვ-სულიყავი. იმედია მიმიღებთ თქვენს ოჯახში.

–რა უცნაური ხარ. მერე რა, რომ ვარსკვლავის ფორ-მა გაქვს, რადგან ზღვაში დაიბადე და იქ ცხოვრობდი, ესე იგი თევზი ხარ. თევზებს კი ცაში არაფერი ესაქმე-ბათ. ყველამ იქ უნდა იცხოვოს, სადაც მისი ადგილია, თევზებმა - წყალში, ცხოველებმა - ხმელეთზე, ჩიტებ-მა კი უნდა იფრინონ, - უპასუხა ვარსკვლავმა.

–როგორ, მე ხომ სხვა თევზებს არ ვგავარ, მე ყვე-ლაზე ლამაზი ვარ. სახელიც კი თქვენნაირი მაქვს. რა უნდა ვაკეთო ოკეანეში? – განაწყენდა ზღვის ვარსკვ-ლავა და ისევ ატირდა. მსხივილი ცრემლები ჩამოუგორ-და, და მისდა გასაოცრად, ეს ყველამ შენიშნა.

–ნუ გწყინს, შეიმშრალე ცრემლები, – შეებრალა პა-ტარა ვარსკვლავს, – აბა, ცამი რა უნდა აკეთო. ჩვენ მნათობები ვართ და ჩვენ საქმეს ვაკეთებთ, შენ კი უს-აქმდ უნდა ეკიდო. წარმოიდგინე, რა მოსაწყენი ცხ-ოვრება გელის აქ. ამბობენ, ოკეანის ფსკერი ულამაზე-სიაო, იქ წყალმცენარეები ყვავიან და გასაოცარი არ-სებები დაცურავენ. რა სჯობია ასეთ სილამაზეში ცხ-ოვრებას.

–ცაც ლამაზია, – ჯიუტობდა ზღვის ვარსკვლავა.

–რა თქმა უნდა, ცაც ლამაზია, მაგრამ ცაშორიდან კიდევ უფრო ლამაზი ვარ. სახელიც კი თქვენნაირი მაქვს. ჩვენ მნათობები ვართ და ჩვენ საქმეს ვაკეთებთ, შენ კი უს-აქმდ უნდა ეკიდო. წარმოიდგინე, რა მოსაწყენი ცხ-ოვრება გელის აქ. ამბობენ, ოკეანის ფსკერი ულამაზე-სიაო, იქ წყალმცენარეები ყვავიან და გასაოცარი არ-სებები დაცურავენ. რა სჯობია ასეთ სილამაზეში ცხ-ოვრებას.

–ცაც ლამაზია, – ჯიუტობდა ზღვის ვარსკვლავა.

–რა თქმა უნდა, ცაც ლამაზია, მაგრამ ცაშორიდან კიდევ უფრო ლამაზი ვარ. სახელიც კი თქვენნაირი მაქვს. ჩვენ მნათობები ვართ და ჩვენ საქმეს ვაკეთებთ, შენ კი უს-აქმდ უნდა ეკიდო. წარმოიდგინე, რა მოსაწყენი ცხ-ოვრება გელის აქ. ამბობენ, ოკეანის ფსკერი ულამაზე-სიაო, იქ წყალმცენარეები ყვავიან და გასაოცარი არ-სებები დაცურავენ. რა სჯობია ასეთ სილამაზეში ცხ-ოვრებას.

–ზღვის ვარსკვლავა დაფიქრა - მგონი სიმარტინი მეუბნებიანო, – გაიფიქრა. დილით ისევ მზის სხივის გელის გადავიტოვ და დაგვი-ნი მარტინის სიმარტინი უსივანი და დაგვი-ნი მარტინის სიმარტინი.

–ხომ გეუბნებოდი. მაგრამ არა უშავს, კარგია, რომ თვითონ გადაწყვიტე დაბრუნება. თანაც წამდგილი ვარ-სკვლავებიც მოინახულე. ახლა კი მაგრად ჩამეჭიდე და წავედით!!! - დაიძახა მზის სხივმა და ზღვის ვარსკვლა-

— სამართლებრივი კულტურული და სპორტული ცენტრი

ვამშობლიურ ოკეანეში ჩაუშვა.  
გაიხარეს თევზებმა, როცა ვარსკვლავა დაინახეს.  
— ძალიან ვწუხდით, რომ მიგვატოვე!  
— რა კარგია, რომ დაბრუნდი. აქ ხომ ყველას უყვარხა!

— ჩვენოვარსკვლავა, აღარ წახვიდე, არ მიგვატოვო!  
ერთმანეთს არ აცლიდნენ თევზები, ვარსკვლავას  
გარს ეხვეოდნენ და მის დაბრუნებას ზეიმობდნენ. ვარ-

სკვლავას გული აუჩიუდა. უკვე წყალში იყო და ამიტომ  
ისევ არავის შეუმჩნევია, როგორ ჩამოუგორდა თვალე-  
ბზე ცრემლები. თუმცა ამჯერად — სიხარულის ცრემლე-  
ბი. იმის შემდეგ სულ ოკეანეში ცხოვრობდა. უამრავი მე-  
გობარი ჰყებდა და თავს ზღვის ისეთივე ბინადრად მიიჩ-  
ნევდა, როგორც ყველა დანარჩენი. ხანდახან წყლის ზედა-  
პირზეც აცურდებოდა-ხოლმე, ვარსკვლავებს აკვირდე-  
ბოდა და ულიმდა, მერე ისევ ქვევით ეშვებოდა და თავ-  
დავიწყებით სერავდა თვალუწვდენელ ოკეანეს.



## ნერ ძალუაშვილი მზე და მზია

ცხრათვალა მზე თმებს ივარცხნის  
და რაც მოჩანს, ცხადად არის,  
ერთი, ნახეთ, ცხრათვალა მზეს –  
როგორ შვენის ცხრა დალალი.  
მზია გოგოს ელიმება  
დაიკოს სთხოვს: – ჩემო ლალი,  
გეხვეწები დამინანი  
მეც, მზესავით, ცხრა დალალი!  
მე და მზე ვართ სეხნიები, –  
დედამ მითხრა: გეხხარ მზესო,  
ჰოდა, მინდა, რომ მზესავით  
მეც სიკეთე მუდამ ვთესო.

## ბოთო

ახრამუნებს ბოთო სიმინდს,  
ახრამუნებს ვაშლის ქერქსაც...  
ბებო ამბობს: – რისი ლეკვი?  
ამას გოჭი უნდა ერქვას.  
ახრამუნებს – ჭარხლის ფოთოლს,  
კბილი გაჰკრა ფოჩებს ხახვის,  
პაპა ამბობს: – რისი ლეკვი?  
ამას უნდა ერქვას თახვი.  
კომბოსტო ხომ გულით უყვარს, –  
უკვირს: ნუკრის, შუქრის, ელას,  
სტაფილოსაც ახრამუნებს, –  
უნდა ერქვას ყურცქვიტელა.  
კარტოფილი ფუჩის სთხოვა,  
კარგად არჩევს კაკლის ლებანს,  
თხა კიკინებს: – რას შვრებიო?  
ბოთომ: მას ვჭამ, რაც მე მნებავს...  
ქათამა თქვა: სიმინდს მიჭამს,

ყურცქვიტელამ – კომბოსტოსო,  
სანამ მიიტყიპებოდე,  
სჯობს მოეგო, ბოთო, გონსო.

## კალმახი და კალმახა

მდინარეში მოცურავს  
დაწინწელული კალმახი,  
ეს, ხომ, ის კალმახია, –  
წიგნში რომ მყავს ნანახი.  
სოკოც არის „კალმახა“,  
ამბობს გოგო – დიანა,  
მის საკრეფად მამიკომ  
მთა-მთა შემოიარა.

ეკითხება ძამიკი:  
– ნეტავ, რა აქვთ საერთო?  
მეც მსურს მთაში წავიდე, –  
სოკოს კრეფით გავერთო.  
გემრიელი სოკოა,  
ამსგავსებენ კალმახსო;  
სახელი ვინ დაარქვა, –  
ეს, ნამდვილად, არ მახსოვს.

## მეგობრები

გამოვიდა ბაჯბაჯით  
ბუნაგიდან დათუნა,  
გაზაფხული მოსულა, –  
მზეც სიცილით გართულა.  
აბა, ტყევ, აშრიალდი,  
გაიღვიძე, ხის ფესვო,  
რა იქნება, ყურცქვიტავ,  
სტაფილო რომ მივთესოთ?  
დაითესა სტაფილო  
და გამარგლეს ციყვებმაც,  
უკვე, აღარ მოშევათ,  
სუსხი რომ დაიწყება.  
გაიარა ზაფხულმაც,  
შემოდგომაც გზაშია...  
ტყემ მოირგო ყვითელი,  
ყავისფერი – არშია.  
დაიხუნდლა: კაკალი,  
რკო, თხილები და პანტა.  
დათვი, ციყვი, ყურცქვიტა –  
კრეფენ, ქარი რომ ფანტავს.  
დათვი ამბობს: ახლა კი  
ყველაფერი რიგზეა...  
სტუმრად მოდით, მოგართმევთ:  
ნამცხვრებს და ტორტს ნიგვზიანს.



## ბელა ახმალიძის (თარგმანი ვასილ გულეურისა)

### აფხაზური დაკრძალვა

ორი გოგო გეორგინებს ყრიდა გზაზე,

შიგადაშიგ, გამოზოგვით ერთობს,  
და ქალები საუბრობდნენ დაბალ ხმაზე:

- ყვავილები რა ძირია — ღმერთო...

დაძაბული, ძრნოლით, შიშით სავსე ქუჩა  
წინ მიმავალ ორ გოგონას უმზერს,  
რა საზარლად ფერმერთა ალი და თეთრი მოჩანს  
ორი ხელი, დაკრეფილი გულზე.

თან მოჰქონდათ გვირგვინები მძიმე ტვირთად,  
მოხუცებს კი გამყიულები ახლდათ.

ყველაფერი, აგროვებდნენ რასაც მზითვად,  
გვირგვინებად გადაიქცა ახლა.

გაიმართა ქელები და მხოლოდ მაშინ

გამოცოცხლდა, ახმაურდა ხალხი,

ხოლო ქალებს ცრემლი ედგათ ისევ თვალში  
და ლანვებზე დაპფენოდათ თალხი.

მაგრამ სვამდნენ, სვამდნენ ჭიქით, ფინჯნით, თასით —  
მწუხარებას იქარვებდნენ ოდნავ,  
მერე დიდხანს ჭაჭის სუნი იდგა გზაზე,  
სიხალისე ხმებსაც შერეოდა.

ჭირ-ვარამის ჯიბრით უკვე მაღალ ხმაზე

სურდათ სულ სხვა სიმღერები ეთქვათ...

დიდი ხნის წინ, მიაბარეს მიწას ასე  
ერთი გოგო, გიული რომ ერქვა.

დანერწყვილი ხარ როდესაც ასგან,  
როგორც ცრუ-ქრისტე, ლომნით.  
ერთი რომანი, მეორე... თვალებს  
შეაჩვევ ბურუსს და შიშველ ქალებს —  
როგორც აბანოს ორთქლში.

მიზანს მკაფიოდ ამჩნევდა თვალი.  
ორმოცამდე ხარ ცხოვრებით მთვრალი,  
ნაბახუსევი — ორმოცა.

თავი დამძიმდა. ვერაფერს მიხვდი.

ახალსახლობას თითქოსდა იხდი —  
ჩაყუდებული ორმოცა.

უნდა წაავლო ხელი შენს იღბალს,  
ვიდრე გადახვალ ორმოცის მიღმა

ბაზრობაზე ვართ, რომ ვთქვათ,  
ორმოცისა კი ბაზრობას ვტოვებთ  
ფეხით მივდივართ, ცარიელ ტომრით.

გაგვეურდეს — ვტირით, მოვთქვამთ.

კაცი ორმოცის გახდება ოდესა,  
თავს რჩევა მისცეს, უნდა ესმოდეს:  
შორს ბაზრობისგან ამ დროს.

არ მოატყუებ — ვერ ყიდი, ხვდები.

მოატყუებ და — ვაჭარი ხდება.

ვერ ცვლი გაყიდვის კანონს.

საზიზლრობაა, რომ იწყებ ხარხარს,  
აღვირით ხელში, ჩარჩთან რომ დგახარ,  
გაუმაძლართან, ძუნწიან.

ორგვარი არის სირცხვილის გრძნობა:

როცა შენ თავად ვაჭრობ და როცა  
შენით ვაჭრობენ ურცხვად.

კაცი ორმოცის გახდება ოდესა,  
ცხოვრებას რუხი ფერები მოსავს,  
ნუ იღუშები ასე —

სისვი ცხენი ხარ ტანზე ხალებით,  
გასაყიდად ნუ მიეკარები

ნურც ერთ ხალს მაგ შენს ტყავზე.

კაცი ორმოცის გახდება ოდესა,  
თუკი წათელი არ შერეოდეს  
ბაზრობის ფერთა გამას.

წინ გაქვს ყოველი — ჯერ მოიცადე.

კომედიაში ბედი ნუ სცადე

და ნურც ჩაგითრევს დრამა!

კაცი ორმოცის გახდება ოდესა,

ან დაცემაა, ან ყვავილობდეს —

ამას კაცი წყვეტს თვითონ.

სიკვდილს თავისი მოუვა ვადა,

რომ გაიხარო, სიკვდილის გარდა,

ხელს რა შეგიშლის ვითომ.



## ალექსანდრე

## აოჩებაოცი

(თარგმანი ვასილ გულეურისა)

### ბალადა გამოლილ ვაგონზე

- მტკიცნეულია, კარგო, როდესაც,  
მიწას ფესვები ღრმად ჩაეზრდება, -  
მტკიცნეულია, კარგო, როდესაც  
ხერხის ქვეშ ორად იპობი თავად.



## ევგენი ევტუხენი

(თარგმანი ვასილ გულეურისა)

### კაზი ორმოწის გახდება ოდესა

კაცი ორმოცის გახდება ოდესა,

არ საჭიროებს შეღავათს ოდესა

საკუთარ თავთან, ღმერთთან.

ცრემლები ყველა, ისე ვით ერთი,

მეღნისა ამაოდ დაღვრილი წვეთი

მისი გვერდიდან წვეთავს.

კაცი ორმოცის გახდება ოდესა,

დროა აკრძალვა უწესდებოდეს

სიამოვნების წყურვილს:

რადგანაც, ხორცი თუ არა სძლიერ,

ნელ-ნელა ხრავს და ბობოქრობს ძლიერ —

გალევა ძალუძს სულის.

სხეულიც, უნდა ითქვას, რომ, ბასტა,

გულის ჭრილობა არ შეხორცდება,  
დაიღვენთება წმინდა ცრემლებად  
გულის ჭრილობა არ შეხორცდება, —  
დაიღვენთება მდუღარე ლავად.  
— სანამ ვიცოცხლებ, შენთან ვიქნები, —  
სული და სისხლი არ დაშორდება, —  
სანამ ვიცოცხლებ, შენთან ვიქნები —  
ტრფობას ხომ ბინა სიკვდილთან უძეს.  
თან წაიყოლებ ყველგან ფიქრებით —  
თან წაიყოლებ, კარგო, ოცნებად, —  
თან წაიყოლებ ყველგან ფიქრებით  
მშობლიურ მინას, საყვარელ ფუძეს.  
- მაგრამ თუ თავს ვერ დავაღწევ ოდენ  
განუურნებელ სიბრალულს მწვავეს,  
მაგრამ თუ თავს ვერ დავაღწევ ოდენ  
სიცივესა და სიბრელეს უკუნს?  
- განშორებას ხომ შეხვედრა მოსდევს,  
არ დამივიწყო, ძვირფასო, გწამდეს,  
განმორებას ხომ შეხვედრა მოსდევს,  
მე და შენ — ერთად ვპრუნდებით უკან.  
- მაგრამ თუ გავქრი უკვალოდ სადმე —  
როგორც პატარა სხივი სინათლის, —  
მაგრამ თუ გავქრი უკვალოდ სადმე  
ვარსკვლავცვენისას, კვალდაკვალ მყისვე?  
- შენთვის ვილოცებ მუდამდე აქ მე  
რომ არ დაგებნეს გზები მინამდე,  
შენთვის ვილოცებ მუდამდე აქ მე  
უვნებელი რომ დაბრუნდე ისევ.  
გაბოლილ ვაგონს მიჰყავდა რჩევით,  
უსახლკარო და მორჩილი ბედის,  
გაბოლილ ვაგონს მიჰყავდა რჩევით,  
ზოგჯერ ტიროდა, ნახევრად თვლემდა,  
როდესაც დამრეც ფერდობზე ზევით  
შემადგენლობამ იცვალა გვერდი,  
როდესაც დამრეც ფერდობზე ზევით  
რელსებს ხმაურით მოსცილდნენ თვლები.  
ზეციურ ძალამ დასძალა მინა,  
ერთი ხელმოსმით ყოველი მოსრა,  
ზეციურ ძალამ დასძალა მინა  
და მინიერი ასტყორცნა ხელად.  
და ვეღარავის ვერაფრით იცავს  
დაპირებული მშვიდობით მოსვლა,  
და ვეღარავის ვერაფრით იცავს  
შორით ლოდინით განვდილი ხელი.  
ვინც გულით გიყვართ, წუ დაშორდებით,  
ვინც გულით გიყვართ, წუ დაშორდებით,  
ვინც გულით გიყვართ, წუ დაშორდებით,  
შეესისხლხორცეთ დღისით და ლამით, —  
თითქოს ბოლოჯერ ემშვიდობებით,  
თითქოს ბოლოჯერ ემშვიდობებით,  
თითქოს ბოლოჯერ ემშვიდობებით,  
როდესაც უნდა წახვიდეთ წამით!


## 3ლალიმარ

### 30სოცები

(თარგმანი ირმა მალაციძისა)

## სიზნელე

წუ ჩქარობ, იქ ხომ უკუნეთია,  
შენამულ კედლად ჩნდება დაისი,  
წვიმა ირიბი, შემხვედრი ქარი  
და იკლაკება გზები თავისით.  
უცხო სიტყვები,  
უაზრო ლოცვა,  
და შეხვედრები უაზრო, ფუჭი,  
იქ გადაინვა, გახმა ბალახი  
და კვალი ქრება წყვდიადში ურჩი.  
იქ სიმტკიცეზე ამონმებს ომი,  
დაისი, ქარი, მოქცევა ტალღის,  
გულს აერია რითმი და ძერა,  
დღედაღამ შრომით და ფეთქვით დალლილს.  
უცხო ბგერები, ფერებიც — უცხო,  
სხვა არჩევანი, ვხედავ, არა მაქვს,  
შეხედე, მწუხრით მეც ვიფერები,  
დარდი გულიდან სულში გადამაქვს.



## სამთო ლირიკული

უკვე აღარ მაკანკალებს -  
დროა ზევით,  
შმში უფსკრულს ჩაიჩეხა  
სამუდამოდ,  
ვიცი, მწვერვალს ვერ დაიპყრობ  
მხოლოდ მზერით,  
და მივცოცავ, ფეხი სხლტება,  
მაინც ვწვალობ.  
უცნობ ზღვარის გადალახვას  
მეც მანდობენ,  
გაუვალი გზიდან ერთს ხომ  
მეც გავთელავ,  
იმ გმირების სახელები  
თოვლს ადნობენ,  
ვინც სიკვდილმა დაუნდობლად  
აქ დათელა.  
აქ ყინულის ბრწყინვალება  
ცისფრად ელავს,  
და ანათებს, აცისკროვნებს  
მაღალ ფერდობს,  
აქ ვიღაცის ნაკველევის  
საიდუმლოს  
მარმარილო უფრთხილდება,  
ვით საბედოს.  
დე! გავიდეს საუკუნე,  
მეხსომება -  
მაშინ მოვკალ ჩემში ეჭვი  
და კამათი,  
იმ დღეს წყალმა ჩამჩურჩულა  
- „წარმატება...“  
რა დღე იყო?  
რა თქმა უნდა,  
ოთხშაბათი!



## აკაკი ნერეთელი კახეთში

**ა**ელს დიდი დიდი ქართველი პოეტის, აკაკი ნერეთელის დაბადების 175 და გარდაცვალების 100 წლისთავია. იუნესკოს გადაწყვეტილებით 2015 წელი აკაკის სიუბილეონ წლადაა გამოცხადებული.

„ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ჰპადებს ძლიერ სიყვარულს კაცობრიობისაო“ – ამბობდა იაკობ გოგებაშვილი და მართლაც „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“ – ამბობს აკაკი და იგი ამით ამბობს, რომ ჩვენთვის ხატია ჩვენი სამშობლო, სხვა ქვეყნების გვერდით. ეს დიდი ქართული ლიტერატურის ტრადიციაა. რომელთაც უყვართ რა, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი სამშობლო – უყვართ მთელი კაცობრიობა.

დიდი ქართველი პოეტი ოთხჯერ ყოფილა კახეთში. პირველად 1882 წელს აგვისტო-სექტემბერში გომბორზე გამავალი გზით ქალაქ თელავში. 1882 წლის 17 აგვისტოს, მის საპატივსაცემოდ გამართულ შეხვედრაზე ასეთი სიტყვებით მიმართა კახელ ხალხს: „სწორედ აღტაცებაში ვარ კახეთისაგან, და მხოლოდ ეს კი მებენს გულში, რომ ეს მშვენიერი მხარე მისთანა მდგომარეობაში ვერ არის, როგორც ეკადრება. ამას მე არავის სასაყედუროდ არ ვამბობ! ეს მოიტანა აუცილებელ ისტორიულმა მიზეზბმა. უხსოვარ დროდგანვე ამ მშვენიერ ქვეყანას ურიცხვი მტრები ყოვლის კუთხით მონავრად ეხვეოდნენ. ამის გამო ჩვენი წინაპრების გრძნობა-გონება იმაზედ უნდა ყოფილიყო მიქცეული, რომ მტერი არ შემოეშვათ და ეს კიდევაც საკვირველად აღასრულეს... გაუკეთეს საქართველოს სიმაგრეები და საკუთარი ძელების გალავანი შემოავლეს! ბევრის გან მესმის აქ კახეთის მიწის ქება – ისე მდიდარია, რომ რამოდენიც უნდა გადააბრუნო არ იღლებაო – მე ეს არ მიკვირს. ეს ყველაგან ასეა ჩვენში, ჩვენს სამშობლოში მისთანა ადგილზედ ფეხს ვერ დადგამთ, რომ ჩვენის წინაპრების ძლებით არ იყოს დაპირისერებული და მათის სისხლით დამბალი; – ისე ლუკმა პურს ვერ ჩავიდეთ

პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგვყვეს და წვეთ ლვინოს ვერ ჩავყლაპავთ ისე, რომ შიგ ჩვენი თავ-განირული გმირების სისხლიც არ ერიოს! ეს ლუკმა და წვეთი არიან ჩვენი „წმინდა წმინდათა“, ზიარება ჩვენთვის, რომელიც სიწმინდითა და სასოებით უნდა მივიღოთ ხოლმე და გვაგონებდეს წონაპართ და და და ჩატივისცემა, რომელსაც მე ვხედავ და ის სიტყვები, რომელიც მესმის თქვენგან, ამტკიცებენ ერთის მხრით თქვენს სტუმართ-მოყვარეობას და მადლიერ გულს და მეორით იმას, რომ თქვენ გენატრებათ გყავდეთ ხამდვილი მამულიშვილები. მხოლოდ ერთ რამეს კი ვერ შეგარჩენთ: ბრძანებთ: „ლერთმა ქნას შენ და შენისთანები მომავალშიც ბევრი გვყოლოდესო“, ამის წინააღმდეგ ვალდებული ვარ მოგახსენოთ, რომ ღმერთმა ნუ გაართლოს ეგ თქვენი თხოვნა! – ეგ ხომ წყევლა იქნება! რასაც დღეს ვჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არის ხოლმე. მომავალმა დრომ უნდა მოგვცეს ნამდვილი მამულიშვილები ყოვლის უნაკლოდ. ძველადაც, საზოგადო ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინაპრებითავისის თავ-განირული მამულის შვილობით ქვეყანას აკვირვებდნენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან და მომავალშიც, იმედია, თქვენი შვილები, თავის განთქმულ წინაპრებს არ ჩამორჩებიან. ჩვენს დროსაც მეთაური და მოწინავე იყო თქვენივე შვილი, თავადი იღლა ჭავჭავაძე, რომელსაც დარწმუნებული ვარ, ყოველი თქვენგანი სიამოვნებითა და ამპარტვნებით იგონებს და რომლის სადლერგძელოსაც ახლა მე გეახლებით. ჩვენის ქვეყნის წარსულ ცხოვრებაში უპირველესი ადგილი უჭირავთ საზოგადოდ დედებს და განსაკუთრებით კახელ ქალებს, თვით უპირველესმა ჩვენთვის მოღვანე დედამ, წმინდა ნინომ, კახელი ქალები გამოირჩია ტოლ-ამხანაგებად, აქ გადმოესახლა და აქაურ დედებს ძეგლად და სახსოვრად დაუტოვა თავისი საფლავი. იმედია, რომ ანინდელი დედებიც, ძველი დედების მიბაძვით, შეუდგებიან ქვეყნის სამსახურს შვილების სამაგალითო ზრდას! ლერთმა მოგასწროთ იმ დროს, რომ თქვენი შვილები ქვეყნის სასახელონი გამოსულიყვნენ და მითი თქვენი მშვიბლობაც ხალხთაგან კურთხეულ იყოს. მაშინ, სწორედ მაშინ, გაიშლის გულს საბრალო ჩვენი, დღეს დაჯავრიანებული, ქვეყანა და ყოვლის კუთხით გაისმის „ვარხალალო“ აღტაცებულის სიტყვებით „ისა სჯობს მამულისათვის, შვილი რომ სჯობდეს მამასაო...“

ეს გულთბილი სიტყვები გამოწვეული იყო კახელების თბილი შეხვედრებით. თელაველი მასპინძლები ცხენებზე ამხედრებულები შუამთის მონასტრის მიდამოებში შეეგებნენ დვირფას სტუმარს. აკაკის მოუნადინებია და აქვე მოუხილავს ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავი, რომელიც ახალი შუამთის ტაძარში მდებარეობს. პოეტმა ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებო ლექსი დაწერა: „თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ“ (1882 წელი აგვისტოს 14 — შუამთა). თელავის საზოგადოებამ საზემომ ვითარებაში მიიღო აკაკი ნერეთელი, მასპინძლებს არ დაუზოგავთ არაფერი, რათა გამოეხატათ უსაზღვრო სიყვარული და გულითადი პატივისცემა სანატრელი სტუმრისადმი. იმ დროის პროგრესულმა პრესამ ასე შეაფასა აკაკის კახელში ყოფნა: „ნეტარია კაცი, როდესაც მას თავისი უზაკ-ვო ნიჭითა და შრომით დაუმსახურებია ხალხის ამგვარი

## მეცნიერებები

სიყვარული და ყურადღება“.

ილია ჭავჭავაძე ამ ფაქტთან დაკავშირებით წერდა: „ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენშიც თითქოს ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისთვის გარჯილი კაცისა, საჯაროდ გადახდა მადლისა მისა – ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდვია, სიტყვით თუ საქმით შესწევია თავის მამულსა და თანამემამულესა. ამის მაგალითი ბატონი აკაკი წერეთელის მოგზაურობაა ამას წინათ გორში და ამ ბოლო უამს კახეთში.“

აკაკის პატივსაცემად გამართულ ერთ-ერთ ნადიმს ცნობილი ჰედაგოგი და უურნალისტი ივანე როსტომაშვილი ხემძღვანელობდა, რომელმაც გულწრფელი მადლობა მოახსენა საპატიო სტუმარს თელავში მობრძანებისათვის და მოკლედ დაახსასიათა მგოსნის დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე. სტუმარმა საპატუხო სიტყვა წარმოთქვა, რომელიც გამსჭვალულია ერუვნული ინტერესების შეგრძნებით. ამ სიტყვას მსმენელთა მხრიდან ფრიად ცხოველი გრძნობები გამოუწვევია. ილია ჭავჭავაძეს ამ სიტყვის წაკითხვის შემდეგ ასე შეუფასებია იგი: „ამაზე მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვაქვს ქართულ ენაზე. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ, არ იცით, რა რას დაამჯობიროთ: სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, – ისე შეზავებულია ეს, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან.“

პოეტი ამავე გზით თელავში მეორედ 1897 წლის სექტემბერში ჩამოსულა. ამ მოგზაურობის მთავარი მიზანი იყო „ალავერდობის“ დღესასწაულზე დასწრება. როგორც ცნობილია, მოთხოვობა „ბაში-აჩუკი“ 1896 წელს გამოქვეყნდა. ჩანს, რომ აკაკი ლიტერატურელი წყაროებით იცნობდა ალავერდის ტაძარს, ხოლო „ალავერდობას“ 1897 წელს უშუალოდ დაესწრო. მან ნადიმზე თელავში 1897 წელს თქვა: „კახეთი ჩვენთვის ახალ ბეთლემად დაუნიშნავს განგებასო.“ აკაკი წერეთელმა კახელების დახსასიათებას მჭიდროდ დაუკავშირა ილია ჭავჭავაძის დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე:

„გვალვის დროს ერთი პატარა ღრუბლის ნაგლეჯიც, სადმე ცის კიდეში გამოჩენილი, ქვეყანას ახარებს. შესჩერდებიან მუშები და ამბობენ: ღმერთო, შენს მადლს: კარგი ნიშანია, იმ პატარა ნაგლეჯს სხვებიც შეუერთდებიან, ცას დაფარავენ და მოგვევლინება წვიმა, ქვეყნის გამანედლებელი! საკვირველია, მესამოცე წლებში, მამათა სქესის ახლი თაობა გამოღვიძებას აპირებდა, ის პატარა ცისარტყელა კახეთში გამოჩნდა, და ის ღრუბლის ნაგლეჯებიც აქეთ დავინახე... რასაკვირველია, მიხვდებით, რომ აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ბატონი ილია ჭავჭავაძე!“

აკაკი წერეთელი თელავში მესამედ 1898 წელს ჩამოსულა. დასწრებია „ალავერდობას“, მას არ ჰქონია საზოგადოებასთან შეხვედრები; უცხო სტუმარი ახლდა თურმე და კერძო მასპინძელი ჰყოლიათ.

აკაკიმ კახეთში მეოთხედ 1911 წლის ივლისში იმოგზაურა. ძველი სტილით ივლისის ოცში თელაველებს დაწესებული ჰქონიათ „ილიაობა“. პოეტი საგანგებოდ ჩამოვიდა „ილიაობის“ ცერემონიალზე დასასწრებად. თელაველებმა „ილიაობის“ ჩატარების მეორე დღეს გამართეს აკაკის სალამო. ადგილობრივმა დრამატულმა დასმა წარმოადგინა „თამარ ცბიერი“, დასასრულ მგოსანი გამოსულა სცენაზე, წარმოუთქვამს ლექსი „განთიადი“. აკაკისთან გამოსათხოვარი ნადიმი გამართულა რვაასწლოვანი ჭადრის ქვეშ: იღვრებოდა კახური სიმღერების ჰანგები, ერთ გუნდს ხელმძღვანელობდა ნიჭიერი კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი, მეორე გუნდში გაისმოდა ჯადოქარი „დედას ლევანას“ ხმა, ხოლო მესამე გუნდში ართანელი ყარალაშვილის „მრავალუამიერი“; აკაკი იმდენად მოიხიბლა მასპინძლობის მრავალფეროვნებით და ამ სიმღერებით, ცრემლს ვეღარ იკავებდა თურმე!.. აკაკიმ თავისი სიტყვა სადღეგრძელო ასე დასრულა: „ის ნიადაგი, ის ხალხი, რომელმაც წარმოშვა: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, დიდი მოურავი, მთაწმინდელები, პეტრიწი, რუსთველი და სხ-



აკაკი წერეთელი სტუმრად თელავში

ვანი... მსოფლიო გმირები... კიდევ წარმოშობს იმისთანა გმირებს, რომელიც თქვენ გეჭირვებათ და მოელით... მე ვერ მოვესწრები იმ მომავალ გმირის მირქმას, მაგრამ გულში იმედებით კი ჩავალ საფლავში...“

აკაკის შეხვედრები მოუწყეს კისისხევში, წინანდალში, ვაჩინაძიანში, ქისტაურში.

ამის შემდეგ ყვარელმა მიინვია ძვირფასი სტუმარი (1911წ.). აკაკის თან ახლდნენ შალვა დადიანი, ელო ან-



აკაკი წერეთელი ყვარელში, იური ჭავჭავაძის ოჯახში, 1911 წლის 31 ივლისს, აკაკის წინ შალვა დადიანი

დრონიკაშვილი, ნიკიფორე მამინაიშვილი და ივანე პაატაშვილი.

კუდიგორის მიდამოებში შემოეგებნენ მასპინძლები. ოცდახუთმა ცხენოსანმა წრეში მოაქცია პოეტის ეტლი და ასე შეაბრძანეს ილიას მშობლიურ სოფელში.

თელავიდან აკაკი წერეთელმა ორჯერ იმოგზაურა სიღნაღის გავლით. პირველად 1882 წელს. მიუხედავად იმისა, რომ პოეტის ეჩქარებოდა, სიღნაღელებმა მაინც არ გაუშვეს იგი. მარშალ ვაჩინაძის ოჯახშიც მიუწვევია აკაკი.

მეორედ სიღნაღის გავლით წასულა 1897 წლის მოგზაურობის დროს. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები უფრო დაწვრილებით არის აღნერილი სტატიაში „კახეთში მოგზაურობა“.

აკაკი წერეთელი სიღნაღიდან საგანგებოდ მისულა ბოდბის მონასტერში. პოეტი კმაყოფილი დარჩენილა, როცა უნახავს, რომ მონასტრის იღუმენიას ზრუნვის შედეგად ყველაფერი წესრიგში ყოფილა, მაგრამ მაინც შეუნიშნავს არსებითი წაკლი, რომ აქ ქართულ ენაზე ღვთისმსახურება აღარ წარმოებდა: „იმ ტაარში სადაც ქართველების სიწმინდე და საუნჯე – წმინდა წინოს გვამია დაკრძალული და სადაც თხუთმეტი საუკუნის გან-

მავლობაში ღვთისადმი ღოცვა-ვედრება გაისმოდა, დღეს აღარც ერთი ქართველი ფეხს აღარ დგამს და ამის მიზეზად იმას ამბობენ, რომ არა გვესმისო!“

პოეტს საყვედურით მიუმართავს წინამდლვრისათვის, მაგრამ მას თავიუმართლებია: „მონაზონები სულ რუსეთიდან მყავს ჩამოყვანილი, ქართული არ იციანო!“

აკაკის რჩევა მიუცია, რომ წმინდა ნინოს ხსოვნის დღეებში და განსაკუთრებით დიდ დღესასწაულებში მაინც აწირვინეთ ქართულად და ზალხს თანდათაში იდაგოთო.

მგოსანმა გამოთქვა ფრიად გულწრფელი კმაყოფილება, როდესაც შეიტყო, რომ სიღნაღში გამოდიოდა გაზეთი „ხმა კახეთისა“ (რედაქტორ-გამომცემელი კ. ტყავაძე). შემდეგში, ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა აკაკის ლექსი „კახელებს“.

აკაკის კახეთში 1882, 1897 და 1911 წლების მოგზაურობის დროს საზოგადოებასთან შეხვედრებისას წარმოუთქამს სიტყვები, რომლებიც წარმოადგენენ მჭერმეტყველების უბადლო ნიმუშებს; გარდა ამისა, აკაკიმ მეორე მოგზაურობის შემდეგ, ცალკე სტატიად გამოაქვეყნა „კახეთში მოგზაურობა“, რომელშიც გულმართლად აღნერილია კახელ მშრომელთა მაშინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი სურათები, გადმოცემულია ამ დუხტირი მდგომარეობით გამოწვეული გულისტკვივილი და აღშეფოთება.


აკაკი წერეთელმა თავად ასე შეაფასა კახეთში თავისი მოგზაურობანი: „სწორედ აღტაცებაში ვარ კახეთისა-



აკაკი წერეთელი, ეკატერინე ჯანდიერი-მაჭავარიანისა, სალომე ჯანდიერი, სოფ. ვაჩინაძიანი (თელავის მაზრა), 1911 წლის ივლისი

გან, და მხოლოდ ეს კი მკბენს გულში, რომ ეს მშვენიერი მხარე მისთანა მდგომარეობაში ვერ არის, როგორიც ეკადრება“.

**დაამუშავა შეთევან მჟღალიშვილება  
დედოფლისწყაროს ხალხთა  
მეგობრობის მუზეუმის დირექტორი**



## ერთობი ყოჩიაშვილი

### მოგონერები ელენე მაჩარელზე

დღიდი ილია ბრძანებდა: „წარსული მცვიდრი საფუძველია აწყმოსი, როგორც აწმყო მომავლისა.“ მართლაც, არავის აქვს უფლება უგულებელყოს წარსული, გააფერმრკთალოს მისი მნიშვნელობა, ზეპირსიტყვიერებაში თუ წერილობით მასალებში მრავლადაა ისტორიული ფაქტები და მოვლენები... და ასე, მარცვალმარცვალ იკინძებოდა ერის საუნჯე, – „ქართველი ერის ისტორია.“

ბედნიერება მქონდა, ჩემი ცხოვრების მანძილზე, შეეხვედროდი საქვეყნოდ ცნობილ ადამიანებს. თავს უფლებას მივცემ და რამოდენიმე მაგალითს მოვიყვან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისას ჩემი სადიპლომო შრომის ხელმძღვანელი გახლდათ აკადემიკოსი ევგენი ხარაძე. მან მე, როგორც წარჩინებული სტუდენტი, ამომარჩია. იმ პერიოდში იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომის კათედრის გამგე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ სამეცნიერო მუშაობის დასაწყებად აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში მიმიწვია. პირველი, რაც თვალში მომხვდა, სამეცნიერო ბიბლიოთეკა იყო. ობსერვატორიის ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდის მიხედვით სიდიდით მესამე იყო საქართველოს ეროვნული(საჯარო) ბიბლიოთეკისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შემდეგ. ბუნებრივია, მისი ხელმძღვანელი უდავოდ განათლებული პიროვნება უნდა ყოფილიყო. ამ საქმეს შესანიშნავად უძღვებოდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, უურნალისტის, ფინანსისტისა და შექსპირის ტრაგედიების ბრძყინვალე მთარგმნელის ივანე მაჩაბლის ქალიშვილი ელენე

მაჩაბელი-ჩერქეზიშვილისა. იგი ფლობდა გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს. სახუმარო საქმე როდი იყო, ბიბლიოთეკაში 70 დასახელების უურნალ-გაზეთები მოდიოდა, მას დამუშავება და გაანალიზება სჭირდებოდა.

ქალბატონ ელენეს შემოკრებილი ჰყავდა თანამშრომლები და საინტერესო ღონისძიებებსა და საუბრებს ატარებდა. ბიბლიოთეკაში იყო მსჯელობა მეცნიერებაზე, ხელოვნებაზე, მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე...

მაჩაბლების ოჯახი ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა თავშეყრის ადგილი იყო. ივანე მაჩაბელს ღირსეული მეუღლე ჰყავდა – ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილი. იგი ქველმოქმედი ქალი იყო. მან საკუთარი სახსრებით მიღანის საოპერო თეატრ „ლასკალაში“ სტაჟირებაზე მიავლინა ვანო სარაჯიშვილი. ქალბატონი ელენე იგონებდა, ვანო ჩვენთან ხშირად მოდიოდა და სიმღერით გვატკბობდა. მანვე მნიშვნელოვანი ცნობები მოგვაწოდა მათ



ოჯახთან აკაკი წერეთლის ურთიერთობის შესახებ. როგორც ცნობილია, აკაკი საჯარო სამსახურში არ მუშაობდა და ხშირად სტუდენტის მაჩაბლებს თბილისა და თამარაშენში(ეს სოფელი 2008 წელს რუსეთმა მი-

წასთან გაასწორა). ქორის დონეზე ვრცელდებოდა ხმა, თითქოს აკაკის ტასო მოსწონდა. ეჭვს აძლიერებდა აკაკის მიერ ტასოსადმი მიძღვნილი ლექსები (ქართული პოეზია, ტ. 8). ივანე მაჩაბლის

გაუჩინარების შემდეგ ხმა დაირხა, თითქოს ამის შესახებ აკაკიმ რაღაც იცოდა. თვითონ აკაკი ძლიერ განიცდიდა მის დაკარგვას. როგორც ქაბლატონმა ელენემ თქვა ჩემთან საუბარში, აკაკიმ საქვეყნოდ ცნობილი ლექსი „სულიკო“ მაჩაბლის დაკარგვას მიუძღვნა.

დეიდა ელენესგან (როგორც მას თანამშრომლები ვუწოდებდით) ბევრი რამ საინტერესო ცნობები მსმენია ტიციანის მუზის – თამუნია წერეთლის შესახებ. ტიციანს რამდენიმე მუზა ჰყავდა. რაც შეეხება პოეტის ყველაზე მნიშვნელოვან მუზას, თამუნა წერეთელს, ის ბეჭან წერეთლის ქალიშვილი იყო – აკაკის ნათლული და მისსავე კალთაში გაზრდილი. თამუნიას დედა ნიცა ბაგრატიონ-დავითაშვილი, ერეკლე მეფის შთამომავალი იყო, ხოლო ნიცას და, ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილი, ქალბატონი ელენეს დედა, ივანე მაჩაბლის მეუღლე გახლდათ.

თამუნია რუსთაველზე მინერალური წყლების მაღაზიაში მოლარედ მუშაობდა. იგი შემთხვევით ტიციანმა ნახა და გადაირია. ბორჯომში დასასვენებლად მყოფ მეუღლეს – ნინო მაყაშვილს დაურეკა თბილისში დაბრუნებულიყო თამუნიას საჩვენებლად. ის მაღვე ბორჯომს გაამგზავრა. ბორჯომიდან დაბრუნებულ ნინო მაყაშვილს თამუნიასადმი მიძღვნილი არაჩეულებრივი ლექსები დახვდა. თურმე ტიციანს მეგობრები ურჩევდნენ, დაემალა ნინოსთვის ეს რვეული – არ ენყინოს. ნინო კი ამ ლექსების გამომზეურების მომხრე აღმოჩნდა.

თამუნიას ბევრი ეტროდა, მაგრამ თვითონ ძალიან მორიდებული იყო. ქალბატონ ელენეს თქმით, გრიშაშვილი ამბობდა, როცა თამუნია რუსთაველზე ჩაივლიდა, ხალხი ჩერდებოდა და პირჯვარს იწერდაო... კონსტანტინე გამსახურდიამ მას თავისი წიგნი „დიონისეს ლიმილი“ მიართვა წარწერით: „დველ საქართველოს ცოცხალ ფრესკას, თამუნია წერეთელს.“ თამუნიას საკუთარი წიგნი გრიგოლ რობაქიძემაც უძღვნა.

თამუნია ცოლად გაჰყვა ცნობილ პიროვნებას, სატირისა და იუმორის თეატრის დამაარსებელს, ნიკოლოზ კახიძეს. მშობიარობიდან 15 დღის შემდეგ თამუნიას ჯან-

მრთელობის მდგომარეობა გაურთულდა და ექიმები იძულებული გახდნენ მისთვის ფეხი მოეკვეთათ. ტიციანზე ამ ფაქტმა საოცრად იმოქმედა. საავადმყოფოდან ელენა



ელენე მაჩაბელი აბასთუმნის ობსერვატორიის ბიბლიოთეკაში

მაჩაბელმა (დეიდაშვილმა) თავის სახლში წაიყვანა. სწორედ იქ ინახულა ტიციანმა თავისი მუზა. ეს იყო მათი პირველი პირისპირ შეხვედრა. ამ შეხვედრიდან გამოყოლილი განწყობით დაწერა პოეტმა ლექსი „ანანურთან.“ თავს უფლებას ვაძლევ მოვიყვანო ამ ლექსის ორიოდე სტროფი:

### ანანურთან

#### თამუნია წერეთელს

„არც კი გიცნობდი, არც კი მენახე,

ისე გხატავდი თამარს ვრუბელი.

ხარ დანგრეული შენ „მოდი ნახე“,

ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი.

ისე ნაზია ეს მოგონება,

როგორც დემონის ფრთების შეხება,

სჯობს გაიხარონ სხვა გოგონებმა,

მოიბან შენი ირმის ფეხები“...

ბედნიერი ვარ, რომ ისეთი ადამიანის მზრუნველობისა და მფარველობის ქვეშ ვიზრდებოდი და ვმსახურობდი, როგორიც საყვარელი ქალბატონი ელენე მაჩაბელი იყო.

სხვაც ბევრი რამ მაქვს ნანახი და განცდილი, მაგრამ ერთ წერილში ყველაფერს ვერ დავწერ.

„ქორწინებულები“ – შერდეფა  
მარიამ ოჩიაური-გოგოჭურისა



დედოფლისნუაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეთნოგრაფიისა და მხარეთმცოდნეობის შემოქმედებითი წრის „ხორწინაბუჯი“ წევრებმა: **ნინო მახარაშვილმა, მარიამ ლაპაიაშვილმა და მარიამ ფიროსმანაშვილმა** წრის ხელმძღვანელ – **ნინო მეხრიშვილთან** ერთად მოვინაბულეთ და ჩავნერეთ ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი უხუცესი ქალბატონი - 93 წლის მარიამ ოჩიაური - გოგოჭურისა.

ბერდედა მარიამს თვალიც უჭრიდა, სმენაც კარგი ჰქონდა და გონებაც მოსდევდა. ისევ ქსოვდა და ქარგავდა, ბოლო დრომდე ძროხასაც წველიდა და გემრიელი ყველიც ამოყავდა, მაგრამ მოულოდნელად მიღებული ფიზიკური ტრამვის გამო აქტიურ საქმიანობას ვეღლარ ეწეოდა, რაზეც ძალიან წუხდა; დარდის გაქარვებას კი კვლავაც ლექს-კაფიებით ცდილობდა.

ჩვენი სტუმრობის მიზეზიც ტკბილმოუბარი ბერდედას მოყვლილი მთის ამბების, არაკების, ლეგენდა - თქმულებების, ლექს-კაფიებისა და ხმით ნატირლების ჩანერა იყო. მარიამ ბებოს კარგად ახსოვდა თავისი ბიძის(დედის ძმის) ბენინა წიკლაურის და ცნობილი პოეტის გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსები. (რამოდენიმე მათგანი ჩვენც ჩავინერეთ მარიამ ბებოს გამოთქმულ ლექს-კაფიებთან ერთად).

დღეს ჩვენ ამ ნაშრომს იღნავი სახეცვლილებით წარმოგიდენთ. 2015 წლის 15 თებერვალს 94 წლის ასაკში, მარიამ ბებო გარდაიცვალა და მასზე, სამწუხაროდ, წარ-

სულ დროში მოგვიწევს საუბარი, რადგან „ცოცხალი საუნჯე“ ლეგენდად იქცა.

ძალიან გრძელი და საინტერესო ცხოვრება გამოიარა მარიამ ბებომ. გაგაცნობთ მისი ბიოგრაფიიდან რამდენიმე საინტერესო ეპიზოდს.

\* \* \*

არხოტში დაიბადა 1921 წელს. ბავშვობა სოფელ ახილაში გაატარა. სოფელში სკოლა იყო ოთხსწლები, მაგრამ ქალებს არ ასწავლიდნენ: „ქალს სწავლა რად უნდ, გაკახბდებისო“. ქალის საქმე ქსოვა, ბეჭვა და საქონლის მოვლააო და ისიც სხვა „ქალებივით“ მწყემსავდა საქონელს და მაღვით ნასწავლ ასოებს ტყვიის ცარიელი და გაჭეჭყილ – წაწვეტებული მასრით ქვებზე კანრავდა. თუმცა, შემდეგ, 1927-30 წლებში, მაშინდელი მთავრობის დადგენილებით: უსწავლელობის აღმოსაფხვრელად თბილისადან ხევსურეთში გაგზავნეს მასნავლებლები და მშობელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, სწავლა ყველასთვის სავალდებულო გახადეს. მათ სოფელში ორი მასწავლებელი მიავლინეს. ვანო კუცია (მათემატიკის) და თამარ გაგნიძე (ქართულის), რომელიც მათ სახლში ცხოვრობდა. სკოლა იყო მიწურში; ჰქონდათ დაფა, შერხები, სკამები, წიგნები - მათემატიკა და „დედა ენა“. მარიამიც გულმოდგინეთ სწავლობდა და თამარა მასწავლებლისგან შექებასაც ხშირად იმსახურებდა.

1944 წელს არხოტის მთელი მოსახლეობა აყარეს და სტალინის ბრძანებით ინგუშეთში – სოფელ ღილლოში ჩასახლეს (შუა აზიაში გადასახლებულ ქისტთა კარ-მიდამოებში). 16 წელი იცხოვრეს ხევსურებმა ღილლოში. მარიამ ბებო ასე იხსენებდა ამ წლებს:

„ღილლო ისე იყო ჩვენთვის, როგორც მშობელი დედა. ჰავაც კარგი იყოდა ბუნებაც. ათასნაირი ყვავილი ჰყვაოდა გაზაფხულ-ზაფხულში. იქაური თაფლი სულ სხვა გემოსი და სურნელისა იყო, ამიტომ საქონელთან ერთად მეფუტკრებასაც მივდევდით; მაგრამ ქისტების უკან დაბრუნების მერე, იქ აღარ დაგვედგომებოდა. დავტოვეთ მათი, მოვლილი და კარგად შენახული“ სახლ-კარი. მთავრობამ უპროცენტო მრავალნლიანი სესხი მოგვცა, მანქანები გამოგვიყო, წამოვიდეთ ჩვენი ბარგ-ბინა და წამოვიყანეთ საქონელი: ცხვარ-ძროხა და წამოვედით. ფუტკარი იქ დაგვრჩა, თაფლი კი წამოვიდეთ. ასე, მეორედ აყრილები ჩამოგვასახლეს კახეთში, კერძოდ, კი წითელწყაროში (ახლანდელ დედოფლისნუაროში). 1961 წლიდან აქ ვცხოვრობთ ჩემს ოჯახთან, ჩემს სამ შვილთან ერთად“.

\* \* \*

მარიამ ბებოს ერთი ვაჟი შალვა 36 წლის ასაკში მოულოდნელად, გულის შეტევით გარდაეცვალა. ტკივილი და დარღვეული უცრები ჩაიკიდა, უხმოდ და უცრემლოდ გააცილა – გარეგნულად: „სიტყვა ვერ ამოვთქვი, გული კი მიტიროდა, მეფუტქებოდა. არ ვიცი, ეს სისუსტე იყო ჩემი, თუ სიმტკიცე, მაგრამ ყველა ადამიანი თავისებურია; ძალად, მოჩვენებითად არ უნდა იცხოვრო და მოიქცე. უნდა იყო ისეთი, როგორიც უფალმა დაგბადა“...

„მთის ქალები ცოტა ცივები და მკაცრები ვართ. არ მახსოვს ჩემი შვილებისთვის მექოცნოს. არა, განასირცხვილია შვილის კოცნა, მაგრამ მარტო ასე არ გამოიხატება

სიყვარული. ის ცოდო-ბრალით, ზრუნვით, ამაგით, ერთ-გულებითა და მხარში დგომითაც შეიძლება გამოხატო...“

„საუკუნეს მივაღწიე და ლექსისა და სიტყვის მადლი არ დამელია. სირცხვილიც კია, ამხელა ქალი ბუტბუტს რომ დავინწყებ, რას აკეთებო, მეტყვიან – მელექსება-მეთქი და ვიგონებ ხან ლექსებს, ხან ზღაპრებს, ხან გამოცანებს...“ ალბათ, გენიდან მოგვდგამს. პაპაჩემი (დედის მხრიდან) – მინდია წიკლაური, შეტახელად „მერცხალა“, კარგი მოლექსე იყო. ვაჟა-ფშაველას ძმობილობ-და (ძმადნაფიცი იყო). დედაჩემმა ნანუკამ, პაპაჩემმა და ბერდედამ დიდი „ვეფხისტყაოსანი“ სულ ზეპირად იცოდ-ნენ. ძალიან ბევრი ადგილი მეც ზეპირად ვიცოდი; გარ-მონზე ვუკრავდი და ხანდახან, ჩემთვის დავამღერებდი კიდეც...“

\* \* \*

„სულ მენატრება მთა და ჩემი ბავშვობა; სიზმარში მხოლოდ მთას ცხედავ. მთის ჰაერი და ბუნება მენატრე-ბა. ათასფერი ყვავილი ჰყვაოდა; შევხაროდით ცას და დედამინას, მათ ფერებს ვითავისებდით, ვიმახსოვრებ-დით და ჩვენს ხელთ-ნაკეთობაში ვიყენებდით. ვქს-ოვდით ფარდაგ-ჯეჯამებს, ხურჯინებს. ფერადი ძაფე-ბის, მძივების, ვერცხლის „ფულებისაგან“ ვქარგავდით ტანსაცმელს – ტალავერს, სადიაცოს და ქოქლო-ქათ-იბს. ამოგვყავდა პაჭიჭები ფეხზე ჩასაცმელად.“

ახლა უკვე ხანდაზმული ვარ, მაგრამ მინდა, ვიდრე შემიძლია, ჩემს ოჯახს ამოვებველო; როცა ალარ შემე-ძლება, უფალს ვთხოვ, დროულად დამახუჭინოს თვალე-ბი, არავინ შევაწუხო... “–გვიყვებოდა ბერდედა სუფთა, თავანკარა ხევსურულ კილოზე.

(სამწუხაროდ ეს საუბარი ვერ ჩავიწერეთ ვიდეო-კამერით, მხოლოდ ლექსები და ლეგენდა-თქმულებების ჩანერა მოვასწარით. იმედი გვქონდა, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ, უფრო მეტ საინტერესოს ჩავნერდით, მაგრამ 2015 წლის 15 თებერ-ვალს 94 წლის ასაკში ბერდედა გარდაიცვალა და „ცოცხალი საუნჯე“ ლეგენდად იქცა.

ბიოგრაფია ჩაინერა და დაამუშავა:  
ნინო მახარაშვილმა

ჩანერის თარიღი: – 2014 წლის 24 ოქტომბერი

**ბენინა წიკლაურის  
(მარიამ ოჩიაურის დედის ძმა) ლექსები**

\* \* \*

როგორ ძალიან მიყვარდი არხოტის არე-მარეო, კლდებო ყინულიანო გაუკარვებო მხარეო. ეხლა კი ფიქრი გავცვალე მე ამ მხართ გაგაყარეო, ვაჟკაცთა საფლავებითა შენაც გულ გაიდარეო, რაად ვერ გაძლა სისხლითა შენი მინა და მზვარეო, რად ჩაარჩიო ახლები, შენს მკერდს რომ მოვაბარეო. დროსა სწორთ რატომ მოსხლიტე, ზედ მინა მიაყარეო, სი მეტყვი ტურფა შევნირო, რძალ შენ უნდ მოახმარეო. რა აის ვეტყვი სიკვდილსა ზოგსა გზა შაუფარეო, არ მაჲკვდა ოჩიაური, მტერო ნუ გაიხარებო, თუ მაინც ნახვა სწადია, გამობრუნდების მალეო.

\* \* \*

უბარა ბალიაურმა; წამოდი, დამეხმარეო.

სულეთის კარებ გავტეხოთ, მოვკლეთ სიკვდილი მნარეო

ხალხი გავუშვათ მახარად, ქალ-რძალთა მგლოვიარეთო.

\* \* \*

თვალთა გაყოლებ არნივო, ჰაერის მონადირეო, ლალო ბუნებით სავსეო, შაყრილო ტანა შცირეო, შენთა საზრდოთა ელდაო ცის კიდეთ მონადირეო, დაჰკივლე, მთებსა სდარაჯობ ქედებზე მოსადილეო.

ოთხდარ ქვითკირა შეკრულო სანადირონო კლდიანო ჯიხვო ყინვარში ნანოლო, მუდამ უალო ტრიალო,

ე, შენი „ტილიგრიმანი“ ყველა მხარეზე დიანო, ნიავ გიზიდავს ამბავსა, თავ-კი არ დაიზიანო,

მყინვარს კალთაზე ჯიხვები უწევს ვით დედას ბალლია ასიამოვნებს ჭიუხთა, როგორც ბულბულსა ბალია

მის გვერდზე წყარო ჩამადის აჩქერებული ლალია. არხოტის ვინრო ხევებო შეღებილებო სისხლითა,

წინ იდგე ძალი-ნაჭერო თოფითა, ხმლითა, ისრითა, სუ ჩვენ რა დაგვდე უღელი გარდუტანელო კისრითა. ჩვენ ჭირ ეგრ დაფარულია, როგორც ქვეყანა ნისლითა.

**ლექსები: ბენინა წიკლაურის(მარიამის დედის ძმა)**

**მთქმელი: მარიამ ოჩიაური – 93 წლის**

**ჩანერია: მარიამ ლაპიაშვილმა**

**2014 წლის 24 ოქტომბერს**

**ობოლა წიკლაურის ლექს-კაფიები  
(მარიამ ოჩიაურის ბიძა)**

წამაველ სანადიროდა, ჯიხვებს დაუწეუბ ცქერას,

დევების ქორნილს შემოვხვედ, ვაი-ვაგლახსა მღერას.

დევებს რძალ მაუყვანავის,

აქორნილებენ ბერას<sup>1</sup>

მეაც იქ დამოპატიუეს,

უყურეთ ბედისწერას.

უძახეთ ახალ-უხალს,

ნუვის გასწირავთ ყველას,

ნუ აწევთ ბოდოხევლებს<sup>2</sup>,

ითრევენ ძალლის ენას.

მავიდა ახალ-უხალი,

ზოგ მე დამიწყებს ბლვერას,

ეს საით ად ვინ მოსთარეთ,

ჩვენებივით რო ვერ ას,

მასპინძელ გაუჯავრების,

ქორნილ უხარის ყველას,

იმათ რო ჭურჭლებ ჩამადგეს,

აქ მე ვერ ვათქმევ ენას,

შაუნდოს ჩამოვლეული,

ჰაირიას<sup>3</sup> და ხერას<sup>4</sup>,

კარგ დასაკალონი დაგვაკლდეს,

რა უყოთ ბედისწერას.

მაილით სანაკვეთროი<sup>5</sup>,

ვერ ვაძლებთ მამლაყვერას<sup>6</sup>,

გადაიყუდნა ჭურჭელნი,

დაცალნა, დაჰკრნა კერას.

ერთ რამ ამ სახნის მაილო,

ქაქეში<sup>7</sup>შალვა ლბერავს,  
წამადგა, წამაიყოლა,  
ცეცხლ გააჩინა ენას,  
გაბრაზდა ჯიბიხოელი<sup>8</sup>,  
ეხლა გიტირებთ ყველას,  
რაიც რომ შესვით, შესჭამეთ,  
შხამი მაგაქცევთ ყველას.  
ქალ-რძალმ დაიწყა წივილი,  
ვერ ვიჭერთ მამას წვერას<sup>9</sup>  
არიქათ მოგვეშველებით,  
ბებერსა გვიკვლენ პელას  
იძახის ახალ-უხალი,  
ჭერნ აუყუდნოთ ბერას<sup>10</sup>  
საკმისას<sup>11</sup> გამოუფრინდი,  
დევებს ვევლევი ვერას,  
ეგ თქვენი გამარჯვებისა,  
სრუ მართალს გეტყვით ყველას.

1. დევის სახელი
2. დევის სახელი
3. დევის სახელი
4. დევის სახელი
5. დიდი ყანწი
6. დევის სახელი
7. ცეცხლში
8. დევის სახელი
9. დევის სახელი
10. დევის სახელი
11. ფანჯრისა, საკვამურისა

**მთქმელი – მარიამ ოჩიაური - გოგოჭურისა (93 წლის)**  
**ავტორი – ობოლა წიკლაური (მარიამ ოჩიაურის ბიძა)**  
**ჩაინერა – მარიამ ლაპიაშვილმა**  
**განმარტებანი – დალი ბალაშვილისა**  
**ჩანერილია 2014 წლის ოქტომბერში**

### მერცხალა (მინდია) წიკლაურის ლექს-კაფიები

ქარიშხალმა და თოვამა  
ძალიან შამალონაო,  
მასზედ ვარ შანუხებული  
მალ-მალ გწევ ყალიანაო  
მალ-მალე მამაგონდები  
აღიათ ქალო ხორაო  
მე კი აღარა მწადია  
ჩამამიარა დრომაო.  
აღარც დაწოლა მწადია  
ძაღლის ლოგინზე ვგორავო,  
თან-თან განვრილდა კისერი  
სრუ დიღა-წუხევრივ ვზომავო.

**სრუ – სრული (ყოველთვის)**  
**წუხერივ – საღამოს (მწუხერივ)**

**ავტორი:** მერცხალა (მინდია) წიკლაური -- მარიამ ოჩიაურის პაპა. (ვაჟა-ფშაველას ძმადნაფიცი)  
**მთქმელი:** მარიამ ოჩიაური - გოგოჭურისა 93წლის  
**ჩაინერა – მარიამ ლაპიაშვილმა**  
**ჩანერილია 2014 წლის ოქტომბერში**

### გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსები

არხოტ რო წყაროდ გორია  
ა იმ გორზედა ჩამამსვეს  
საფირონ დაშლა თორია,  
ერთიც მაშინის წამომცა,  
შენ წყალზედ ჩამაგატარა  
თულუხითა თუ თუნგითა,  
შუადგე იყოს თაკარა,  
შუ ლამე იყოს თუ გინდა.  
დაგიხვდებოდით ვაჟკაცნი  
სიტყვას გეტყოდი გრძნებითა,  
თუ გინდ გაჯიქდი - გაკაუდი,  
გინდა გამამყე ნებითა.  
უფალმა ჩვენ რძლად გაგმირა  
მაინც ჩვენი ხარ მაინცა,  
წამაგიყვანდით დედუფალს,  
მოგდევდა სოფელ მდევრითა.

**ავტორი:** გაბრიელ ჯაბუშანური (მარიამის ოჩიაურის  
დედის ძმის – ბენინა წიკლაურის ახლო მეგობარი და  
ქალიშვილის თამარის - მამათილის ძმა)  
**მთქმელი:** მარიამ ოჩიაურ - გოგოჭურისა 93 წლის  
**ჩაინერა:** მარიამ ლაპიაშვილმა  
**ჩანერილია 2014 წლის ოქტომბერში**

### თქმულება იახსარსა და კოპალაზე

მთის სალოცავის ანგელოზები წავიდნენ ქაჯეთის  
დასალაშერად, მათ შორის იყვნენ:  
წმინდა გიორგი – ხახმატის ჯვრის მოძმე (ნიალვრის  
პირისა)

იახსარი – ამლის სალოცავი  
პეტრე (პირველი) – ამლის სალოცავი  
სვეტის ანგელოზი – ახიელის ანგელოზი  
მიქელ-გაბრიელი – ახიელის სალოცავი (მთავარი  
ღვთის შვილი)

ჯაჭველი – სალოცავი ხმელის გორისა (ოჩიაურთა  
სალოცავი)

თან გაიყოლეს ხორციელი კაცი - მეგრელათ გახუა,  
თან უთხრეს - ჩვენ ხომ ვერ გვხედავენ და შენ უნდა თქვა  
ჩვენი ლაშქრობის შესახებო. წაიყვანეს და წავიდნენ.  
კოპალამ თან ფარი წაიღო, სხვები დასცინოდნენ – „რად  
გინდ ფარიო“ – იყოს, იქნებ გამოგვადგესო“ – უპასუხა  
კოპალამ.

გზად, კლდის ძირას გამოქვაბული წახეს. ის კაცი  
(გახუა) იქ დააწვინეს, სული ამოართვეს, გვამი იქ და-  
ტოვეს და სული თან წაიყვანეს, დარჩენილ გვამს თაგვ-  
მა ნეკა თითო მოაკვნიტა.

ანგელოზები გაფრინდნენ ჰაერში, მივიდნენ ქაჯებ-  
ში და დაიწყეს ბრძოლა. ქაჯებმა ანგელოზებს კატის  
თავ-ფეხი ესროლეს (იცოდნენ, რომ თუ ანგელოზებს  
კატის თავ-ფეხი მოხვდებოდა, ძირს დავარდებოდა და  
ბრძოლის უნარს დაპკარგავდა), აი, აქ გამოადგათ კო-  
პალას ფარი. ის უფარებდა ანგელოზებს ფარს და გადა-  
არჩინა ისინი (მხოლოდ ერთ ანგელოზს მოხვდა თავ-  
ფეხი და დავარდა) ერთი ანგელოზის ჩავარდნის ამბავი  
ძალიან ეწყინათ, გადაწყვიტეს, ცხვარი დაეკლათ მის  
დასაბრუნებლად.

ანგელოზმა უთხრათ:

იმით ვარ ბედნიერაი,  
კარგნი მყვანიან ყმანია  
მაიყვანეს და ჩამაკლეს  
ოთხრქა, ოთხურა ცხვარია“

ანგელოზებმა გაიმარჯვეს, აიღეს ქაჯების საცხოვრებელი, თან წამოიღეს დავლა (წადავლი): ვერცხლი, განძი, თასები, ხარის რქა, რომელშიც ერთი ფუთი (1 ფუთი შეადგენს 16კგ.) ეტეოდა. ტყვედ წამოიყვანეს „ხუთქალი“, რომელიც წმ. გიორგის დად გაეფიცნენ. იმ კაცის გვამში, რომელიც გამოქვაბულში დატოვეს, სული ისევ უნდა ჩასულიყო, მაგრამ სულმა აღარ მოინდომა გვამში ჩასვლა; მაშინ კოპალამ ხელი ჰკრა და ძალით ჩააგდო, რათა იმ კაცს (გახუას) ხევსურებისათვის ამბავი მიეტანა.

ხუთი ქალიდან ორის სახელი უცნობია. ისინი ქაჯურად ლაპარაკობდნენ, სამი მათგანის სახელებია: აშექალი, მზექალი და სამძიმარი. სამივე მათგანი სალოცავებია. ქალები გაჭირვების უამს ამ სალოცავებს შესთხოვნენ კეთილდღეობას.

ყველაფერი, რაც ანგელოზებმა ქაჯეთიდან წამოიღეს, ხახმატის სალოცავში მიიტანეს. ხევსურეთში დღესაც აცხობენ სამ ცალ მოსანთოებს: ქადის კვერს, ერთ ბოთლ არაყს და ერთ სანთელს ანთებენ და შესთხოვნენ ხახმატის ანგელოზებს:

„შენა სამთავროდ გასამარჯოდ

მაიხმარე სეფე—სანთელი

გიორგი ნიაღვრისპირისაო,

გიორგი გიორგის მოდენო ანგელოზნო,

რასამ მხარზე და გულზე შემოგძახებთ,

იმ მხარ, იმ გულზე გაგვიგონენ,

შენ გვიშველე ჩვენ მონაგრობას.“

გადმოცემით ის ხარის რქა (ერთფუთიანი) ისევ ხახმატის ჯვარშია, ის განძიც იქ არის.

**სეფე—სანთელი - ხახმატის ჯვრის სახვენარი სანთელი, არაყი და ხავინიანი ერბოს ქადები**

**მთქმელი: მარიამ ოჩიაური - 93 წლის. (ეს ამბავი მისთვის გადმოუცია მის დედას—ნანუკა ნიკლაურს, იმას თავისი დედისგან სცოდნია)**

### მიცვალების შესანდობარი დასალოცი (ხატის მოსანთოები)

ღმერთმა ადიდოს შენ ძალი, შენ სამართალი, გიორგი ნიაღვრისპირია, გიორგის მოდენო ანგელოზნო, თქვენა სამთავრო — გასამარჯოდ მოიხმარეთ ჩვენი შელოცვა და სეფე—სანთელი, რასა გულზე და მხარზე შამოგთხოვთ, იმ მხარ, იმ გულზე გაგვიგონენ.

### დატირება

ერთ ქალს მაჲკევდომია საქმრო. ქალს შეუკერია ჩოხა, მოუქსოვია პაჭიჭი და წასულა სატირალში. სადედამთილოს რომ დაუნახავს, იქავ გადავარდნილა და მომკვდარა. ამ ქალს ასე დაუტირია:

ქალო, შე ჩემო დედამთილო,  
შენ ჩემ აქ მოსვლა რად გენყინა,  
დღეს მოველ, ხვალავ წავალ შინაო,  
უკლოი უკულმავ დავბრუნდებიო,  
შენ შვილს მიქებდნენ სანეფოდაო,

იმის საცნობლად წამოედიო,  
ჩოხა მოვიტან სკლატიანიო, ბაჭიჭი სირმიანიო.

**უკლოი — უბედური, უყისმათო**  
**სკლატიანი — შინაქსოვი წმინდა შალის (მაუდის)**  
**ქსოვილი, რისგანაც იკერებოდა ჩოხა**

### მით ნატირალი (უამიანობის დროს)

ქალებო უამის ნახოცებო, ქვიშაზე არ იყვენითაეო, ჭიშველ ხიზები მთიბლები არ ჩინდაეო, ცელები არ უგელოვდაეაო, რუჩუას შვილინი რომელინი, მიწყვანან საგაბის ლოგინზედაო, თათხელ წევს ჩემი მოურავიო, ნაკალოვართი გამოკვივისო, იმას კი არა დამაცილევსაო, უკამრო თავის საფლავ გასჭრაო, პირში ჩაიგავონხაო, ზე შავ ნაბადი ჩაიხურაო.

**ჭიშველი — ადგილი ხევსურეთში, სადაც მზადდებოდა თვა უგელოვდაო — ცელების ნათება მეტის დროს**  
**რუჩუა, თათხელი — ადგილი ხევსურეთში**  
**ორხავო — დიდებული ხალიჩა (ძველად)**

**მთქმელი: მარიამ ოჩიაური — 93 წლის**

**ჩაინერა: მარიამ ფიროსმანაშვილმა**

**ჩანერილია — 2014 წლის 24 ოქტომბერს**

### მარიამ ოჩიაური-გოგოჭურის ლექსები

#### მამაგონდები არხოტო

არხოტით აყრა გავბედე,  
გულს შემომაწვა დარდია,  
დავწევ ძილ არ მეძინების,  
ადგომას დავეზარები  
გამოვესალმე სახლ—კარსა,  
მოვალ არ ანაჩქარები,  
ვეძის ტყით გორით გიყურებ,  
სოფელო, შორა დარჩები.  
დაშლილო გაბურთ ქვითკირო,  
გაოხრებულო სახლებო,  
არხოტის მთაზედ შემოვხედ,  
დარდისგან განამნარები,  
ფრინველთა მღერა დაიწყეს,  
შამოიბერტყეს მხარები,  
თვალ შემოვავლე მთა—წვერსა,  
აჩნდა არხოტის მხარები.  
დამგონდ—მამგონდა ყველაი,  
სიყრმის დრო განატარები,  
თუმცა აღარ ვარ ყმანვილი,  
მაქვის სიბერის ხანები,  
რა ტკბილ ყოფილა სამშობლო,  
მე იმას ვენაცვალები.

\* \* \*

აღმოსავლეთით ამოხდა თვალად ლამაზი ქალიო,  
ამაჲკევა საყურ—ბეჭედი, უურიალებდა ქარიო.  
სათავნოდ ამაიყვანა სამოცი დედალ — ცხვარიო,  
ვინც რომაგ გოგოს აკოცებს, ის არის მაგის ქმარიო,  
აკოცა ბიჭმა რეგვენმა, თავს გადიმტვრია ხმალიო.

\* \* \*

ახალ წელ მოგვიახლოვდა, დღენი მიდიან ჩეარაო,  
ქალების მოლოდინი მაქვ, შავნუხდი ძალიანაო.  
უთხარით მარიამასა, ბებომრა დაგიპარაო,  
კარგად ისნავლე, სტუდენტო, არვინ გაჯობასთ სხვამაო,  
მე მაინც მიმავალი ვარ, მალე, დღესა თუ ხვალაო,  
იქნება ველარ მამოსნრო დუშეთს მცხოვრებო ქალაო,  
ვიცი რო არვის ექნების მოხუცი ჩემისთანაო.  
მამიახლოვდა ას წელი, ვლექსაობ თანდათანაო,  
მეზობლებ მიჯავრდებიან – ნუ ამბობ ნარამარაო.  
თავის ადგილზე დაეგდე შე არხოტელა ქალაო,  
ჩემო ტანჯული ცხოვრება მაშ როგორ გავატარაო?  
ოლონდ თქვენ იყვნეთ კარგადა, ტყუილს არ ვიტყვი არაო.

\* \* \*

არხოტო ჩემო სამშობლო, ჯიხე – არწივების ბინაო  
ნეტა შენს მტერსა შამაკლა, შენ მკერდზე დამანვინაო.  
მოკვდას თუ მაკვდეს ვაჟუაცი, სამშობლოს გულისთვინაო  
არ გასტყდე, ჩემო არხოტო, ფოლადო, ბასრო რკინაო.

\* \* \*

ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი, თორო მტერ მოგერეოდა,  
აგვაბრდებოდა სოფელი, სალამი დაგელეოდა.  
სად დამრჩი, ძმაო ესტატე, თათრების მესამძღვარეო,  
მე კი უშენოდ ვერა ვქენ, მტერს ვერა მოვაგვარეო.

\* \* \*

ჯალაფთ ჩამიდვეს საგზალი მწყემსს გავხე თხების ჯოგისა,  
ავლალე მუხიანშია დიდის ხალხაის ჯოხითა.  
მე მგლებიც ვერსა მაშინებს შიში ჰქონდ ჩემის ყოფისა,  
ნამუედ საშინაოდა, ჩამოვიარე ცოცვითა,  
სოფლის პირს შამამავალი ვერ მამცნეს ხევსურობითა.  
მივძახე ხევსურთ ქალებსა: ვახშამ მზადდების, მოდითა!  
ზოგ–ზოგ გაგიცნობთ კარგადა, ანდ არა მააქვს ზოგისა,  
კარტიფილიან–ძვლიანი, ცეცხლზე შემოვდგი ქობია.

\* \* \*

შენი ჭირიმე მერცხალა, ჭირიმე შენი ძმობისა,  
მხართა გრძე გუგუჭრელაი ხმა მადის შენის თოფისა,  
გამაატოლებ კონტახსა ქალების ნაკენ თოლ–პირსა,  
ადვილად ნუ ამაიღებ ემა შენ ღილღურ ორპირსა.

**მერცხალა – მინდია წიკლაური (მარიამის პაპა დედის მხრიდან)**  
**გუგუჭრელაი – დამცინავი სიტყვა**  
**ღილღო – ქისტების სოფელი ინგუშეთში**

\* \* \*

მაგათრევ ქვეყანაზედა სეტყვაო ბასაისაო,  
ქორადალ დადგნენ თუშები, მურო დაიდო ცხვრისა,  
გამასტყვრა ქოჩადალაი ხვავად წამავა ქვიშაო,  
შიგ ჩაიჭრინა თუშები თავის მავლილი ცხვრითაო.  
უხარის იმათ დედებსა მაგვივლენ შირაქითაო.  
შვილების ნახვა წადიან იმათ მავლილი ცხვრისაო,  
ის კი რას მაჰგონდებოდა, დაგვიტუსალებს მიწაო.

**ავტორი და მთქმელი: მარიამ ოჩიაური – გოგოჭურისა**  
**ჩაინერა: ნინო მახარაშვილმა**  
**ჩანერილია 2014 წლის ოქტომბერში**

## მარიამის ბოლო ლექსი

კვირაი დილა გათენდა,  
მარტოა დავრჩი ქალიო.  
აღარვის უნდა ბებერი  
იმქვეყნად მიმავალიო.  
როსაც რო ვიყავ ახალი  
ყველაზე მქონდა თვალიო,  
მამიახლოვა სიკვდილმა,  
მამიკაუნა კარიო.  
ღამეთ ვათენებ თეთრადა  
გულისგანა ვარ მთვრალიო,  
მივდივარ საიქიოსა  
ემაგის მოლექსარიო,  
ახალ თაობათ აქ ვწირავ,  
იქ მელის წინაპარიო,  
ვერ შემაშინებს სიკვდილი,  
არხოტელი ვარ ქალიო,  
თქვენ ყველა კარგა იყავით  
ყველას გენერასთ ჯვარიო!

**ლექსი ჩაინერა მისმა რძალმა – დალი ბალაშვილმა 2015 წლის 15 თებერვალს.**  
**(ეს ლექსი დანერა გარდაცვალებამდე რამოდენიმე საათით ადრე)**

## ბოლოსიტყვაობის მაგიერ:

აღნიშნული ნაშრომი მოსწავლეებმა წარადგინეს ორ რესპუბლიკურ კონკურსზე:  
2014 წლის ნოემბერში საქართველოს მოსწავლე –  
ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გამართულ ახ-  
ალგაზრდა ფოლკლორისტთა მე-17 რესპუბლიკურ შეკრებაზე ნაშრომი დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.

2015 წლის მაისში საქართველოს მოსწავლეთა 69-ე რესპუბლიკურ სასწავლო და შემოქმედებითი კონკურ-  
სის III დასკვნით ტურში ნაშრომის ავტორები დაჯილ-  
დოვდნენ | ხარისხის დიპლომებით.

ამ ნაშრომით ავტორებს სურდათ თანატოლები-  
სთვის გაეცნოთ ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი უხუცესი  
ქალბატონი - 93 წლის მარიამ ოჩიაური - გოგოჭურისა, რომელიც, გარდა იმისა, რომ ტრადიციული ხელსაქმის დიდოსტატი და ულამაზესი ნაქარგების შემოქმედი გახ-  
ლდათ, ლექს-კაფიების ავტორ-მთქმელი და წინაპარ-  
თა შემოქმედებისა და უამრავი ლეგენდისა თუ თქმულების და ასევე „ვეფხისტყაოსნის“ დიდი ნაწილის ზეპირად მცოდნეც იყო. კონკურსზე დამსწრე საზოგა-  
დოებას მოსწავლეებმა ასევე წარუდგინეს ბერდედას მიერ შესრულებული ნაქარგობები და ფოტოები, რამაც დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

ცნობილმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ზურაბ კიკნაძემ, ავტორები შეაქმ და უთხრა, რომ მათ ქართუ-  
ლი ფოლკლორის კიდევ ერთი ლამაზი მარგალიტი გადა-  
არჩინეს მივიწყებასა და დაკარგვას, რადგანაც მარიამ ოჩიაურმა ზეპირად მოიტანა ჩვენამდე წინაპართა შემო-  
ქმედება და რომ არა ამ ყველაფრის დაფიქსირება, ეს ლექს-კაფიებიც დაიკარგებოდა.

**დედოფლისნებიროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეთნოგრაფიისა და მხარეთმცოდნეობის შემოქმედებითი ნრის „ხორნაბუჯი“ ხელმძღვანელი:**  
**ნინო მახარაშვილი**



## მაია მიწაძია

### რომელი ჭარისკავის ალბარეზა

აქ უფლის ნებამ მომიყვანა, წმინდა დედაო,  
სად არ ვიარე, ბედისწერის გზებს რა ჩამოთვლის.  
მე აღარ ვიცი, გოლგოთაზე როგორ აღმოვჩნდი,  
ჯერ გონიერაში ბურუსია, თუმცა, ვხედავ, რომ  
აქ უფლის ნებამ მომიყვანა, წმინდა დედაო.

გაელვებისას, როცა ღვთისთვის კვლავ ვიბადებით,  
სულ ერთი წამით მოვასნარი მეც შეშველება...  
ახლა სხეულით დავატარებ ბედნიერებას –  
მონათლული ვარ იმ შეხებით და იმ ნათებით  
გაელვებისას, როცა ღვთისთვის კვლავ ვიბადებით.

ბაბუანვერას ფიფქებივით უფაქიზესი  
და თბილი იყო ჯვარს დახსნილი უფლის სხეული...  
ეს სიყვარული, სამყაროში მიმობნეული,  
ჩემი გონიერის გარდამოხსნის გახდა მიზეზი –  
ბაბუანვერას ფიფქებივით უფაქიზესად...

და ეს სურათი გონიერისთვის გახდა სანიშნე –  
უსამშობლო, სხვისი ომის ვარ მეომარი,  
ახლა კი ვიცი, ღმერთი ჩემთვის სამშობლო არის,  
ჩემი წარსული მომავლისგან ვეღარ გავმიჯნე  
და ეს სურათი გონიერისთვის გახდა სანიშნე:

ირგვლივ ხორხოცი გაისმოდა ღამის ხიზანთა,  
ვთორთოდით, თუმცალა შიშიც გვექნდა ჩევნ აკრძალული,  
გამომშრალ ხახას გვწვავდა ცხელი მტვერი სამუმის,  
ბრონეულივით დამსკდარ ფეხებს ქვიშა გვიწვავდა,  
ირგვლივ ხორხოცი გაისმოდა ღამის ხიზანთა.

იმ უდაბნოში, იმ სიცხეში დედას სციოდა,  
ახალშობილ ჩვილს რომ აგლეჯდნენ ცხელი მკერდიდან,

გულისპირი კი სველი ჰქონდა დედას ხსენით და,  
ჩემს ძმას, უსუსურს რომ ვტოვებდით შორის ქვიშრობთა,  
იმ უდაბნოში, იმ სიცხეში დედას სციოდა.

თქვენ, დედოფალო, უსათუოდ გეცოდინებათ,  
რადგან გერგუნათ საამსოფლო ტვირთის ტარება,  
რომლის საჭურჭლედ დედამიწაც მეცოტავება,  
თუმც ყველაფერი სამყაროში ღმერთმა ინება...  
თქვენ, დედოფალო, უსათუოდ გეცოდინებათ,

რას გრძნობდა დედა, როცა ყურში ჩამჩურჩულებდა  
ნაცნობ ლოცვას და მიცხელებდა ლოყებს ალერსით,  
გადაეწყვიტა, რომ ძნელ გზაზე მარტო გავეშვი,  
ძალაგამოცლილს მოუხმობდა რადგან სულეთი...  
რას გრძნობდა დედა, როცა ყურში ჩამჩურჩულებდა:

– უნდა დაბრუნდე და ნაყოფი უნდა მოისხა,  
შენი სხეული აღმოცენდეს უნდა სულიდან,  
არ დაგავიწყდეს, შენ ხარ კოლხი, შენ ხარ ურიდი,  
არ შეგეშინდეს არც მანძილის, აღარც დროისა,  
უნდა დაბრუნდე და ნაყოფი უნდა მოისხა!..

ახლა ბავშვობას დროის ნისლში აღარ დავეძებ,  
სულით ჯვარცმული ვდგავარ თქვენს წინ იმის დასტურად,  
რომ გოლგოთაზე გამახსენდა ჩემი წარსული,  
დავიწყებული დედის ლოცვაც, დედის ანდერძიც  
და ჩემს ბავშვობას დროის ნისლში აღარ დავეძებ.

უფლის აღდგომა ამ სამყაროს შეცვლის სრულიად,  
მტრედს გამოატანს იმედის რტოს და მიგვიზიდავს.  
მან ნოესავით წამოკრიფა დედამიწიდან –  
საკუთარ სულში დაატარებს ყველა სულიერს...  
უფლის აღდგომა ამ სამყაროს შეცვლის სრულიად!..

სანამ მზის ფერად ბილიკებზე გავიფანტები,  
იქ დაგბრუნდები, მიყებოდა სადაც არაკებს  
მამა და სადაც ჩემი სული მოავარაყა  
იმ მინის ნატვრით, სადაც სხეულს სურს დავანება,  
როცა მზის ფერად ბილიკებზე გავიფანტები.

ნება მომეცით, თქვენს უწმინდეს კალთას ვემთხვიო,  
სანამ სიყვარულს მივიტანდე განთიადამდე  
და სამყაროში ყოველ დილით მიმოვფანტავდე,  
სანამ მუხლმოყრით ვეახლები უფლის მხედრიონს,  
ნება მომეცით, თქვენს უწმინდეს კალთას ვემთხვიო.



## ელევანტური უგულავა

### მოქმედა

დღე – შაბათი...  
მთები – დილისნისლიანი...  
გალავანთან მექებრები ჰყეფენ...  
სასახლიდან გამობრძანდა მირიანი...  
სპა გაყუჩდა... თაყვანი სცა მეფეს.

ქორწინაშული პრეზიდი Ⅴ ფილმის

ცხენს მოევლო,  
მზის პირველ სხივს დააკვირდა,  
მერე წასვლა მუხრანისკენ ბრძანა  
(სანადიროდ მიღის მეფე და სარკმლიდან  
იმზირება დედოფალი ნანა).  
სურს გახედოს თხოთის მთიდან უფლისციხეს,  
დატკებეს (ცქერით ასპისა და კასპის.  
მკლავზე, ალბათ, საშევარდნო ტყავს დაიხვევს  
და მარეკი ააყვირებს საყვირს.  
თუმც სიმშვიდე არ ეტყობა, მგონი, დიდად,  
ნადირობაც თითქოს უჩანს არად...  
ფიქრობს მეფე, ისევ ფიქრობს და ფიქრისგან  
აეხადოს ლამის თავის ქალა.  
ვერ ივიწყებს, ახსენდება ის დღე უცებ,  
ის ზღვა ხალხი და სიუხვე ფერთა...  
ნაჭრებით და  
ყვავილებით რთავდნენ ქუჩებს,  
არმაზობას ზეიმობდა მცხეთა.  
მაგრამ, უცებ  
ეს რა მოხდა?! რა დღოთის რისხვა?!  
მძლავრი ქარი სალოცავებს მისწვდა,  
გაჩნდა სეტყვა, ღვთაებები ჩამოიმსხვრა,  
ხმამ ნგრევისამ შეძრა ცა და მიწა.  
დრო გავიდა...  
ფიქრი ფიქრს და დღე დღეს ცვლიდა,  
თუმცა იგი დღემდე მაინც ვერ ხსნის, –  
თუ რა ძალამ დაამსხვრია არმაზი და  
ღვთაებები – ოქროსა და ვერცხლის;  
და იმ ქალწულს...  
ვერ ივიწყებს ვერც იმ ქალწულს...  
სხვა ქვეყნიდან რწმენით მოსულს ნინოს,  
თითქოს ეძებს  
კვართს უფლისას აქ დამარხულს,  
კვართის პოვნას ის მცხეთაში ცდილობს.  
სასაუბროდ მაყვლოვანში ვის არ იწვევს  
და თითქოსდა ფლობს ღვთაებრივ უნარს.  
ქადაგებს და ღმერთს უწოდებს ჯვარცმულ ქრისტეს  
და სწეულებს ჯვრის შეხებით კურნავს.  
ან ეს ჯვარი, უჩეულო ნინოს ჯვარი,  
რა ძალაა?! რა ბეჭედი აზის?!  
თმით შეკრული ვაზის ორი ლერნი არი,  
ორად-ორი ლერნი არი ვაზის...  
დიახ, მეფე  
ქრისტეს რჯულთან მწყრალად არი,  
მაგრამ მანაც ხომ იხილა თავად,  
აი, თუნდაც, როცა ნანა დედოფალი  
უკურნებელ სენით გახდა ავად;  
თუმც მკურნალნი  
იღვრებოდნენ სიმწრის ოფლად,  
სანუგეშოს ვერ ამბობდნენ ვერას.  
(როგორია?! შენ სიყვარულს, შენ დედოფალს  
უეჭველი სიკვდილი რომ ზვერავს)...  
მაგრამ ნანას იმედიან თხოვნით შემდეგ,  
კდემით სავსე და ბავშვურად მორცხვი,

ლოცვად დადგა ნინო და სენს უკურნებელს  
დედოფალი გამოსტაცა ლოცვით.  
და თქვა ნანამ  
(ცეცხლში ნაწრთობ ფოლადს ჰგავდა,  
სიტყვა მისი ძლიერი და სანდო) –  
„არ არსებობს სხვა უფალი ქრისტეს გარდა,  
რომელსაც რომ ეს ქალწული ამბობს!“  
...  
ფიქრებისგან გამოერკვა მირიანი,  
აი, ხედავს, მთა იწყება თხოთის.  
მზე ანათებს, ცა ლივლივებს ლილიანი  
და რაშები მიინევენ ოთხით.  
მაგრამ მეფეს,  
ნადირობის ჟინით გართულს,  
ეშმა ისე შეეპარა გულში,  
ქრისტიანთა გაგონება უკვე არ სურს,  
და სიბრაზე ნერვებს მწარედ უშლის, –  
ძალა მათი, მგონი, ისე დიდი არი,  
იქნებ, უკვე შეწყალებაც არ ღირს.  
დაისაჯოს უნდა ყველა ქრისტიანი, –  
თქვა გულში და რა მოსწია აღვირს...  
მზე დაბნელდა...  
დაბნელდა და მხედრებს უკვირს,  
რა სიშავეც გადაეკრა ცის ფერს,  
მერე ირგვლივ გაიშალა ფერი კუპრის,  
თვალთან თითს რომ ვერ მიიტან ისე...  
აი, რაში, შიშით აღვირგანაშვები,  
ეხეთქვება... სხვებს აყენებს ზიანს...  
დაფრთხა ხალხი, აირია და რაშები  
ჭიბინებენ, ტორით მიწას თხრიან.  
ხოლო მეფე (შიში როდი შეჰვერს მეფეს)  
სთხოვს შეწყვინას არმაზსა და ზადენს,  
თუმცა უკუნს  
ვერც ეს თხოვნა შექს რომ ვერ ფენს,  
მკლავით იწმენდს ოფლს სიმწრისგან ნადენს.  
– მე არ ვიცი, –  
ამბობს იგი, – ვის მადლს ვენდო,  
ვისი ძალა ავიფარო ფარად.  
თუ არსებობ, დამემარე ნინოს ღმერთო,  
რომ მხოლოდ შენ გემსახურო მარად!  
და გაბრწყინდა  
მზე და პოი, საოცრებავ,  
ბნელს სხივებით ამოშანთა ხახა.  
უცებ მეფე, რა აღსრულდა უფლის ნება,  
დაჭვეითდა, მიწა მუხლით გახნა...  
განეშორა ყოველგვარი მძიმე ვნება,  
სიხარულის ცრემლები სდის მეფეს.  
ხელებს იწვდის... აღმოსავლეთს ესალმება...  
ლოცვას ამბობს უფლის სადიდებელს.  
სულში ისე გაეშალა რწმენის კვირტი,  
ქრისტეს გარდა აღარ ახსოვს არვინ,  
– ჭეშმარიტად, შენ ხარ ღმერთი, ჭეშმარიტი!  
ქეო ღვთისავ!.. შენ გმორჩილებ!.. ამინ!..



## ქათევან შენგალია


**ლექსი ეძღვნება წმინდა ნინოს შემოსვლას  
საქართველოში**

რა სიჩუმეა მაყვლოვანში, ირწევა ტოტი  
და ბუჩქზე ჩიტი შემომჯდარა წითელნისკარტა,  
სამთავროს ეზოს მოსდებია მლოცველი ხალხი,  
გაისმა ზარი; შუადლეა... შუქმა იმატა.  
უფალო, ხომ აქ გააპრენინა სახელი შენი  
და შორი გზიდან მომავალმა რწმენა განფინა!  
მოხვედილოცვით, ღმრთისმშობელის სიზმრად მნახველი,  
მოხვედი, ზეცის საპატარძლო ძველი ზღაპრიდან;  
„სული წმიდისა ქნარო ნინო“ ევედრე ღმერთსა  
და უფლისმიერ შეწევნასა ჩვენსა, მოხედე!  
რადგან ლხენიდან, ხორციელი ტკბობის კარამდე,  
აღარ შემოგვრჩეს შეიძლება გულით მოკეთე.  
ააგიზგიზე გაიანეს, რიცხიმეს გულში  
რწმენა – ქალწულთა წამებული გუნდიც იხილე!  
მათი სულები ისე ნაზად აენთებიან,  
როგორც ნიავი ეფერება დილით ლილილებს.  
ფარავნის ტბამდე, შენი თმებით შეკრული ჯვარით,  
მოხვედი: ფიქრით, სინანულით, დარდით, სურვილით,  
მცხეთელი მწყემსი მიგასწავლის საით იარო და  
ურბნისამდე ტანჯვით ჩახვალ თმადაბურვილი.  
წმინდაო, ნინო! რა ვედრებით, მხურვალე ლოცვით  
ამსხვევდი კერპებს და აჩენდი სეტყვის მდინარეს,  
თავად კი, როგორც აღერილი ყვავილი თეთრი,  
იდექი ლაღად და მორჩილად თვალებმლიმარე.  
ზის დედოფალი შენს ნინაშე და ლოცვას სწავლობს,  
შესცერის ნანას მთელი ერი და უსმენს მეფეც;  
გაუჩინარდნენ საქართველოს ცაზე ღრუბლები,  
გამთენიამდე ვარსკვლავებიც ოცნებებს კრეფენ.  
რა სიჩუმეა მაყვლოვანში?! აყვავდა ბუჩქი  
და ზედ კი ჩიტი შემომჯდარა წითელნისკარტა,  
სამთავროს ეზოს მოსდებია მლოცველი ხალხი,  
გაისმა ზარიც. შუადლეა... შუქმა იმატა.

## ბალო სულაძე

### სიკოზტლისათვის

მე არ ვყოფილვარ აიეტის თანამედროვე,  
იაზონისგან რომ დამეცვა ოქროს საწმისი,  
მაგრამ ჭალებში მოჯირითე ქარსაც ვეომე,  
რწმენის თასიდან გაბნეული ბოლო მარცვლისთვის...  
ვერ მოვახერხე, გზა იესოს ლოცვით ამევსო,  
როდესაც ნინომ მზე აგროვა, სითბოდ დაღვრილი,  
მაგრამ შევძელი, მოვრეოდი ცოდვის სამეფოს  
და აღმემართა უფლის რწმენაც, ნინოს ჯვარივით...  
მტკვარმაც ბევრით თქვა წუთისოფლის, ბევრიც არაგვმა...  
არ შევსწრებივარ არც მცხეთაში ნგრევას კერპების,  
მაგრამ ნისლიან ქონგურების ნგრევის კვალდაკვალ,  
გულში იმედის სვეტიცხოველს მეც ვაშენებდი...  
თუმცა საზღვარი ვერ გავწიე დარუბანდამდე,  
სხვამ სინანულიც უფრო მეტად იგრძნო სინათლით,  
ადამიანად ყოფნის არსი კაცს თუ ადარდებს,  
მეც გულისცემას ჩემს პატარა დიდგორს მივათვლი...  
სიცოცხლისათვის, თვით სიკვდილზე მკერდმიშვერილი,  
მცხუნვარე მზის ქვეშ, ცოტნესავით თუ არ დავწექი,  
სევდის კელიას შეხიზული, ზოგჯერ ბერივით,  
მეც ხომ მარილში, ჩემს ცრემლიან ლუქმას ვაწებდი...  
როცა ნამებმაც მოუხშირეს ურვად ვაზებზე,  
დემეტრესავით თავი მსხვერპლად, ვერც მე დავდევი,  
მაგრამ სიკეთე სიბნელეშიც უნდა გამზევდეს,  
ერთ ხმალს რომ მაინც ეპატიოს მკერდზე ნაჭდევი...  
სიკეთისათვის და რწმენისთვის გზაც თუ ატირდა,  
რაც ყაყაჩოებს კვლავ ნინაპრის სისხლად აშრება,  
მე ლექსის რითმებს შევატოვე ქართულ მანდილად,  
რა სილამაზეც ვერ დაფარეს ქირმან — შალებმა...  
ვერ მოვახერხე, რომ მექცია ცხადად სურვილი  
და მეც ერეკლეს ბედაურად ველზე მერბინა.  
მაგრამ შევძელი, გაზაფხულის წვა და დუღილი  
შემომემტვრია, ვით მდინარეს, მკერდზე ჯებირად...  
ზოგჯერ ბალახიც ხავსივით რომ მოჩანს არხებზე,  
ამით სიცოცხლე იწყება და როდი მთავრდება, —  
ციხის ნაგრევებს სევდიანად როცა გავხედე,  
თითქოს ეს მითხრეს პანაწინა ყოჩივარდებმა...



## თამარ გაიგელაშვილი

\* \* \*

თბილისში მღერიან შაშვები  
და ჩემი ტკივილი გალობს...  
ეს ცრემლი კირისგან ნაშენი  
დავკიდე ღრუბლიან თაბორს.

გამეხსნა სინათლის ჭრილობა,  
მთვლემარე ვედრება მზეთა.  
სიცოცხლე ტკივილით გამჭოლი  
ასხივებს ჩაქრიალ სევდას...

მენატრი, შენს თვალებს ვფიცავარ.  
მომყვება სურნელი ზღვათა...  
როდესაც შორსა ვარ, ცისა ვარ  
და ეკლის გვირგვინისთვის მზად ვარ...

გოლგოთა წითელი ვარდია,  
ლექსია ნატირალ ველთა,  
ქარების გულებში გავდივარ  
ცხრა საფრენ წყაროსთან ერთად...

ქარების თვალებში ვანთივარ,  
ვით პირველობილა სხივი,  
სიმღერით შევხდები განთიადს,  
შრომანი სინათლედ შლილი...

ეს ცრემლი კირისგან ნაშენი  
დავკიდე ღრუბლიან თაბორს...  
თბილისში მღერიან შაშვები  
სევდიან სიცოცხლის სათრობს...

## ელდარ გიგიაშვილი

### შენ ხარ ვენახ!

სპობდა ურჯულო და უსახური,  
მეჩურჩულება ვაზის შრიალი,  
რაც ამ მიწაზე, უფლის კურთხევით,  
არის ლამაზი და ჯიშიანი!  
ბეჭდახანძეული ვწევარ მიწაზე,  
მკერდს მინგრევს გრძნობა, გულში ნადები,  
მიწიდან პაპის მომძახის სისხლი  
და ამ ძახილით გელალადები!  
ვერ დაგარეკე ციხის ნანგრევში  
შიგ ჩაქოლილო სისხლის ნაკადო,  
ტორებზე დგები უხელნ კვიცივით,  
რომ ქვათა სევდა ცას შეღალადო!  
უკან მოგძახის პიროვლიანთა  
სულთა სავანე – სამსხევერპლო წმინდა,  
და უხვად მოჩქეფ ღვთიურ ზედაშედ  
და მირონმადლად საუფლო ხიდან!  
შენ ხარ ვენახი, შენ ხარ ვენახი,  
ოტებულ სულთა სალბუნ-წამალი,  
ჯვარცმულთა სისხლის თანაზიარი,  
კიბე საუფლო ცადამავალი!  
შენ ხარ ვენახი, რტოები შენი  
ქალწულის თმით და უფლისა ნებით,  
ქართველთა ხსნად და გზად ამაღლების  
ჯვარად ნაკურთხი და ანაგები!  
შენ ხარ ვენახი, ედემად რგული,  
მკერდზე მიქარგე შენი რტოები,  
მიიღე მსხვერპლად სისხლი ამ გულის,  
ზედ საზედაშე მტევნად მოგები!  
ოდეს ინებებს დამბადებელი,  
ჩამიქრეს მზე და თვალთა მზერანი,  
გულს დამესვენოს დამუქტებული  
მაჯა-მარჯვენა და სატევარი,  
საამქვეყნომ მირონ-იაზმად  
გულს დამანურეთ ოქრომტევანი,  
ვაზის ჯვარით და ვაზის ფოთლებით  
შემიმკეთ კუბო და ტახტრევანი!  
რომ საფლავიდან ისევ ვაფეთქო  
ახალ ყლორტების სისხლი მჩქეფარი  
ქართული სულის საგალობელი,  
ჩემი მიწის და მზის საქებარი!



## 3 ასილ ბოსტაშვილი

### ნინოს

თმებით შეკრა ვაზის რტონი  
და სოფელი აკურთხა.  
გზანი გავლო საფირონის,  
მზე მოჰქონდა საკურთხად.

მოიდრიკნენ რწმენით მთანი,  
ლოცვის ძალით იხარეს.  
ცით აივსეს თვალთა ტბანი,  
ცრემლი გადმოიღვარეს.

შეუღამდა ბოდბის ტევრთან,  
სული უფალს შეჰვედრა.  
სასწაული იყო ღმერთთან,  
სიყვარულთან შეხვედრა.

წმინდა ნინო გზას უნათებს,  
ერთმორწმუნე ქართველთა.  
მაჯისცემას აყურადებს,  
ძგერას გულის სარქველთა.

შენც ძვირფასო, ნინო გქვია  
და სინმინდით იარე.  
სულის კარი გქონდეს ლია,  
ძლევ სხეულის იარებს!

შეგენიოს ანგელოზი,  
ნინოს სახელობისა!  
სიყვარულის სამრეკლოზე,  
ზართა მღერა მოისმა.

## ახალ მახრიშვილი

### დაუვინწყარი შემოხედვა

#### ნოველა


ეხლა არ დამიწყოთ ესაო და ისაო: დედამიწის ზურგ-  
ზე ქართველისთანა დაუდევარი, უდარდელ-უნაღვლე-  
ლი, ცუდმედიდი და უთადარიგო სხვა ხომ არავინ იქნე-  
ბა!

ეს ყოველ ნაბიჯზე და ყველაფერში გვეტყობა!

აი, თუგინდ ამას ჩაუკვირდით. სალთად სიარულის  
მოყვარული ეს ჩვენი სისხლი და ხორცი საიმედო ყაბს  
თან ხომ არასოდეს წაიყოლებს, ხოლო გარეთ გამო-  
სულს თუ ალალბედად მოეგუნება, ცელოფნის გროშიან  
პარკს იქვე ჰაიპერად შეიძენს და სურსათ-სანოვაგით  
რჯულზე გამოტენის! მაგრამ ეს უსიფრიფანესი პარ-  
კი ადამიანი ან ნახედნი პირუტყვი როდია, ბერავურად  
აიტანოს უდიერი ძალდატანება: თავგადადებულ კამი-  
კაძესავით თავის შეურიგებლობას ელვისებური თვით-  
მკვლელობით გამოგვიხატავს ხოლმე — გაიფხრინება  
და! ..

ამიტომ სადღა არ დაინახვება მინის ქილის ნამსხ-

ვრევეებში აზელილი პასტის, არაუნის, თაფ-  
ლის, კარაქისა თუ მაწვის ფაფა... საფერავის ტბორი...  
რძის ნაგვიანი გუბე... ერთმანეთში ჩაფეფქვილ-აზე-  
ლილი კვერცხები... ქუჩის ჭუჭუმი მკვდარი მტრედებივ-  
ით მიმოყრილი რქანითლის მტევნები... დაბნეული  
შაქრის ფხვნილი, ბრინჯი, ნინიბურა, ჩამიჩი, სიმინდის  
ფქვილი, ლობიო, ლებანი, ვერმიშელი, თხილ-კაკალი...  
ავტობუსში ზევით-ქვევით დაუღალვად მგორავი კო-  
მშები... აქა-იქ გაფანტული ფორთოხლები... ძეხვის ბოხ-



ვერა მონაჭერი... ფეხდადგმული ჩურჩხელა... ბავშვების საბურთაოდ გამხდარი ხახვი, ლიმონები... ეპ., რომელი ერთი დაგისახელოთ!

არადა, ამოდენა ავლადიდება ხომ ვერასოდეს მოხვდებოდა მეზოვის ცოცხევეშ, მერე კი სანავე ურნის გაუმაძლარ სტომაქში, ჯერ შესაბამის ყაბზე რომ გვეზრუნა! მაგრამ ეგეც არაფერი, მერერა მოხდა, დიდი ამბავი — ჩვენ ხომ ქართველები ვართ!!!

ეეპ! ..

1993 წლის დეკემბრის ბოლო დღე მიწურვაზეა. ყინვას. გაუბედურებული თბილისელები ქუჩებსა და ბაზრებში თოფნასროლი ტურებივით დალაწლაწებენ — თავიანთი ჭუკით პოლიტიკურ-ეკონომიკურ უამტიალობას ვითომ არ შეპუებიან და საახალწლო თადარიგის დაჭერა მაინც უცდიათ! ..

უშუქო ქალაქს მიმწუხრის ბინდი შეუმჩნევლად ეპარება. რუსთაველის ცარიელ, ჩაყრუებულ პროსპექტზე ტრანსპორტი არ ჭაჭანებს. ზეზელა, ავტომატებიანი პატრულიც კი აღარსად მოჩანს. ოღონდ ეგაა, წელა მელიქიშვილის ქუჩიდან ერთმა ძველისძველმა მსუბუქმა ტანკმა — ხორთუმაწეულ რკინის გასულელებულ კოლოს რომ ჩამოჰვავდა — ისეთი ჟღარაჟულურით ჩამოირახრახა, კაცს ეგონებოდა, სადაცაა, სულ ნაწილნაწილ დაიშლება და ჯართად ასაკრეფი გახდებაო! ეს გზააბნეული კოლო-ტანკი მეტროს წინ, შუა ტროტუარზე უაზროდ შეჩერდა და გაეკირებული გამვლელ-გამომვლელები მოულოდნელად უცნაური თუ სასაცილო სურათის მოწმენი გახდნენ.

ტანკის ლუკიდან ვითომდა ოპერატიული ვითარების გასაკონტროლებლად საქამრემდე ამომძვრალ რაღაც სამხედროფორმანი ლანირაკს ტანკისტის ტრადიციული ჩაფხუტი კი არა, მწყემსის ვეებერთელა ბოხოს ეხურა, ახალბედა ყაჩალს რომ ამსგავსებდა! ტანკისტმა-ყაჩალანამ ბოხოსის ბენქვეშ ძლივს მოჩინარი ჭრუტა თვალებით ჩამკვდარი მიდამო და წვნიკად მიმომავალი, დაბეჩავებული თანამოძმები ეჭვით მიზვერ-მოზვერა, მაგრამ რაკი თავი დაირნმუნა, ბედვრულ საქართველოს აქ საფრთხე არსაიდან ელოდა, წელანდებური სიმარდით თავის ბოხოიანად უკანვე ჩაძვრა. ტანკმაც გაზს მოუმატა და ყურთასმენის წამლები ღრგიალ-რახრახითა და სქელი გამონაბოლქვის შლეიფით დანგრეული რუსთაველის პროსპექტს გამწარებით გამოუდგა! ..

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წინ, დანავვიანებულ გაჩერებაზე შეჯარებული, სასწაულებრივად გამომვლელი ავტობუსის მოლოდინით განამებული ხელბარგიანი მგზავრები ავადმყოფურად მოუსვენრობენ — ყველას ერთი სული აქვს შინ დროიანად მიიტანოს თავისი რაღაც ნაშორნ-ნაპოვნი!

მეტროდან გამოშურებულმა ერთმა შუახნის ტანხელმა ქალმა ცარიელი პროსპექტი ირიბულად გად-

მოსერა და აღელვებული მგზავრების ნახირს მოკრძალებით შემოემატა. ფერფლისფრად თმაშელებილს, ხელში ღვთის გამოტანებულივით უჭირავს ოთხიოდე კილოგრამი მსხვილ-მსხვილი, ჩაყვითლებული ვაშლებით მოპირთავებული ცელოფნის მომქრქალო პარკი.

უშედეგო ლოდინით ყველაფერზე ასაღრენად შეწყვეპილი, ირგვლივ აღმაცერად მაცქერალი თანამოძმების თვალში ამგვარი ნავაჭრით ცოტა არ იყოს, ახირებულადაც კი გამოიყურება: საახალწლოდ ყველა ხორცზე დახაციცებული, ამას კი არჩევანი მაინცდამანც ვაშლზე შეუჩერებია! თუმც ვისი რა საქმეა — კაცია და გუნება! ანდა, ამ საწყალს შეიძლება ხორცის ფული არც ექვავა, ვაშლს კი შემთხვევით სადღაც ჩალის ფასად გადასწყდომია და ეს უფრო სამჯობინაროდ მიუჩინევია!.. ეპ., ფული იყოს, თორემ ხორცი არც ნაახალწლევს დაიწუნება!.. მაგრამ დახეთ ბედის სიმუხთლეს — უფალს ამ ქალისითვის თურმე ესეც შეშურებოდა: ერთერთი ქვეშითა ვაშლის შემხმარ, სადგისისებურ ყუნწს პარკი ოდნავ გაესერა. ქანაობა-ქანაობისას კი ამ ნასერმა სიმძიმეს მეტი ვეღარ გაუძლო და მოხდა ის, რაც მსგავს შემთხვევაში უსიკვდილოდ ხდება ხოლმე — ნაგვიან ასფალტზე ბოხვერა ვაშლები დასულდგმულებულებივით მიმოიფანტა, გადაფითრებულ პატრონს კი გამხდარ თითებში პარკის ნაფხრენილა შერჩა!!!

ქალების თანაგრძნობიანმა წიოკმა და ვიშვიშმა ქარაშოტივით შეიშრიალა. ერთმანეთში ფიცხლავ მოიკითხეს, მაგრამ რამე ცარიელი ყაბი არავის აღმოაჩნდა.

— მოიცა, ქალბატონო, ახლავე! — დაზარალებულს ხმათრთოლებით მიეახლა ერთი სქელლოყება ახალგაზრდა დიასახლისი და თავისი შემძიმებული, პირღია ჩანთა მიუშვირა, — თქვენ ცალ ყურზე მომიკიდეთ ხელი, თხილს ლობიოს ტოპრაკაში ჩავყრი და პარკს გაგითავი...!

— აპ! — გაბეცებულ ვაშლის პატრონს ენიდან ისე მოსწყდა, თითქოს სანანური არაფერი აქვსო, — ძირნა-ყარი რაღად მინდა!

— ვიშ, ქა, რაღა ვქნა! — მოშორებით მდგომმა ერთმა პირშმაგმა ქალმა უკმეხად ამოშაქრა თმაშელებილის მისამართით.

სქელლოყება გაფანტულ ვაშლებს ცივად მოსცილდა. აშკარად დაეტყო, თავი შეურაცხყოფილად რომ იგრძნო, უცნობ ქალს ნაგავში გაფანტული ვაშლების წამოკრეფა რომ შესთავაზა და საახალხოდ გამოჭენდა! მოდი შენა და ამის შემდეგ ვინმეს კიდევ უთანაგრძნე!..

სად იყო, სად — არა, სწორედ ამ დროს ერთი ორკარიანი, მარშრუტმიუთითებელი რაღაც ცარიელი ავტობუსი მედგრად მოდრიგინდა და ზედ მგზავრების ცხვირწინ დამუხრუჭდა!

ავტობუსს ყველანი დამშეული ძალებივით მიესივნენ — ვიღას ჰქონდა გაფანტული ვაშლების ჯავრი!

გაუპარსავმა მძღოლმა კაბინის სარკმლიდან მხე-ცური თავი გადმოყოფილი და რაღაც პირობების წამოყენებას მზრდანებლურად შეუდგა. მაგრამ ზედმისეული მგზავრები არც უსმენდნენ და ავტობუსს ყოველი მხრიდან მუშტებს გაავებით უბრახუნებდნენ, გაგვიდეო!

ეტყობა, ამგვარ ზედმისევას მძღოლი დიდი ხნის შეჩერებული იყო! ამიტომ კარს მაინც არ აღებდა და ისევ თავისას აწვებდა: ვაკე-საბურთალოს გავლით დიდუბეში, დიღმის მასივსა და „ნახალოვკაში“ იმ პირობით წავიდოდა, თუ...

გაღიზიარებულ მგზავრებს კი კარის გაღების გარდა არაფრის მოსმენა და გაგება არ სურდათ! მათ უშედეგო ბრახაბრუხი შეწყვიტეს და ავტობუსს ახლა სასონარკვეთილი ქანაობა დაუწყეს — კარს თუ არ გაგვიდებ, აი, გადაგაყირავებთო!

— არა, გადახდა წინასწარ!.. აბა, რა გეგონათ — იცით, რა დამიჯდა ერთი კანისტრა ბენზინი?! — ნიშნმოგებით ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხაოდა ხმაჩახრინწელი მძღოლი, ზღვის ტალღებზე მოხვედრილ მენავესავით რომ ქანაობდა, — რაო?.. ჰმ! ეგ საკენკი... ჯერ გადამიხდით, არადა...

თავისი მიმოფანტული ვაშლების შორიახლო დაზარალებული ქალბატონი ისევ ისე იდგა. თუმცა რა ქალბატონი, რის ქალბატონი — წუთისოფლისგან უმოწყალოდ კლანჭგაკრული ერთი ჩვეულებრივი ინტელიგენტუნა ჩანდა. თავით ფეხებამდე საკმაოდ ჩამოცვეთილი, სულ იაფფასიანი მეორადი ტანსაცმლით იყო შემოსილი. ვერცხლისბალთებიან ძველმოდურ ფეხსცმელებსაც აშკარად ეტყობოდა ნასხვისარობა. ოლონდ ეგ იყო, ფერფლისფრად შეღებილი მოხდენილი თავი გასაოცარი ღირსებით ეჭირა!

ავტობუსთან ატეხილი ვაჭრობა-ჯიყჯიყი თანდათან ცხრებოდა — ჩანდა, მალე ორივე მხრისთვის მისაღები დასასრული ექნებოდა! ასეც მოხდა! მოღორებული მგზავრები ავტობუსის ქანაობას მოეშვინენ და ჯიბესაფულების ქექას შეუდგნენ!

— რიგი, რიგი დაიცავით! — მშვიდი ბანით ბრძანა გმირულად გაღელილმა თავშისველა მამაკაცმა, შელახული ჩანთიდან ლალისფრად შეღებილი ფურჩებით თავდაცობილი მომცრო ბოცა რომ მოუჩანდა, — ყველანი დავეტევით!

ფერფლისფრად თმაშეღებილმაც ავტობუსის კარს კრაზნებივით მიხვეულ მგზავრებთან მგლოვიარე ნაბიჯით გადაინაცვლა.

ავტობუსის კარიც გაიღო!

პირველობა წარმოსადეგ, თვალებმწუხარე ქალს ეკუთვნოდა, მაგრამ ჯერ ერთი სმენადაქვეითებული ბებრუკა გამოატარეს. კაცებმა აბგა გამოართვეს და თან ასვლაშიც წაეხმარნენ, ის რაღაც მუშტისოდენა თავისი აბგა კი მერე ააწოდეს.

— რო ამოვალ, ამისასაც მე გადაგიხდი! — მძღოლს ხმანევით ასძახა ერთმა ჯეილმა.

— შენ შენი გადაიხადე, — წარბანკეპით დაუბრუნა მძღოლმა და მოხუცებული საპატიო ადგილას დასვა. — ამისი მე ვიცი!!

ყოველი მგზავრის ასვლისას ჯაბახანა ავტობუსი მოთმინებით კვნესოდა.

ნავიან ასფალტზე გაფანტულ თავის ვაშლებს თმა-შელებილმა ქალბატონმა შორიდან უკანასკნელად ისე-თი თვალით გამოხედა, რომ მხატვრულ წარმომსახ-ველობაში წელან გამოკვეთილი მომავალი ნოველის მთავარი პერსონაჟის ნიშან-თვისებათა შესავსებად იქვე, ჭადარს ამოსაფრებულმა და მასზე თვალდაჭერ-ილმა მწერალმა მეტს ვეღარ გაუძლო. თანაქონი კაპრონის წალურჯო, კონვერტივით დაკეცილი პარკი ამოილო, მსუბუქად ჩაუცუცქდა, მისკენ მოხედული მგ-ზავრების გაკვირვებული მზერის ქვეშ ვაშლები ბერვა-ბერვით სულ სათითაოდ წამოკრიფა და პატრონს მიუ-ტანა.

— გამომართვით!

— აჲ, რას ლაპარაკობთ! — უაზროდ ითაკილა თავტანდაკარგულმა ქალმა, — ასეთ ნაგავში... .

— ნაგავიო? თქვენა გგონიათ, ბაზრის დახლები ამაზე სუფთაა?! გაირეცხება, გაიფცქება და! — მწე-რალმა სულ ღიმილ-ღიმილით დამოძღვრა, მაგრამ უცებ მიხვდა — აქ თუ მამრულ რიხიანობასაც არ გამოიჩენდა, ვაშლები იქნებ ისევ გადასაყრელი გახდომოდა! ამიტომ მოულოდნელად შუბლზე კოხები დაისხა და სიხ-არულისაგან ალენილ ქალს მოჭმუხვნით შეუხმამკვახა.

— რას მაყბედებ?! გამომართვი, რო გელაპარაკები!


ქალი წამიერად მოულბა! სავსე პარკი მონინებით ჩამოართვა და ესლა ჩაუნიავა.

— უი... დიდი მადლობა...

მწერალმა ქალის თვალების შემოფეთებასა და გა-მომჭკნარ უპეებში ისეთი მადლიერება ამოიკითხა, ალ-ბათ, სიკვდილამდე არ დაავიწყდებოდა!



მიხეილ დარეკონოვის ნახატი  
„სოჭის ყარალაჯის შემოგარენი“



მარიამ გეგოს  
ნამუშევარი